# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 ოქტომბერი ოთხშაბათი 2012 №246 (13 852) ფასი 80 თეთრი



მიხეილ ყაველაშვილი:
## ნდობის დაბრუნება თუ გვინდა, სიქინავა უნდა გადადგეს

EXCLUSIVE

3

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბელარუსი 2:0 საქართველო

# ვერ გავიქეცით, წავიქეცით

მატჩის შემდეგ

*თემურ ქეცბაია:*
## დღეს მოედანზე ანტიგმირები იყვნენ და არა გმირები

- სიმართლე გითხრათ, ამ მატჩში ქულის ალებას ვგეგმავდი. შემიძლია გითხრათ, რომ ახლა უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე თბილისში, ბევრი მომენტი შევქმენით, მაგამ.... სამწუხაროდ, სწრაფი გოლი უწყინარ სიტუაციაში გავუშვით, ასეთი გოლების გაშვება არ შეიძლება.

**- რატომ შეცვალეთ თბილისური მატჩის გმირი ოქრიაშვილი?**

- გასახდელში მან მითხრა, რომ ფეხი სტკიოდა. თბილისში მატჩი ერთი თვის წინ იყო, არადა ადამიანმა დღევანდელი დღით უნდა იცხოვროს. დღეს მოედანზე ანტიგმირები იყვნენ და არა - გმირები

**- რატომ არ იყო სასტარტოში ანანიძე?**

- ის თავის კლუბშიც არ თამაშობს. მის გამოყენებას მეორე ტაიმში ვგეგმავდით.

*„პრესბოლი", ბელარუსი*



2



## აქაც 0:2
გაკვეთილი ახალგაზრდა ვიკინგებისგან

4

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ათვლა დაიწყო: პირველი თასი არმიას!



12

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ქართული ფეხბურთი

### ევროპული ნაკრები. შესარჩევი ტურნირი

16.10. მინსკი. დინამო
15 000 მაყურებელი

ბელარუსი **2**
საქართველო **0**

1:0 ბრესანი (6), 2:0 დრაგუნი (28)

| ბელარუსი 4-2-3-1 | საქართველო 4-2-3-1 |
|---|---|
| ვერემკო | რევიშვილი |
| ბორდაჩოვი | კაშია |
| ვერხოვცოვი | ხიზანიშვილი |
| ტიგორევი | ამისულაშვილი |
| პოლიაკოვი | გრიგალავა |
| პავლოვი | დაუშვილი |
| დრაგუნი | კანკავა |
| ფილიპენკო | თარგამაძე |
| გლები | კობახიძე |
| ბრესანი | ოქრიაშვილი |
| როდიონოვი | დევდარიანი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. კონდრატიევი | თ. ქეცბაია |

**ბელარუსი**

83. პავლოვი – **კისლიაკი**
85. ბრესანი – **ვოლოდკო**
90. როდიონოვი – **ჩუხეი**

*სათადარიგოები: ომელჩენკო, გუტორი, მარტინოვიჩი, შიტოვი, ტრუბილო, პლასკონნი, ალექსევიჩი, ბალანოვიჩი*

**საქართველო**

46. დევდარიანი – **მჭედლიძე**
49. ოქრიაშვილი – **ანანიძე**
75. თარგამაძე – **ყენია**

*სათადარიგოები: კვასხვაძე, მიგინეიშვილი, ლობჟანიძე, ხუბუტია, თომაშვილი, ფოფხაძე, გურული, ძალამიძე, სირბილაძე*

გაფრთხილება: თარგამაძე (35), ტიგორევი (43), პოლიაკოვი (45), ხიზანიშვილი (51), კანკავა (68), ბორდაჩოვი (73), გლები (90), მჭედლიძე (90), გრიგალავა (90)

არბიტრი: რ. შიორგენჰოფერი (ავსტრია)



თორნიკე ოქრიაშვილი (№10)

# საქმე, რომელსაც მილიონები არ შველის

ლოგიკური იყო იმის მოლოდინი, რომ საქართველოს ნაკრებს მინსკში უფრო გაუჭირდებოდა, ვიდრე ჰელსინკიში, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც გვქონდა იმის იმედი, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი ბელარუსთან სტუმრადაც იმავე შედეგისთვის იბრძოლებდა, რასაც მასთან დაპირისპირებაში შინ მიაღწია.

სამწუხაროდ, კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა და საქართველოს ნაკრები ამჯერად ბელარუსის მჯობნი კი არა, მისი ტოლ-სწორიც ვერ აღმოჩნდა. ძნელია იმის აღიარება, რომ შენი გუნდი პირწმინდად დამარცხდა, მაგრამ გუშინ საქმე სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვქონდა.

წლის ბოლო ოფიციალური მატჩი **თემურ ქეცბაიას** გუნდმა უსუსურად, ყველა ასპექტში გაუმართავად ითამაშა და ეპიზოდურადაც კი ვერ გვაჩვენა ის ფეხბურთი, რამაც უკეთესი მომავლის იმედი შეიძლება გაგვიჩინოს. ითქვა, რომ მუნდიალის შესარჩევი ტურნირი ჩვენმა ნაკრებმა მომდევნო ციკლისთვის მოსამზადებლად უნდა გამოიყენოს, მაგრამ რა ვქნათ, რომ საქართველოს ნაკრების თამაშში პროგრესის ნიშნები არ ჩანს?

საქართველოს დღევანდელი ნაკრები ალარავისთან მარცხდება კატასტროფული სხვაობით, მაგრამ როცა ქულების დაგროვება მართებს, არც თავად შეუძლია სადავეების ხელში აღება და საკუთარი თამაშის მეტოქისთვის თავსმოხვევა. როცა არ შეგიძლია, ფინეთისა და ბელარუსის დონის მოწინააღმდეგეებთან თუნდაც სტუმრად ამაზე მეტი გააკეთო, წარმოუდგენელია, როგორ უნდა მოხვდე 24-გუნდიან ევროპის ჩემპიონატზე. იქ თამაშს ხომ ჯგუფში მინიმუმ მესამე ადგილის დაკავება სჭირდება, ასეთი შედეგისთვის კი საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ორჯერ, ისიც არცთუ ახლო წარსულში მიუღწევია. ფინალურ ეტაპზე კი მხოლოდ შინ წარმატებული ასპარეზობით ვერ გახვალ.

საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი ასპარეზობა არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენი გუნდის თამაშის დინამიკა უკეთესობისკენ მიდის. ნათელია, რომ ფაქტობრივად, არ შეგვიძლია "პირველ ნომრად" თამაში, მაშინაც კი, როცა მოედანზე განვითარებული მოვლენები სხვა გზას არ გვიტოვებს. გაუგებარია, რა გზას ადგას საქართველოს ნაკრები, რომელსაც ბრძოლა ნამდვილად შეუძლია, მეტზე კი რა მოგახსენოთ...

მხოლოდ ბრძოლისუნარიანობით კი დღეს ვერავის გააკვირვებ, ეს თვისება არც უსახელო ევროპულ ნაკრებებს აკლიათ და ისინი არასდროს აცხადებენ დიდ საფეხბურთო ტურნირებზე თამაშის ამბიციას. უმჯობესია, ილუზიებში არც ქართველი გულშემატკივრები იყვნენ და შეეგუონ იმას, რომ უახლოესი წლები ქართული ფეხბურთის საფუძვლის განმტკიცებას უნდა მოხმარდეს და შესაბამისად, ღირს იმაზე მსჯელობა და დაფიქრება, სჭირდება თუ არა შვიდნიშნა ხელფასის მქონე თავკაცი საქართველოს ნაკრებს, რომელიც დღეს საშუალოზე დაბალი დონის გუნდია და წინსვლის იმედს ვერ გვაძლევს.

■ ■ ■

ამ მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი ყველამ ვიხილეთ და შეხვედრის დეტალური განხილვით თავს აღარ შეგაწყენთ. ფაქტია, რომ მასპინძლებმა აბსოლუტურად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს და უფრო სოლიდური სხვაობით მოგებაც შეეძლოთ. სტუმრებმა კი მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორიოდე ნახევრად მომენტით დაგვამახსოვრეს თავი.

ბელარუსმა საქართველო გუნდური თამაშითაც დაჯაბნა და ცალკეული მოთამაშეების საშემსრულებლო ოსტატობითაც. საშინელებაა, ქართველს ბელარუსების კომბინაციური ფეხბურთის რომ შეგშურდება, მაგრამ ფაქტია, მასპინძლებმა სტუმრები ამ კომპონენტშიც გვარიანად დაჯაბნეს.

ნუ მოვიტყუებთ თავს და ნუ ვიტყვით, რომ სწრაფმა გოლმა გაგვტეხა და **ზურაბ ხიზანიშვილს** მეტოქისთვის ბურთი რომ არ ჩაებარებინა, მოვლენები სხვაგვარად წარიმართებოდა. ასეთ უპატიებელ შეცდომას, როგორც წესი, ის გუნდი უშვებს, რომელიც მოედანზე მეტოქეზე უარესია.

აქამდე თუ თამამად შეგვეძლო იმის თქმა, საქართველოს ნაკრების კოზირი დაცვაში დამაჯერებელი თამაშიაო, გუშინდელმა თამაშმა ამის საშუალებაც მოგვისპო. მეორე გოლიც უკანა ხაზის კისერზეა. პირველი გოლის ავტორი **რენან ბრესანი** ამჯერად ასისტენტად მოგვევლინა და მის მიერ მოწოდებულ ჯარიმას **სტანისლავ დრაგუნმა** თავი ისე შეაგება, ქართველმა მცველებმა ხელი ოდნავადაც ვერ შეუშალეს.

ქართველები პირველი ტაიმის ბოლოსღა გამოცოცხლდნენ – **თორნიკე ოქრიაშვილმა** მართლაც ჩინებული სოლორეიდი საგოლე დარტყმით ვერ დააგვირგვინა, **დავით თარგამაძემ** კი ჯარიმითა და კუთხურით სცადა გატანა, მაგრამ ბელარუსთა მეკარე **სერგეი ვერემკო** ბურთს ორივე შემთხვევაში ადგილზე დახვდა.

გაუგებარია, რა უნდოდა **დავით დევდარიანს** ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი ტაიმი საქართველოს ნაკრებმა ნომინალური ცენტრფორვარდის გარეშე ჩაატარა. ქართულმა შეცვლებმა მოედანზე საჩვენოდ ვერაფერი შეცვალა, ორი ბურთით ჩამორჩენილი გუნდი კი ნებსით თუ უნებლიეთ, "მეორე ნომრად" თამაშს განაგრძობდა.

მესამე ბელარუსული გოლის გატანა ორჯერ შეეძლო **ვიტალი როდიონოვს**, რომელსაც ჯერ **ნუკრი რევიშვილმა** აჯობა, შემდეგ კი მასპინძელთა ფორვარდის ძლიერი დარტყმა ძელმა აისხლიტა.

ბოლო წუთზე გაჩაღებულმა ორმხრივმა განევ-გამოწევამ სამი ფეხბურთელი "გააყვითლა" და მსაჯის საფინალო სასტვენიც მალევე გაისმა.

22 მარტს საქართველო საფრანგეთს სტუმრობს, მანამდე ჩვენს ეროვნულ გუნდს ოფიციალური მატჩი არ ელის. ქართველი გულშემატკივარი გუშინდელმა დღემ საბოლოოდ გამოიყვანა ილუზიათა ტყვეობიდან და ეს ერთადერთი დადებითია, რაც ამ შეხვედრამ მოიტანა.

საქართველოს ნაკრები ერთ ადგილს ტკეპნის – ცხელ გულზე ამის თქმა შეიძლება, ცივი გონებით კი იმ გამოსავლის პოვნაზე უნდა ვიმსჯელოთ, რაც ქართულ ფეხბურთს ათწლეულებია, ვერ უპოვია...



გურამ კაშია (№4)

### მეტოქეები

## სამართლიანობა ბოლო წამზე აღდგა

**ესპანეთი-საფრანგეთი 1:1**

1:0 რამოსი (25), 1:1 ჟირუ (90)

ესპანეთი: კასილასი, არბელოა (50. ხუანფრანი), რამოსი, ბუსკეტსი, ალბა, ხაბი ალონსო, ხავი, დავიდ სილვა (13. კასორლა), ინიესტა (75. ტორესი), პედრო, ფაბრეგასი.

საფრანგეთი: ლორისი, დებუში, კოშჩიელნი, სახო, ევრა, კაბაიე, მენეზი (68. მ. სისოკო), გონალონი (57. ვალბუენა), მატუიდი, რიბერი, ბენზემა (88. ჟირუ).

მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი უკვე ამოწურული იყო, როცა ესპანელებმა მეტოქის საჯარიმოში ბურთი დაკარგეს, სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და **ფრანკ რიბერის** პასით მოედანზე ახლად შესულმა **ოლივიე ჟირუმ** ზუსტი თავურით თავის გუნდს ქულა მოუტანა. ეს ქულა კი, უნდა ითქვას, ფრანგებმა სავსებით დაიმსახურეს.

მადრიდის "ვისენტე კალდერონზე" მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში "სამფეროვნები" აქტიურად უტევდნენ და რამდენიმე კარგი საგოლე შანსიც გაუშვეს ხელიდან. სამართალმა კი ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ იზეიმა.

პირველ ტაიმში აბსოლუტურად განსხვავებული სურათი იყო და სერხიო რამოსის გოლის შემდეგ ესპანელებს ორი ბურთითაც შეეძლოთ დაწინაურება, თუმცა **სესკ ფაბრეგასის** მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანი **უგო ლორისმა** მოიგერია. თუმცა შესვენებამდე ანგარიში, შესაძლოა, 1:1-იც ყოფილიყო – მსაჯმა თამაშგარეს მომიზეზებით ფრანგებს აშკარა გოლი არ ჩაუთვალა.

ჩვენი ჯგუფის ორი გამოკვეთილი ფავორიტი წინ თანაბარი ქულებით მიიწევს და ჯგუფის გამარჯვებული, დიდი ალბათობით, მომავალი წლის 26 მარტს, პარიზში გასამართ მატჩში გამოვლინდება.



ჟირუმ ესპანეთს ქულა გამოგლიჯა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 2. საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3. საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 4. ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 5. ფინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

**2013 წელი:**

**22 მარტი**
ესპანეთი-ფინეთი
საფრანგეთი-საქართველო

**26 მარტი**
საფრანგეთი-ესპანეთი

**7 ივნისი**
ფინეთი-ბელარუსი

**11 ივნისი**
ბელარუსი-ფინეთი

**6 სექტემბერი**
ფინეთი-ესპანეთი
საქართველო-საფრანგეთი

**10 სექტემბერი**
ბელარუსი-საფრანგეთი
საქართველო-ფინეთი

**11 ოქტომბერი**
ესპანეთი-ბელარუსი

**15 ოქტომბერი**
ესპანეთი-საქართველო
საფრანგეთი-ფინეთი

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ ყაველაშვილი: ...მაშინ მივხვდი, რას გრძნობდნენ ემიგრაციაში გრიგოლ რობაქიძე და ექვთიმე თაყაიშვილი




საქართველოში დაბრუნებული საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი და "ჩვენი ფეხბურთის" ერთ-ერთი დამფუძნებელი მიხეილ ყაველაშვილი "ლელოს" სტუმარია და მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება – საქართველოში ხანგრძლივი ჩამოუსვლელობის მიზეზებზე, ქართულ ფეხბურთში არსებულ მდგომარეობაზე, ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის აუცილებლობაზე...

## ვიღაც აშკარად ერეოდა

**- მართალია, რომ შესაძლოა, ლევან ყიფიანის გვერდით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გიხილოთ?**

- ეს თემა არ განხილულა.

**- ერთმანეთს არ შეხვდით?**

- ლევანი ჩემი მეგობარია, "ჩვენი ფეხბურთი" მასთან და გოჩა ჯამარაულთან ერთად დავაფუძნე და ცხადია, შევხვდები და დაველაპარაკები. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სპორტის სამინისტროში მოადგილეობას მთავაზობს.

**- უფრო რეალურად, თქვენი კანდიდატურა სულ სხვა პოსტზე გაჟღერდა: საპარლამენტო არჩევნებში "ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი გახდეთ.**

- ჯერ ამაზე ლაპარაკი ძალიანნაადრევია, რადგან სანამ ვინმე კანდიდატურას წამოაყენებს, მანამდე უნდა დაინიშნოს სამართლიანი არჩევნები.

**- ზვიად სიჭინავას საპრეზიდენტო პოსტზე ლეგიტიმაცია 2015 წლამდე აქვს. ახლა კი რიგგარეშე არჩევნების დანიშვნაზე ლაპარაკიც არ ისმის.**

- ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა, იქ შევარდნა და მიტინგებით ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის გადაყენება. ფედერაციის ოპონენტები სწორედ იმიტომ ვიყავით, რომ იქ ბოლო წლებში სახელმწიფო უხეშად ერეოდა და პრეზიდენტებს ისე ნიშნავდა, თითქოს ეს იყო არა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არამედ სამინისტრო და ხელმძღვანელებს ქვეყნის პირველი პირები ნიშნავდნენ.

ამდენად, არც საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ახალი ძალის ჩარევის მომხრე ვართ. ფედერაციის ხელმძღვანელთა შეცვლა იმავე მეთოდის გამოყენებით დაუშვებელია და ეს ჩვენს პრინციპებს ეწინააღმდეგება. ასე რომ, ჩვენ არც არავის გადაყენებას ვითხოვთ.

მაგრამ საკითხს მეორე მხარე აქვს:

> **თუ ფეხბურთი პოლიტიკისგან არ გავმიჯნეთ, სულ იქნება კულუარული დაპირისპირებები, ფეხბურთის მიმართ საზოგადოების ნდობას კი ვერ აღვადგენთ.**

ყველამ იცის, ფედერაციაში რა "არჩევნებიც" ტარდებოდა. გავიხსენებ, თუნდაც აღმასკომის წევრთა არჩევნებს, როდესაც 25 კანდიდატიდან ვილაცებისთვის სასურველი პირველი 18 კანდიდატურა პირდაპირ შემოხაზეს, ისიც ვერ შეძლეს, რომ დემოკრატიულობა ეთამაშათ.

ამდენად, აქ უფრო მორალური პასუხისმგებლობის საკითხი დგას. ბოლოს და ბოლოს, არც წინა პრეზიდენტებს ჰქონდათ საარჩევნო ვადა ამოწურული, მაგრამ გადააყენეს. სწორედ იმიტომ, რაც უკვე ვთქვი –საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ფეხბურთის ფედერაციას სახელმწიფო ქვემდებარე რგოლის, სამინისტროს როლში განიხილავდა.

## ფედერაციამ ნდობა უნდა დაიბრუნოს

**- ანუ, ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე ფიქრობთ?**

- ეს ყაველაშვილის, ჯამარაულის ან ვინმეს ახირება კი არ არის, ჩვენს ფეხბურთს სჭირდება. აქ საკითხი სხვაგვარად დგას. მეგობარი ბიზნესმენია და ვკითხე, ფეხბურთში თანხა რომ დააბანდო, რა გარემო გჭირდება-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? რთული საფეხბურთო მეურნეობის მართვა, საქმის კეთება უნდა შეეძლოს და ვენდობოდეო.

ეს არის მთავარი: მგონი, არ ვაჭარბებ, საზოგადოების მხრიდან ფეხბურთის ფედერაციამ და ჩვენმა ფეხბურთმა ნდობა დაკარგა და თუ მისი დაბრუნება გვინდა, სიჭინავა უნდა გადადგეს და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს. ეს ხელს შეუწყობს ძალიან მნიშვნელოვან და ჯანსაღ პროცესებს.

**- სიჭინავას ხაზსაც ვერ გადავუსვამთ, მან ბევრი რამ გააკეთა ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, როგორც იქნა, ნაკრების ბაზა დაასრულა, 12-მდე სტადიონი და მოედანი მოაწესრიგა.**

- კარგს არავის ვუკარგავთ, ეს გაუმართლებელიც იქნება. არ გვსურს, ძველი ტენდენციით, საფეხბურთო სამყარო "ჩვენებად" და "სხვისიანებად" დავყოთ. სამწუხაროდ, აქამდე ასეც ხდებოდა, ან — მე, ან — შენ. სიჭინავამ თავიდან კი დაიწყო გაერთიანებაზე ლაპარაკი, მაგრამ მერე აშკარად იგრძნობოდა, რომ ვილაც მართავდა.

ფედერაციის ახალ არჩევნებში ნებისმიერმა მსურველმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუნდაც ზვიად სიჭინავამ. როდესაც საქმე-საქმეზე მიდგება, ვნახავთ, რომ ხალხი არათუ უნდა ჩამოვიშოროთ, პროფესიონალი და საქმის მცოდნეები სანთლით საძებარი გვეყოლება.

აქ ლაპარაკია არა პიროვნულ შურისძიებაზე, არამედ, სამართლიანობის აღდგენაზე. თანაც, ეს არ არის მხოლოდ ჩემი სატკივარი, ყველა იმ პიროვნების სადარდებელია, ვისაც ქართულ ფეხბურთზე გული შესტკივა.

აუცილებელია, წინასაარჩევნო პროგრამები საჯაროდ განვიხილოთ, დაინტერესებულმა ადამიანებმა რომ იცოდნენ, ვინ რას გვთავაზობს და ვის პროგრამას რა პლუს-მინუსები გააჩნია, საკითხები ერთად განვიხილოთ, იყოს ღია მსჯელობა, კანდიდატებს შორის ტელედებატები, რომ საბოლოოდ მართლაც საუკეთესო შევარჩიოთ და არა მთავრობისთვის სასურველი კანდიდატი. აი, ეს იქნება სამართლიანი და ობიექტური არჩევნების წინა პირობა.

ბოლო საპარლამენტო არჩევნებმა მოსახლეობაში იმედი გააჩინა, რომ ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობს. ასეთივე გრძნობა უნდა ჰქონდეს საფეხბურთო სამყაროს, რომ ის წყვეტს ფეხბურთის ბედს და არა სხვა ვილაც კაბინეტში; რომ ნიშნავენ არა პროფესიონალს და საფეხბურთო სამყაროსთვის მისაღებ პიროვნებას, არამედ მთავრობისთვის სასურველ და მართვად კადრს. წინა არჩევნებში მომხდარ დარღვევებს კი ვერავინ დაემალება.

მაგრამ მე ამ საკითხებზე ახლა შეგნებულად არ გავამახვილებ ყურადღებას, ვინმემ დაპირისპირებად რომ არ ჩათვალოს. პირიქით, საფეხბურთო სამყაროს სამართლიანობის აღდგენა გააერთიანებს და შეკრავს, დელეგატები კი პასუხისმგებლობას იგრძნობენ, თუ ვის და რატომ ირჩევენ.

სხვათა შორის, მგონია, რომ ფედერაციის მიმართ ნდობის აღდგენით თავად სიჭინავაც უნდა იყოს დაინტერესებული. მან ხომ იცის, რეალურად არჩევნებზე რაც მოხდა, რა უსამართლობაც ტრიალებდა და ეს ყველაფერი საიდან მოდიოდა. თორემ სიჭინავას პიროვნულად არ ვუპირისპირდები და ვიმეორებ, სულაც არ ვარ მისი მოკვეთისა და დასჯის მომხრე. პირიქით, სამართლიან არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, რა პრობლემაა, იქნებ, ყველაზე აზრიან პროგრამას გვთავაზობს?

თავისუფალი არჩევნების გარეშე კი ვერც ქვეყანა განვითარდება და ვერც ფეხბურთი. ეს ორჯერ ორივით მარტივი საკითხია. და თუ ფეხბურთი პოლიტიკისგან არ გავმიჯნეთ, სულ იქნება კულუარული დაპირისპირებები, ფეხბურთის მიმართ საზოგადოების ნდობას კი ვერ ალვადგენთ.

## სახელმწიფო დაფინანსება

**- ბოლო წლებია, სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციას 7 მილიონი ლარით აფინანსებს. როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?**

- ეს ყველაფერი ჩვენს პროგრამაში აისახება. მაგრამ ზოგადად გეტყვით: ჩვენს რეალობაში, როდესაც ქართული ფეხბურთი ბიზნესისთვის საინტერესო არ არის, ფედერაციის მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით შენახვა და სრულფასოვანი ფუნქციონირება შეუძლებლად მეჩვენება. თავიდან სახელმწიფო დოტა-

> **საზოგადოების მხრიდან ფეხბურთის ფედერაციამ და ჩვენმა ფეხბურთმა ნდობა დაკარგა და თუ მისი დაბრუნება გვინდა, სიჭინავა უნდა გადადგეს და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს.**

ცია საჭიროც იქნება, რომ მოღონიერდეს და ფეხზე დადგეს. სახელმწიფოსაც უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ ეს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სფეროა და მისი განვითარება აუცილებელია.

**- მაგრამ როდესაც ორგანიზაციას სახელმწიფო აფინანსებს, თქვენი თქმის არ იყოს, მერე ხომ შეიძლება ისევ გაუჩნდეს სურვილი, სამინისტროსავით მართოს და თავისი კადრები დანიშნოს?**

- ეს თავშივე უნდა გამოირიცხოს და მახინჯი სისტემა მოისპობა. როგორც ვიცი, ახალი ხელისუფლების მხრიდან უკვე გაცხადდა, რომ სახელმწიფოს ჩარევა დაუშვებელია, რადგან არც ქვეყნის იმიჯს წაადგება, არც ფეხბურთს და არც სახეობის განვითარებას.

ახალი სტადიონების, ბაზებისა და სპორტული კომპლექსების მშენებლობა სახელმწიფოს ვალდებულებაა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩინოვნიკმა ყველაფერში ცხვირი ჩაყოს და საფეხბურთო სამყაროს უკარნახოს, ვინ აირჩიონ პრეზიდენტად, ვინ კიდევ - მწვრთნელად და გუნდის მენეჯერად. სახელმწიფომ თავისი ვალი უნდა შეასრულოს, სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტა კი პროფესიონალებს უნდა მიანდოს.

სახელმწიფოსა და ფეხბურთის თანამშრომლობისა და დახმარების ფორმას ჩვენს პროგრამაში დეტალურად შევეხებით. მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესო პროექტს იხილავთ.

## ერთიანი სისტემა და არა კეთილი ნება

**- დღეს ქართული ფეხბურთის პრობლემა ისიც არის, რომ გაუგებარია ფეხბურთისადმი სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულება: გუბერნატორს თუ მოსწონს, გუნდსა და საფეხბურთო სკოლებს აფინანსებს, თუ არადა, რეგიონი უფეხბურთოდ რჩება.**

- ეს ძალიან სერიოზული საკითხია, რომელსაც ერთიანი ხედვით უნდა მოევლოს და არა პიროვნული დამოკიდებულებით. ფეხბურთისადმი სახელმწიფოს პოლიტიკა ვინმეს შეხედულებით არ უნდა განისაზღვრებოდეს.

**- კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივები თუ გაგაჩნიათ, რომელიც ფეხბურთის განვითარებასა და მომგებიან დარგად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს?**

- ცხადია, ამაზე ბევრი გვიფიქრია. კანონმდებლობის შეცვლა მართლაც აუცილებელია, მაგრამ დეტალებს ვერ შევეხები. თუმცა მიმაჩნია, რომ ფეხბურთის ფედერაციაში მისვლის მსურველ გუნდს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს გაწერილი პროგრამა, რა, როგორ და როდის უნდა გააკეთოს, როგორ ესახება ფეხბურთის განვითარება, ხოლო ამ პროცესში - სახელმწიფოს როლი.

ლაპარაკია არა შეღავათებზე, არამედ ისეთ კანონმდებლობაზე, რომელიც ფეხბურთით ბიზნესს დააინტერესებს, ეს კი მისი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ბიძგი უნდა გახდეს. თორემ, არასწორად მიმაჩნია, სახელმწიფოს საგადასახადო შეღავათი რომ მოვთხოვოთ.

## როგორ მომენატრებია აქაურობა...

**- დაბოლოს: დიდი ხანია, რაც საქართველოში არ ჩამოსულხართ.**

- დიახ, ბოლოს ორწელიწად-ნახევრის წინ ვიყავი...

**- რა იყო ჩამოუსვლელობის მიზეზი?**

- ჩემი პირადი ამბავი ბევრად უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც ქვეყანაში ხდებოდა. საერთოდ, საფეხბურთო კარიერის დროსაც უცხოეთში ვცხოვრობდი და წელიწადში 2-3-ჯერ თუ ჩამოვდიოდი. მაგრამ 2,5-წლიანი პაუზა ძალიან ძნელი გადასატანი აღმოჩნდა. სიმართლე გითხრათ, ახლა უკეთ მივხვდი, თუ რას განიცდიდნენ გრიგოლ რობაქიძე, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ემიგრაცია. ნოსტალგია დიდი გრძნობაა, ასეთ დროს განსაკუთრებულად ხვდები შენი ქვეყნის, ახლობლების, მეგობრებისა და ნათესავების ფასს – ყველა და ყველაფერი ძალიან მენატრებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# რატომ ქასიმფაშა?

## შოთა არველაძე: ნაჩქარევი რომ იყო, მაგიტომაც არ დავთანხმდი ნაკრების მწვრთნელობას

მას შემდეგ, რაც შოთა არველაძემ "ქაისერისფორი" დატოვა და რამდენიმე დღეში ახალი გუნდი, სტამბოლის "ქასიმფაშა" ჩაიბარა, მასთან ინტერვიუ არ გვქონია.

შოთას გუშინ დავუკავშირდით თურქეთში. გვინდოდა, რომ ტყუპისცალს საქართველოს ნაკრების ფინეთთან მატჩზეც ესაუბრა, თუმცა გვითხრა, ამ თამაშს ვერ ვუყურეო. ერთი სიტყვით, არველაძეს ფინეთ-ბელარუსის მატჩების შეფასება ვერ ვთხოვეთ, სამაგიეროდ, თურქულ პერიპეტიებზე ველაპარაკეთ...

**- როგორ აღმოჩნდი ასე უცბად ახალ გუნდში, სხვა შემოთავაზებები არ ყოფილა?**

- როგორც კი წამოვედი "ქაისერისფორიდან", კლუბის პრეზიდენტს "ქასიმფაშას" პრეზიდენტმა დაურეკა და ჩემზე ელაპარაკა. აქედან ცოტა ხანში "ქასიმფაშა" უკვე მე დამიკავშირდა და გადაწყვეტილებაც მივიღე.

**- მაინც რითი გამოდგა მიმზიდველი "ქასიმფაშას" წინადადება, თანხმობა მალევე რომ შეუთვალე?**

- საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩანს, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**- ყველაზე უფრო რა პოზიციებზე საჭიროებს გუნდი გაძლიერებას?**

- ამ ეტაპზე ყველაზე პრობლემატური დაცვის ხაზია, რადგან ბევრი ტრავმირებული მცველი დაგვიგროვდა.

**- ანდრეას ისაკსონი, ფაბიან ერნსტი, კალუ უჩე..."ქასიმფაშაში" არაერთი ცნობილი ფეხბურთელი თამაშობს. როგორ ატყობ, მაინც ვინ არის გუნდის ლიდერი?**



- პირველ რიგში იმით, რომ კლუბი ძალიან ცნობილმა და ძლიერმა ბიზნესჯგუფმა შეიძინა. გარდა ამისა, ოჯახი სტამბოლში ცხოვრობს და ჩემებთან უფრო მეტი დროის გატარება მომიწევს.

**- ამ სეზონში რა მიზნებს ისახავს "ქასიმფაშა"?**

- როგორ გითხრათ, კლუბს გრძელვადიანი გეგმები აქვს, მიზანი გამართული გუნდის შექმნაა, რომელიც ევროსარბიელზეც ღირსეულად ითამაშებს.

**- მანდაურ ინფრასტრუქტურაზე რას გვეტყოდი?**

- საკმაოდ ლამაზი სტადიონი აქვს "ქასიმფაშას", ბაზის მშენებლობაც საცაა დასრულდება.

**- როცა "ქაისერისფორიდან" წამოხვედი, გვითხარი, ჯერ ვერ ვხვდები იმის მიზეზს, რის გამოც გუნდს ბოლო პერიოდში ვერ აეწყო საქმე კარგად. ახლა შეგიძლია ამის მიზეზი დაასახელო?**

- დიდი დრო ჯერ არ გასულა, ამის შესახებ რალაცის თქმას და დასკვნების გამოტანას ალბათ კიდევ დასჭირდება დრო.

**- უკვე არცთუ ცოტა ვარჯიში ჩაატარე "ქასიმფაშაში" – რა შთაბეჭდილება გაქვს?**

- ჩვენი ლიდერი გუნდური თამაშია.

**- ისე, ცოტა უცნაურია – "ქასიმფაშა" ამ დროისთვის მეექვსე ადგილზეა, თურქეთის ჩემპიონატის ლიდერ "გალათასარაის" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება და გუნდიდან მთავარი მწვრთნელი გაუშვეს...**

- არ ვიცი რა მოხდა, ვერაფერს გეტყვით.

**- საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ. ფინეთთან მატჩი არ გინახავს, მაგრამ მაინც – როცა გუნდი 1:0-ზე რიცხობრივ უპირატესობაშია და მოედანზე არც ერთი ნომინალური თავდამსხმელი არ ჰყავს, ეს რას უნდა ნიშნავდეს?**

- ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მთავარი შედეგია.

**- საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი შენც იყავი. ეს თანამდებობა რომ დაგეკავებინა, ნაჩქარევი გადაწყვეტილება იქნებოდა?**

- ნაჩქარევი რომ იყო, მაგიტომაც არ დავთანხმდი.

**დავით თავართქილაძე**

U21. ამხანაგური მატჩი

16.10. თბილისი. მ. მესხი
1000 მაყურებელი

**საქართველო 0**

**დანია 2**

0:1 აგერი (40), 0:2 ბეხი (67, პენალტით)

| საქართველო 4-4-1-1 | დანია 4-3-3 |
|---|---|
| ნადირაძე | ი. იენსენი |
| ტვილდიანი | რემერი |
| მ. კობახიძე | დუმიჩი |
| კვეკვესკირი | ლარსენი |
| თედ. გრიგალაშვილი | კნუდსენი |
| ჩაფიძე | პედერსენი |
| პაპავა | ბეხი |
| პარუნაშვილი | სემოუ |
| ყაზაიშვილი | აგერი |
| ჯანტურია | მენსანი |
| სხირტლაძე | რიტერი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. ჩივაძე | ჰ. ჰოლმი |

**საქართველო**

46. კობახიძე – **ხოჭოლავა**
46. თედ. გრიგალაშვილი – **ჯგერენაია**
46. პარუნაშვილი – **სტეფნიაშვილი**
46. ყაზაიშვილი – **კირკიტაძე**
72. სხირტლაძე – **ქობალია**
73. ჩაფიძე – **ჩელებაძე**

სათადარიგო: თებიძე, გაგნიძე, ფანცულაია

**დანია**

46. მენსანი - **მადსენი**
60. დუმიჩი – **რომერი**
60. კუოდსენი – **ლერაგერი**
72. აგერი – **ბერტი**
72. რიტერი – **იარიდი**

სათადარიგო: დ. იანსენი, ნორუზი

გაფრთხილება: ჭანტურია(40)
გაძევება: ტვილდიანი (89), მადსენი (89)
მსაჯი: ა. არსენიანი (სომხეთი)

# სახლში და სკოლაში ნასწავლი გაკვეთილი



ოთხი წაუგებელი მატჩის შემდეგ **ალექსანდრე ჩივაძის** გაწვრთნილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინ მეხუთე შეხვედრაში დამარცხდა – მეტოქემ პირწმინდად აჯობა ჩვენს ახალგაზრდებს.

ქართველებს კომბინაციური თამაში არ გამოუვიდათ, მხოლოდ **გიორგი ჭანტურიას** სოლო რეიდები არაფრის მომტანი არ გამოდგა, დანიამ გუნდური თამაშით მოუმთავრა საქმე ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს.

მატჩის წინ ჩივაძემ გვითხრა კიდეც, დანია განსწავლული გუნდი იქნებაო და ზუსტად ასეც მოხდა. საქართველოს ეს ნაკრები თითქოს იშტაზეც ვერ იყო გუშინ, შესაძლოა, ამხანაგური მატჩი ჯეროვანი მოტივაცია ვერ გამოდგა.

...**ლაშა პარუნაშვილმა** ჯარიმა მოინაგრა, **ნიკა კვეკვესკირის** დარტყმა დანიელთა მეკარემ კუთხურზე მოიგერია. ნაკუთხურალ ბურთზე **მამუკა კობახიძის** თავური არაზუსტი გამოდგა – დაწყებას თითქოს არა უშავდა, მაგრამ მერე დანიელებმა რამდენიმე მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და კარგად გამოჩნდა, რომ რთული მოწინააღმდეგე გვყავდა.

ერთ-ერთი სწრაფი, სადა კომბინაციის შედეგად ჩვენს საჯარიმო მოედანში არეულობა შეიქმნა და **მიკელ აგერმაც** შანსი გამოიყენა – 0:1.

ჩივაძემ ჭანტურია უკანდახეულ შემტევად, თითქმის პლეიმეიკერად გაამწესა პირველ ტაიმში. ფლანგებიდან თამაში **ვაკო ყაზაიშვილსა** და **ლაშა ჩაფიძეს** უნდა გაეწვავებინათ, თუმცა ასე ვერ მოხდა. თამაშის წამყვანი ფეხბურთელი არ აღმოგვაჩნდა, გუნდურობით და დანიამ დაგვჯაბნა.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეცვლილა, დანიელებმა სივრცეები კარგად გადაუკეტეს ჩვენებს. შორი და საშუალო დისტანციიდან რამდენჯერმე დაარტყეს ჩვენმა ნაკრებელებმა, **გიორგი პაპავას** და ჭანტურიას სიზუსტემ უმტყუნა. ჭანტურიამ მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა და რამდენჯერმე გემრიელი დრიბლინგით მოგვჭრა თვალი, მახვილი კუთხიდან კარშიც დაარტყა და მეკარემ ფეხით მოიგერია ბურთი. გოლკიპერმა კვეკვესკირის ჯარიმაც არ შეუშვა კარში.

დანია კი კვლავაც მწყობრად თამაშობდა, თითქოს სახლში ნასწავლ გაკვეთილს სკოლაში ჰყვებოდა და მორიგი კომბინაციით 11-მეტრიანიც მოიპოვა, **უგე ბეხთან** ორთაბრძოლაში **დავით ხოჭოლავა** დაჯარიმდა, პენალტი თვითონ ბეხმა შეასრულა უნაკლოდ – 0:2.

მატჩის ბოლოს ჩვენი ნაკრები თითქოს გამშაგდა, მეტი აგრესიით შეუტია მეტოქეს, მაგრამ დანია ვერც ამან გატეხა. ერთი ბურთის გაქვითვის შანსი მაინც გვქონდა, როცა ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს ხოჭოლავამ დაჰკრა თავი და დანიელთა კიპერმა **იაკუბ იენსენმა** სასწაული ბურთი მოიგერია.

მატჩის ბოლოსვე იყო შეხლა-შემოხლა, რაც ორი გაძევებით დასრულდა.

ალექსანდრე ჩივაძემ კი შეხვედრის შემდეგ ეს გვითხრა: "ხუთი მატჩიდან არც ერთი არ გვითამაშია ერთი და იმავე შემადგენლობით. სასელექციო სამუშაოები ისევ გაგრძელდება. ამ მარცხით ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ძალიან სასარგებლო თამაში იყო, ასეთი შეხვედრები აუცილებელია, მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატით ვერ გავაკეთებთ დასკვნებს, სწორედ ასეთ მატჩებში ვლინდება ფეხბურთელის ოსტატობა."

**დავით თავართქილაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



ინტერვიუ. ჰალკი

# სუპერგმირი ბრაზილიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

**26 წლის ბრაზილიელი ჰალკი "პორტუდან" სანკტ პეტერბურგის "ზენიტში" ამ ზაფხულს გადავიდა. ორშაბათს მან ფიფას ოფიციალურ ვებგვერდს მისცა ინტერვიუ, სადაც მრავალ საინტერესო თემაზე ილაპარაკა. მათ შორის იმაზეც, თუ რამ გადააწყვეტინა ფეხბურთელს ამ ნაბიჯის გადადგმა. მასალას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**

**- როგორი იყო იაპონიაში ახალგაზრდულ ასაკში სათამაშოდ წასვლა?**

- როცა ჩავედი, ყველაფერი მეუცხოვებოდა. 18 წლისა ვიყავი, მეგონა, რომ ადაპტაცია ძალიან გამიჭირდებოდა, მაგრამ რეალურად ეს პროცესი ბევრად უფრო იოლი აღმოჩნდა. ქვეყანაში ყველაფერი მშვენივრად იყო მოწყობილი. სადაც არ უნდა წავსულიყავი, ბრაზილიელები ყველგან მხვდებოდნენ, რომლებიც ყველანაირად მეხმარებოდნენ.

**- იაპონიამდე გარკვეული დრო პორტუგალიაშიც გაატარეთ, არა?**

- დიახ, პორტუგალიაში რომ ჩავედი, მაშინ 15 წლის გახლდით. გასინჯვაზე "კორინთიანსში" ვიყავი, მაგრამ აგენტმა დამირეკა და მითხრა, რომ ევროპაში უნდა გავფრენილიყავით. ჩავალაგე ჩანთა და გავფრინდი, სადაც ერთი წელიწადი გავატარე და ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, რადგან პროფესიონალ ფეხბურთელებთან ერთად ვვარჯიშობდი.

**- ის ფაქტი, რომ ბრაზილიაში პროფესიულ დონეზე ძალიან ცოტა გაქვთ ნათამაშები, სელესაოში მოხვედრას ართულებს?**

- ცოტას ნამდვილად ართულებს. ახლა, როცა ნაკრებში თამაშის გამოცდილება უკვე მაქვს, შეკითხვები ამ მხრივ კიდევ ჩნდება. ყველამ ნამდვილად არ იცის, თუ რა შემიძლია. ბრაზილია ძალიან პატარამ დავტოვე. ჩემპიონატში სულ 70 წუთამდე დამიგროვდა. ვფიქრობ, ბუნებრივია, რომ ჩემს შესაძლებლობებში ვილაცებს ეჭვი ჯერ კიდევ ეპარებათ.

**- უკაცრავად, რამდენი გაქვთ ნათამაშები?**

- დიახ, დიახ, დაახლოებით 70 წუთი. დებიუტი "ფლუმინენსესთან" მქონდა, სადაც შესვენების შემდეგ ჩავერთე შეხვედრაში, მეორედ "ინტერნასიონალთან" ვითამაშე.

**- სამშობლოში პირველ თავდამსხმელად არასოდეს გითამაშიათ. ასეა?**

- არ ცდებით. ბრაზილიაში ყოველთვის ფლანგებისკენ დახეულ ფორვარდად ვთამაშობდი. ევროპაში უკვე შეტევის მთელ ფრონტზე მიხდებოდა მოძრაობა. ახლა ყველაზე ხშირად სუფთა თავდამსხმელის ფუნქციას ვასრულებ.

**- ყოველთვის მარჯვენა ფლანგს ირჩევდით იმის მიუხედავად, რომ ცაცია ხართ.**

- დიახ და ეს ბუნებრივად ხდებოდა ასე. ფლანგიდან შეტევის დაწყება მეხერხება. საბედნიეროდ, ევროპაში მწვრთნელების უმრავლესობა ამ მხრივ ხელს მიწყობდა. ჟეზუალდო ფერეირა ("პორტუს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი) ერთ-ერთი ის სპეციალისტი იყო, ვინც ყველაზე მეტი ამაგი დამდო. ის ყოველთვის ნახულობდა დროს ჩემთან სასაუბროდ. სწორედ მან მაგრძნობინა ამ ქვეყანაში თავი ისე, თითქოს შინ ვიყავი.

**- ყველაზე რთული რა იყო აზიიდან ევროპაში გადასვლის შემდეგ?**

- ევროპაში აღმოვაჩინე, რომ ბევრად მეტი ყურადღება ექცეოდა ტაქტიკას. ფეხბურთელები უფრო მეტად იყვნენ მიჯაჭვულნი იმ პოზიციებს, სადაც მწვრთნელი მათ ამწესებდა. ნელ-ნელა შევეჩვიე დაცვის დახმარებასაც. წლების მერე ჩემთვის ყველაფერი ბევრად მარტივია.

**- ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ თქვენი ფეხბურთი ფიზიკურ ძალაზე უფროა დაყრდნობილი, ვიდრე სისწრაფესა და გონებაზე...**

- ჰო, ასე ბევრი ფიქრობს, მაგრამ მათ არ იციან ჩემი თამაშის სტილი. სწორედ ამიტომ ფიქრობენ, რომ ბრძოლას ვანიჭებ უპირატესობას. არადა, ასეთი არასოდეს ვყოფილვარ. ძალიან მიყვარს ბურთთან ერთად წინ წასვლა და მეტოქეების მოტყუება.

> **მამას ყოველთვის იმას ვეუბნებოდი ხოლმე, შეხედე რა ძლიერი ვარ-თქო, ისიც მპასუხობდა, ჰო, ჰალკი ხარო. ხალხიც დღემდე ასე მიცნობს.**

**- ჰალკი, სუპერგმირის მეტსახელი როგორ შეგერქვათ?**

- ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვიყავი და ეს გმირი ძალიან მიყვარდა. მამას ყოველთვის იმას ვეუბნებოდი ხოლმე, შეხედე, რა ძლიერი ვარ-თქო, ისიც მპასუხობდა, ჰო, ჰალკი ხარო. ხალხიც დღემდე ასე მიცნობს. კიდევ კარგი ფიზიკურად ძლიერი ვარ და მეტსახელი შემეფერება.



**- როცა "ზენიტთან" კონტრაქტს ხელი მოაწერეთ, რამდენჯერმე გაიმეორეთ, რომ პეტერბურგში ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება იგეგმებოდა. ყველაზე მეტად ამ პროექტის რომელი ნაწილი მოგეწონათ?**

- მთელი ზაფხულის განმავლობაში "პორტუმ" რამდენიმე წინადადება მიიღო ჩემს ტრანსფერზე, მაგრამ არც ერთი არ იყო იმდენად საინტერესო, რომ დიდი ყურადღება მიგვექცია. კონტრაქტზე ხელმოწერამდე ლუჩანო სპალეტის ველაპარაკე. მან ყველაფერი დაწვრილებით ამიხსნა და დამაინტერესა. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ "ზენიტი" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იქნება.

**- მთავარი მიზანი რა არის?**

- ცხადია, რუსეთის ჩემპიონატის მოგება, ასევე ჩემპიონთა ლიგაში მაქსიმალურად კარგად გამოსვლა. სტარტზე ორ შეხვედრაში დავმარცხდით, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს.

**- "პორტუშიც" არაერთხელ გითამაშიათ ჩემპიონთა ლიგაში. კლუბებისთვის რამდენად განსაკუთრებული შეიძლება იყოს აქ მიღებული გამოცდილება?**

- ლიგაში ყოველთვის ევროპის საუკეთესო კლუბებთან გიწევს დაპირისპირება. ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ისეთი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის, როგორიც პორტუგალია და რუსეთია, რადგან ამ ქვეყნის ჩემპიონატებს ისე დაწვრილებით არავინ აშუქებს, როგორც, ვთქვათ, იტალიასა და ინგლისს.

**- ადაპტაციასთან დაკავშირებული რა პრობლემები შეგხვდათ რუსეთში?**

- სიმართლე გითხრათ, არანაირი. თანაც პეტერბურგი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალაქია, რომელიც ოდესმე მინახავს.

არსენალი

# უილშირი რედინგთან დაბრუნდება

## ანდრე სანტოსის გასაჭირი და დაუჯერებელი ტრანსფერი

"დეილი მეილის" ცნობით, "არსენალის" 20 წლის ცენტრალური ნახევარმცველი ჯეკ უილშირი ზუსტად 17-თვიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება პირველ გუნდს. არსენ ვენგერი მას 30 ოქტომბერს "რედინგთან" ლიგის თასის მე-4 ეტაპის შეხვედრაში შეიყვანს განაცხადში. დღეს კი ის "ჩელსისთან" ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშებს. ეს მატჩი "არსენალის" ბაზაზე გაიმართება და მასზე დასწრების უფლება ჟურნალისტებს არ ექნებათ. ფეხბურთელს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აღარ აწუხებს, თუმცა ახალგაზრდა პლეიმეიკერს ზედმეტი წონა აქვს, რომელიც მან უახლოეს 2 კვირაში უნდა მოიშოროს. უილშირის გარდა დღეს "მეთოფეებს" კიდევ ორი მოთამაშე უბრუნდება. ესენი არიან ბაკარი სანია და ემანუელ ფრიმპონგი.



20 წლის ჯეკ უილშირი ძირითად გუნდში 2011 წლის ივლისის შემდეგ პირველად ითამაშებს

### სავარაუდო ტრანსფერები

ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მცველმა, 29 წლის **ანდრე სანტოსმა** ვერა და ვერ მოახერხა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება. ის ახალ კლუბს ეძებს. თურქული სპორტული ვებგვერდების მტკიცებით, მისი შეძენით ყველაზე მეტად "გალათასარაია" დაინტერესებული. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი "ემირიტსზე" შარშან ზაფხულზე "ფენერბაჰჩედან" მოხვდა. მას ტრავმირებული **კირან გიბსის** შემცვლელად განიხილავდნენ, მაგრამ ბედის ირონიით, ტრავმებმა არც მას დააკლო ხელი. ახლა, როცა გიბსმა მოიკეთა, ვენგერს სანტოსის სამსახური უკვე აღარ სჭირდება. *"ანდრე ჩვენი მთავარი სამიზნეა. უახლოეს მომავალში ჩვენ მასთან მოლაპარაკებებს დავიწყებთ. თუმცა აქვე გეტყვით, რომ მას ჯერ არ დავკავშირებივართ,"* - განაცხადა "გალათასარაის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ლიუტფი არიბოგანმა**.

სანტოსის გარდა "არსენალს" იანვარში დატოვებს **ანდრეი არშავინიც**. 31 წლის რუს გარემარბს დიდი ხანია უჭირს არათუ ძირითადში, არამედ სათადარიგოთა სკამზე მოხვედრაც კი. „დეილი სტარის" მტკიცებით, ფეხბურთელის გადაბირებას "ფულჰემი" გეგმავს. **მარტინ იოლის** თქმით, იანვარში მას 52 მილიონი ფუნტის დახარჯვის უფლება ექნება, 30-ს კლუბს **მოჰამედ ალ-ფაიედი** გამოუყოფს, 22 კი "ფულჰემს" ზაფხულზე ფეხბურთელების გაყიდვით აქვს ნაშოვნი.

ბოლოს კი ცოტა არ იყოს და, დაუჯერებელ ამბავს გეტყვით: transfermarketweb.com-ის ინფორმაციით, იანვარში "არსენალმა" "მანჩესტერ იუნაიტედიდან" შესაძლოა **ხავიერ ერნანდესი** შეიძინოს. 24 წლის მექსიკელი "ეშმაკებში" მხოლოდ მეოთხე თავდამსხმელად განიხილება **უეინ რუნის, რობინ ვან პერსისა** და **დენი უელბეკის** შემდეგ. ასე რომ, რატომ შეიძლება მოისურვოს "ოლდ ტრეფორდის" დატოვება ფეხბურთელმა, ვფიქრობთ, ყველასთვის ნათელია.

ამბები

### ჯერარდი: ვიეირა ცდება

წინა კვირაში "მანჩესტერ სიტის" 36 წლის აღმასრულებელმა დირექტორმა **პატრიკ ვიეირამ** ინგლისურ პრესას განუცხადა, რომ მისი დაკვირვებით, ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელებისთვის არათუ ასაკობრივ, არამედ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაშიც კი აღარ არის პრესტიჟული და ისინი ყველანაირად ცდილობენ, თუნდაც მოგონილი ტრავმების წყალობით თავი აარიდონ შეკრებებს. ამ ბრალდებაზე (სხვაგვარად ამას ვერც შევაფასებთ) ფრანგს "ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების კაპიტანმა, 32 წლის **სტივენ ჯერარდმა** უპასუხა: *"როცა ინტერვიუ წავიკითხე, გავოცდი, რადგან ყოველდღიურად ვხედავ ახალგაზრდა ინგლისელებს, რომლებიც სულ სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი ძალიან ბევრს შრომობენ, რათა თავიანთი ნაკრების ძირითადში ადგილი დაიმკვიდრონ. ვაფიქსირებ ხოლმე მათ იმედგაცრუებას, როცა სკამზე რჩებიან. სიმართლე გითხრათ, ოდნავადაც არ მაღელვებს, თუ რას ფიქრობს ვიეირა. ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი თანამემამულეები მონდომებულები არიან დიდი ფეხბურთის თამაშს".*

### ჰოჯსონი განმარტებას ითხოვს

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** ფიფასგან ოფიციალურ განმარტებას ითხოვს, შეუძლია თუ არა "არსენალის" 20 წლის მარჯვენა მცველ **კარლ ჯენკინსონს** ინგლისის ნაკრებში თამაში. საქმე ის არის, რომ ფეხბურთელს ამ ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებებშიც აქვს ნათამაშები და ფინეთის ახალგაზრდულის ღირსებაც დაუცავს. როცა კარლს საქმე არჩევანზე დაუდგა, რომელი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ეთამაშა, ცხადია, მან ინგლისი აირჩია. მით უფრო, რომ "სამი ლომის" ამჟამინდელი თავკაცი მისით სერიოზულად არის დაინტერესებული. ჰოჯსონმა **არსენ ვენგერისგან** სპეციალური ნებართვა ითხოვა, რათა ფეხბურთელი სანაკრებო შეკრებაზე მიეწვია იმის მიუხედავად, რომ ის პოლონეთთან შეხვედრაში მოედანზე ვერ გავიდოდა. გუშინდლამდე ის სწორედ ჰოჯსონის განკარგულებაში იყო.

### ბლექბერნის არჩევანი

"დეილი მეილის" ინფორმაციით, როგორც ჩანს, "ბლექბერნის" ბოსებმა მიაგნეს სასურველ მწვრთნელს. "ვარდების" დამრიგებლად უქმეებამდე "ტოტენჰემში" **ანდრე ვილაშ ბოაშის** პირველი თანაშემწე **ტიმ შერვუდი** დაინიშნება. 43 წლის სპეციალისტს ფეხბურთელობისას "ივუდ პარკზე" 7 წელი აქვს გატარებული (1992/99). სწორედ ის იყო 1995 წელს კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი მიღწევის, პრემიერლიგის მომგები "ბლექბერნის" კაპიტანი და ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი.

### სიტის არაბული შემოდგომა

"მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობამ, ისარგებლა რა სანაკრებო პაუზით, ბაზაზე დარჩენილ ფეხბურთელებს არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში შეკრება მოუწყო. ამას კლასიკური გაგებით შეკრება არც ჰქვია, რადგან "ქალაქელებმა" მეუღლეები და მეგობარი გოგონებიც თან წაიყვანეს. როგორც სოციალური ქსელებიდან ირკვევა, ფეშენებელური სასტუმროებით განსაკუთრებით ფეხბურთელების ოჯახის წევრები არიან აღფრთოვანებულები.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

სახალისო საკითხავი

# საინტერესო და სასაცილო გამოთქმები ფეხბურთზე

**ფეხბურთი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა, რომელსაც მილიონობით ქომაგი ჰყავს. მრგვალი ბურთის ოსტატებმა ამ თამაშით ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი "დაააავადეს" – დაწყებული უბრალო მუშიდან, დამთავრებული მსოფლიოში აღიარებული გენიოსებით. მოდით ერთად გადავხედოთ სხვადასხვა ცნობილი ადამიანების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს სპორტის ამ სახეობაზე. ზოგი მათგანი საინტერესოა, ზოგი სასაცილო, ზოგიც კი ორივე ერთად...**





ჯორჯ ორუელი

დავიწყოთ ინგლისის ნაკრების ლეგენდარული ფეხბურთელით: **ალან შირერმა** ერთხელ აი ასეთი ფილოსოფიური ფრაზა წარმოთქვა: *"წარუმატებლად მოემზადეთ? – მოემზადეთ წარუმატებლობისთვის"*. ვერაფერს იტყვი, სიტყვების მშვენიერი თამაშია.

ფეხბურთი ინტელექტუალებსაც უყვარდათ. მაგალითად **ჟან პოლ სარტრმა** ერთხელ იხუმრა: *"ფეხბურთში ყველაფერი მოწინააღმდეგე გუნდის არსებობის გამო არის გართულებული"*.

**ოსკარ უაილდი**: *"ფეხბურთი კარგი თამაშია უხეში გოგონებისთვის, მაგრამ არა დელიკატური ბიჭებისთვის"* - უაილდი თავის სტიქიაში იყო.

"მექანიკური ფორთოხალის" ავტორი **ენტონი ბერჯისი** ფეხბურთზე აი ასე იყო შეყვარებული: *"როგორც ბიბლიაში წერია: ხუთი დღე სამუშაოსთვისაა, მეშვიდე ღმერთის, აი მეექვსე დღე კი ფეხბურთისთვის არის"*.

ურუგვაელმა ჟურნალისტმა **ედუარდო გალეანომ** საკმაოდ საინტერესო თეზისი ჩამოაყალიბა: *"ცხოვრების განმავლობაში კაცმა, შეიძლება შეიცვალოს ცოლი, პოლიტიკური პარტია ან რელიგია, მაგრამ ის ვერასდროს შეიცვლის საყვარელ საფეხბურთო გუნდს"*.

ალბერ კამიუსთვის კი ფეხბურთი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ სპორტის სახეობა: *"ყველაფერი, რაც მე ადამიანის მორალურობასა და პასუხისმგებლობაზე ვიცი, ფეხბურთიდან ვისწავლე"*.

"1984"-ის და "ცხოველთა ფერმის" ავტორი **ჯორჯ ორუელი** კი სანაკრებო ფეხბურთს სხვა ჭრილში განიხილავდა: *"საერთაშორისო (სანაკრებო) ფეხბურთი ომის გაგრძელებაა, უბრალოდ, სხვა საშუალებებით"*.

საფეხბურთო სამყაროში, ენამახვილობაში ცოტა ვინმე თუ გაეჯიბრებოდა **ბილ შენკლის**. ლეგენდარული "ლივერპულის" ლეგენდარულ მწვრთნელს "ევერტონის" დაცინვა უყვარდა: *"როდესაც საქმე არ მაქვს, ჩემპიონატის ცხრილის ბოლოში ვიყურები, რომ ვნახო, "ევერტონი" რას შვება"*.

*"ამ ქალაქს ორი დიდი გუნდი ჰყავს: "ლივერპული" და "ლივერპულის" რეზერვები"* – ესეც ბილ შენკლის ნათქვამია.

ისევ შენკლი: *"ზოგი ამბობს, რომ ფეხბურთი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია... რა სისულელეა, ის ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანია"*.

"ლივერპულის" ლეგენდაზე არანაკლებ "ხუმარა" კიდევ ერთი ლეგენდა **ჯორჯ ბესტი** იყო. მოგეხსენებათ "მანჩესტერ იუნაიტედის" 7-იანი ალკოჰოლურ სასმელებთან "მეგობრობდა", რაც მას საბოლოოდ მძიმედ დაუჯდა, თუმცა სანამ ცოცხალი იყო, ჯორჯი ამ საკითხზე მუდამ ხუმრობდა: *"1969 წელს მე ქალებს და ალკოჰოლს თავი დავანებე... ეს იყო ყველაზე საშინელი 20 წუთი ჩემს ცხოვრებაში"*.

*"მე მხოლოდ მაშინ არ ვსვამ, როდესაც მძინავს"* - ესეც ჯორჯ ბესტის კიდევ ერთი ნათქვამი.

ალკოჰოლის თემის გარდა, ბესტი სხვა საკითხებზეც ხუმრობდა. აი მაგალითად: *"ერთხელ მე ვუთხარი "გაზას" (პოლ გასკოინი), რომ მისი IQ იმაზე დაბალი იყო, ვიდრე მისი ნომერი მაისურზე, მან კი მკითხა: "რა არის IQ?"*.

"იუნაიტედის" კიდევ ერთი ლეგენდარული 7-იანი ბესტზე: *"სამოთხეში, პირველივე ვარჯიშის დროს, ჯორჯ ბესტმა, თავის მარჯვენა ფლანგზე თავბრუ დაახვია ღმერთს, რომელიც მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობდა. ძალიან მინდა, რომ მან საკუთარ გუნდში ჩემთვის ერთი ადგილი შეინახოს... ბესტმა, რა თქმა უნდა და არა ღმერთმა"*. ვერ მიხვდით ამას ვინ იტყოდა?

აი მისი მეორე გამოთქმაც: *"საუკეთესო მომენტი ჩემს კარიერაში? ეგეთი ბევრი მქონდა, მაგრამ ყველაზე უკეთ მაინც ის დღე მახსენდება, როდესაც იმ ტიპს ტრიბუნაზე წიხლი ჩავარტყი"*. მგონი გასაგებია, ვინც არის და რა ინციდენტზეც საუბრობს.

თუ მაინც ვერ მიხვდით, გეტყვით, რომ ეს **ერიკ კანტონა** გახლავთ და "უიმბლდონის" ქომაგისთვის წიხლის ჩარტყმაზე საუბრობს, რომლის შემდეგაც ფრანგმა 7-თვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

ისე, სხვათა შორის, კანტონა ჯერ კიდევ 19 წლის იყო, როდესაც საფრანგეთში თამაშის დროს, მატჩის შემდეგ, მოწინააღმდეგე გუნდის ერთბაშად 7 ფეხბურთელს საჩხუბრად ეცა – ამ შვიდიდან 3 საავადმყოფოში მოხვდა, ოთხმა კი გაქცევა მოასწრო.

**იოჰან კრუიფს** იტალიელების სათამაშო სტილი არ უყვარს, რაც მის ამ ნათქვამშიც ჩანს: *"იტალიელები ვერ მოგიგებენ, მაგრამ შენ შეიძლება წააგო მათთან"*.

"ბარსელონას" ყოფილ ფორვარდ **ხრისტო სტოიჩკოვს** კი მადრიდის "რეალის" ატანა არ ჰქონდა: *"მადრიდის "რეალის" გაგონებაზეც კი ღებინება მინდება"*.

"რეალი" და "ბარსა" ვახსენეთ და ორივეში ნათამაშები **რონალდო** რომ არ გავიხსენოთ, არაფრით შეიძლება, მით უმეტეს, რომ მან ერთხელ ლეგენდარული ფრაზე წარმოთქვა. დაუკვირდით, რამხელა აზრი დევს მის ამ ნათქვამში. მაშ ასე, რონალდო: *"ჩვენ წავაგეთ, იმიტომ რომ ვერ მოვიგეთ"*...

არიგო საკი რონალდოზე გაცილებით ჭკვიანი



ოსკარ უაილდი

რომ არის, მის შემდეგ ნათქვამშიც ჩანს. მოგეხსენებათ არიგო წარუმატებელი ფეხბურთელი იყო და ამას მუდამ ახსენებდნენ, რაზეც გენიალურმა მწვრთნელმა შემდეგი უპასუხა: *"აუცილებელი არ არის კარგი ცხენი იყო, კარგი ჟოკეი რომ გახდე"*.

და ბოლოს, ალბათ საუკეთესო ფრაზა, რომელიც ოდესმე წარმოთქმულა გლაზგოს დერბის დასახასიათებლად: *"ათეისტის გლაზგოური დეფინიცია: ტიპი, რომელიც მიდის "რეინჯერსი"-"სელტიკის" თამაშზე, იმისთვის, რომ უყუროს ფეხბურთს"*.



ჟან პოლ სარტრი



ენტონი ბერჯისი

ამბები

## რობინიო მილანში ბედნიერია

**რობინიომ** განაცხადა, რომ ის ბედნიერია "მილანში" და ყოფილ კლუბ "სანტოსში" გადასვლას არ აპირებს. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ბრაზილიური კლუბი რობინიოს დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ 28 წლის მოთამაშემ ეს ცნობა უარყო: *"სანტოსი" ძალიან მიყვარს, მე იქ გავიზარდე და ბოლომდე ამ გუნდის ქომაგი ვიქნები, მაგრამ ახლა ბრაზილიაში დაბრუნებას ნამდვილად არ ვაპირებ. "როსონერისთან" კონტრაქტი მაკავშირებს და მისი შესრულება მინდა, რადგან თავს გუნდის მნიშვნელოვან ნაწილად ვგრძნობ და აქ ბედნიერი ვარ"* – განაცხადა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ რობინიომ ფეხბურთის თამაში სწორედ "სანტოსში", 2002 წელს დაიწყო და მის რიგებში 46 გოლიც გაიტანა. "სანტოსმა" იმ პერიოდში ორჯერ მოიგო ბრაზილიის ჩემპიონატი, გარდა ამისა გამარჯვება ბრაზილიის თასზე და სან პაულოს შტატის ჩემპიონატშიც მოიპოვა.

## ბაზელმა ჰაიკო ფოგელი გაუშვა

შვეიცარიის ჩემპიონატში აღებული არადამაჯერებელი სტარტის შემდეგ, "ბაზელის" ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარ მწვრთნელთან გამოთხოვება გადაწყვიტეს. 36 წლის **ჰაიკო ფოგელმა** მწვრთნელის პოსტი შარშან ჩაიბარა და "ბაზელი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც გაიყვანა, თუმცა წელს შვეიცარიის ჩემპიონებმა საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახეს, ხოლო ეროვნულ პირველობაზე 12 თამაშიდან მხოლოდ 5 მოიგეს.

"ბაზელის" ახალი დამრიგებელი გუნდის ყოფილი ფეხბურთელი, 38 წლის **მურატ იაკინი** იქნება.

## ლისანდრო ლოპესმა შესაძლოა ფლორენციას მიაშუროს

**უგო ლორისის** წასვლის შემდეგ, "ლიონმა" შესაძლოა მეორე ლიდერიც დაკარგოს. გაზეთ "ლა ნაციონეს" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლისანდრო **ლოპესმა** "ფიორენტინასთან" კონტრაქტის დეტალები შეათანხმა და სერია A-ს კლუბს ზამთარში მიაშურებს. როგორც გამოცემა იუწყება, ფლორენციელები, 29 წლის არგენტინელში, დაახლოებით 11 მილიონ ევროს გადაიხდიან.

ეს ცნობა ჯერ არავის დაუდასტურებია, მაგრამ კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, ამაში ძალიან ბევრჯერ დავრწმუნებულვართ. შეგახსენებთ, რომ ლისანდრო ლოპესი "ლიონში" 2009 წლიდან თამაშობს და დღეისთვის ლიგა 1-ში 95 შეხვედრაში 53 გოლი აქვს გატანილი.

## ფელიპე ანდერსონი მოხარულია

გუშინ მოგახსენეთ, რომ **ფელიპე ანდერსონი** შესაძლოა "მილანში" გადავიდეს. პრესაში გავრცელდა ინფორმაცია "როსონერის" მიერ 19 წლის ფეხბურთელით დაინტერესების შესახებ. "სანტოსის" ახალგაზრდა ტალანტი მსგავსი პერსპექტივით მოხიბლულია. აი, რა განუცხადა მან ჟურნალისტებს: *"ამის შესახებ გაზეთებიდან და ტვიტერიდან შევიტყვე. რეალურად ჩემთვის არავის მოუმართავს, მაგრამ საკუთარ თავზე მსგავსი ინფორმაციის გაგება ძალიან სასიამოვნოა. "სანტოსში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ "მილანის" მხრიდან სერიოზული დაინტერესების შემთხვევაში უარს უბრალოდ ვერ ვიტყვი. ვნახოთ, თუ იტალიიდან ისეთი წინადადება წამოვა, რომელიც ჩემთვისაც და კლუბისთვისაც მისაღები იქნება, ვფიქრობ, ტრანსფერს ხელს ვერაფერი შეუშლის"*.

ახალგაზრდა მოთამაშემ ეს სეზონი არცთუ ისე დამაჯერებლად დაიწყო, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, გუნდიდან **პაულო ენრიკე განსოს** წასვლის შემდეგ, მშვენივრად ათამაშდა და საკუთარი კლუბის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა.

## რეო-კოკერმა გუნდი იპოვა

წინა სეზონის დასრულების შემდეგ, უგუნდოდ მყოფმა **ნაიჯელ რეო-კოკერმა** ნავსაყუდელი იპოვა. 28 წლის ნახევარმცველი "ბოლტონიდან" წასვლის შემდეგ თავისუფალი აგენტი იყო. რეო-კოკერის ახალი გუნდი "იფსვიჩ თაუნი" იქნება, რომელთანაც ფეხბურთელმა სამთვიანი ხელშეკრულება გააფორმა და მისი დებიუტი შესაძლოა უკვე მომდევნო ტურში, "ჰალ სიტის" წინააღმდეგ შედგეს. "იფსვიჩი" ჩემპიონშიპში 23-ე ადგილზეა და 10 ტურის შემდეგ მხოლოდ 7 ქულა აქვს.

ნაიჯელ რეო-კოკერი "ბოლტონამდე", "ვესტ ჰემის", "ასტონ ვილას" და "უიმბლდონის" ღირსებას იცავდა. მას ასევე 23-ჯერ აქვს ნათამაშები ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრებში, თუმცა ეროვნულ გუნდში არ უთამაშია.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალჩოპოლი

# დიდი იტალიური დერბი მოედანს მიღმა



მასიმო მორატისა და ანდრეა ანიელის აზრები ისევ გაიყო

"კალჩოპოლის" ცნობილი პროცესებიდან მოყოლებული, "იუვენტუსს" უამრავი სანქცია დაატყდა თავს... გახსოვთ ალბათ, ტურინული გრანდი სერია B-შიც კი დააქვეითეს, საიდანაც უკვე ახალი მესვეურების ხელში ამოვიდა და ძველი პოზიციები დაიბრუნა. მართალია, "ახალი იუვენტუსის" საწინააღმდეგო ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტში არაფერი აქვთ, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მიმდინარე სეზონშიც ყველაზე მეტად "ბიანკონერი" დაიჩაგრა. ტურინელთა მთავარ მწვრთნელ **ანტონიო კონტეს** "ბარისა" და "სიენაში" მუშაობის დროს ჩადენილი დანაშაული ამოუქექეს და 10-თვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მოკლედ, "იუვე" მაინც დაზარალებული გამოვიდა და კლუბის მესვეურებიც იძულებულნი გახდნენ, სადისციპლინო კომიტეტში, რომელსაც იტალიაში სპორტულ მართლმსაჯულებას უწოდებენ, სარჩელი შეეტანათ. უკვე დიდი ხანია ტურინელები გადაწყვეტილების გადახედვას და კონტესთვის სასჯელის მინიმუმ განახევრებას ელოდებიან, მაგრამ ამ საქმეს არა და არ დაადგა საშველი. სწორედ ამიტომ, **ანდრეა ანიელიმ** პრესასთან საგანგებო კომენტარი გააკეთა...

### ანდრეა ანიელი (იუვენტუსის პრეზიდენტი)

სადისციპლინო კომიტეტს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ანტონიო კონტეს დისკვალიფიკაციით აბსოლუტურად უდანაშაულო გუნდი დაზარალდა. განაჩენი მაქსიმუმ 5-თვიანი უნდა ყოფილიყო, რადგან არ შეიძლება გუნდი მთელი სეზონი უმწვრთნელოდ დატოვო. ამასთან, შეიძლებოდა თვითონ მწვრთნელი ფინანსურად დაეჯარიმებინათ და ამით, მისი პერსონალური სასჯელი გამოეტანათ და არა უდანაშაულო კლუბის. მოკლედ, სპორტული მართმსაჯულება კარგად ვერ ფუნქციონირებს და ჩემი აზრით, ამ მიმართულებით სერიოზული რეფორმებია გასატარებული. ცვლილებები დაუყონებლივ უნდა მოხდეს, რომ მომავალში ასეთ აბსურდულ ვითარებაში აღარ აღმოვჩნდეთ.

კალჩოპოლიდან მოყოლებული, "იუვენტუსის' მთავარი მოწინააღმდეგე "ინტერია". ყველაზე მეტად სწორედ მილანურმა გრანდმა იხეირა სკანდალური პროცესებით და სკუდეტოებს მიჯრით დაეუფლა. შესაბამისად, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ **მასიმო მორატი** სადისციპლინო კომიტეტის ამჟამინდელ შემადგენლობას სრულ მხარდაჭერას უცხადებს:

*"თუ კარგად დავაკვირდებით, სპორტული მართლმსაჯულება მყისიერად რეაგირებს თითოეულ დარღვევაზე და განაჩენებიც შესაბამისი გამოაქვს. კალჩო კორუფციაში იყო ჩაძირული და ის, რომ დღეს გაცილებით უკეთესი ვითარება გვაქვს, სწორედ ნაყოფიერი მუშაობის და ქმედითი ნაბიჯების დამსახურებაა. ჩემი აზრით, სადისციპლინო კომიტეტი კარგად მუშაობს და ამ მიმართულებით, რეფორმების აუცილებლობას ნამდვილად ვერ ვხედავ. არ შეიძლება, ადამიანმა დანაშაული ჩაიდინოს და შემდეგ, ხელშეუხებელი გახდეს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა კლუბში გადავიდა სამუშაოდ. დამნაშავე ყოველთვის იპოვის საბაბს თავი გაიმართლოს, მაგრამ რეალობა ისეთია, როგორიც არის".*

ტალანტი

# გაბიადინი ბოლონიაში იჩაგრება

## მაროტა უკმაყოფილოა

**მანოლო გაბიადინიზე** იტალიურ საფეხბურთო სამყაროში უდიდეს იმედებს ამყარებენ და მიაჩნიათ, რომ 20 წლის ფორვარდს დიდი ფეხბურთიოს თამაში შეუძლია. განსაკუთრებით ნაყოფიერად მანოლო ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში ირჯება, სადაც 14 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 10 გოლი გატანილი. სწორედ ამიტომ, გასულ ზაფხულს ის "ატალანტასგან" "იუვენტუსმა" გამოისყიდა და იჯარის წესით, "ბოლონიაში" გაუშვა. ტურინელთა მიზანი სრულიად გასაგებია, "ბოლონიაში" მანოლოს სათამაშო პრაქტიკა უნდა ჰქონოდა, თამაშსაც მოუმატებდა და შემდეგ, "იუვეში" გააგრძელებდა ასპარეზობას. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სეზონის დაწყებიდან უკვე შვიდი ტურია გასული, ახალგაზრდა ფორვარდს კი თამაშის საშუალება პრაქტიკულად არ ეძლევა. ამ დროისთვის, მოედანზე მხოლოდ 105 წუთი აქვს დაყოფილი, რაც ერთ შეხვედრაზე ცოტა მეტია. ბუნებრივია, ამ დროში მანოლომ ბევრი ვერაფერი მოასწრო და არსებული რეალობაც არ მოსწონს. არადა, ფაქტია, რომ **ალბერტო ჯილარდინომ** ძირითადი შემადგენლობიდან მყარად ამოაგდო. აღნიშნულ თემაზე პრესასთან კომენტარი "იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** გააკეთა:

*"გაბიადინი იმიტომ გავუშვით "ბოლონიაში", რომ ეთამაშა და ფორმაში ჩამდგარიყო, რეალობა კი ჯერჯერობით სხვაგვარია. თუ ასევე გაგრძელდა, ზამთარში აუცილებლად დავიბრუნებთ და სხვა გუნდში გავუშვებთ. თუნდაც "ატალანტაში", სადაც მას დიდი სიამოვნებით მიიღებენ. ჩვენთვის მთავარია, რომ მას სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს და გადაწყვეტილებასაც შესაბამისს მივიღებთ".*




მანოლო გაბიადინი "ბოლონიაში" წარდგენისას

დიდი დაპირისპირების წინ

# სასწორზე სამ ქულაზე მეტია




პაოლო კანავარო "იუვენტუსთან" მატჩს განსაკუთრებული მღელვარებით ელოდება

სერია A-ს მომდევნო ტურში, "იუვენტუსი" "ნაპოლის" უმასპინძლებს და ამ შეხვედრის ირგვლივ უკვე დიდი ხანია აქტიურად მსჯელობენ. კომენტარებიც უხვად გამოქვეყნდა როგორც ერთი, ისე მეორე ბანაკიდან. ბოლოს, პრესას ნეაპოლელთა კაპიტანი, 31 წლის **პაოლო კანავარო** გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*"ნეაპოლელი ვარ და კარგად ვიცი, რას ნიშნავს ჩვენი გულშემატკივრებისთვის "იუვენტუსთან" დაპირისპირება. გამომდინარე აქედან, მოახლოებულ ჯახს განსაკუთრებული მღელვარებით ველოდები. მართალია, როგორც სხვა შეხვედრებში, აქაც სამი ქულა უნდა გავითამაშოთ, მაგრამ დამიჯერეთ, ამ შემთხვევაში სასწორზე ბევრად უფრო მეტი დევს. ტურინში გამარჯვება ჩვენთვის უდიდესი სტიმული იქნება, რადგან ამ გუნდს ძალიან დიდი ხანია არ წაუგია. ვგრძნობ, რომ ჩვენ შეგვიძლია ისტორიული გამარჯვების მოპოვება, რაც საკუთარი თავის რწმენას გაგვიათმაგებს. რას დავუპირისპირებთ მეტოქეს? - ეს უფრო ვალტერ მაცარიმ იცის, რომელიც ეს დღეებია ბაზაზეა გამოკეტილი და მატჩისთვის განსაკუთრებულად ემზადება. ჩვენ ყველას გვჯერა მისი გამჭრიახობის".*

პოზიცია




დავიდ პისარო დანიელე დე როსის რჩევას აძლევს

# პისარომ დე როსი გააკრიტიკა

## ... და მონტელა შეაქო

**დავიდ პისარომ უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ "ფიორენტინაში" თავს შესანიშნავად გრძნობს და კარიერის ბოლომდე ფლორენციაში სურს დარჩება. ეს არცთუ უტოპიური გეგმაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკვე 33 წლისაა და მისივე განცხადებით, თამაშს კიდევ 2-3 წელი აპირებს. პისაროს ჟურნალისტებთან ურთიერთობა ყოველთვის გამოსდიოდა და ამჯერადაც, "კორიერე დელო სპორტს" საინტერესო თემებზე ესაუბრა...**

### ფიორენტინა

ფლორენციაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და იცით, რომ აქედან არსად წასვლას არ ვაპირებ. დღითი დღე ვრწმუნდები, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე და საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ. მართალია, დღეს "ფიორენტინა" მწვერვალების დასაპყრობად არაა მზად, მაგრამ ეს დროც მალე დადგება. ვინჩენცო მონტელას შესანიშნავი სამოქმედო გეგმა აქვს, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით. საერთოდ, მონტელასთან მუშაობა ერთ რამედ ღირს, ბრწყინვალე მწვრთნელი და კიდევ უკეთესი ადამიანია. მისი თავკაცობით "ვიოლა" აუცილებლად დაიბრუნებს ძველ დიდებას.

### ბორხა ვალერო

ბევრი ამბობს, რომ ბორხა ვალეროს გვერდით უკეთ ავთამაშდი. ეს არც მიკვირს, რადგან ესპანელი შესანიშნავად ირჯება და ამტკიცებს, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. ყოველთვის მზადაა სხვისი შეცდომა გამოასწოროს და თვითონ, პრაქტიკულად არასდროს ცდება. რაც არ უნდა რთულ ვითარებაში მიაწოდო ბურთი, მაინც შეინარჩუნებს და შეტევას გააგრძელებს. ვფიქრობ, ბორხას სახით, "ფიორენტინამ" უდიდესი შევსება მიიღო. მიხარია, რომ მის მხარდამხარ მიწევს თამაში, რადგან ამ ასაკშიც კი ბევრს ვსწავლობ.

### რომა

მართალია, "რომადან" კონფლიქტის ნიადაგზე წამოვედი, მაგრამ ამ გუნდს ყოველთვის ვუგულშემატკივრებ. ასეა ვინჩენცო მონტლაც და ჩვენ ხშირად ვიხსენებთ "ჯალოროსიში" გატარებულ პერიოდს. გამომდინარე აქედან, გვახარებს ამ გუნდის წარმატებები და გული შეგვტკივა წარუმატებლობებზე. ბოლო პერიოდში, ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ დანიელე დე როსი ზდენეკ ზემანს წაეკიდა და მათ შორის, სერიოზული უთანხმოებაა. სიმართლე გითხრათ, ეს არ მიკვირს, რადგან დე როსის ადრეც ჰქონდა პრობლემები მწვრთნელებთან. დანიელე ხშირად იღებს ზედმეტებს საკუთარ თავზე და ავიწყდება, რომ გუნდში მთავარი სიტყვა სწორედ მწვრთნელს ეთქმის. ამის შესახებ მასთან პირისპირაც მისაუბრია და გამიკრიტიკებია კიდეც. ვურჩევდი დანიელეს, რომ მთელი გუნდი ზემანის გარშემო გაერთიანდნენ - სხვა შემთხვევაში, წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია.

ლაციო

# არჩივები ჰუნტელაარს უმიზნებენ

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ლაციოს" მესვეურები ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ფორვარდის გადაბირებას შეეცდებიან და კანდიდატებს აქედანვე არჩევენ. ამბობენ, რომ რომაელთა სამიზნეში 29 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელი **კლას-იან ჰუნტელაარი** მოხვდა, რომელსაც "შალკეს" მესვეურებთან ურთიერთობა დაეძაბა და გერმანულ კლუბთან ხელშეკრულებას ვერ ახანგრძლივებს. "რაი სპორტის" მტკიცებით, რომაელები უკვე შეეხმიანნენ ჰოლანდიელს და მისგან მოლაპარაკების წამოწყებაზე თანხმობა მიიღეს.

როგორც ჩანს, "ლაციოს" მესვეურებს **მიროსლავ კლოზესთვის** ღირსეული პარტნიორის მოძებნა სურთ და ჰუნტელაარზეც ამად შეაჩერეს არჩევანი. აქვე, შეგახსენებთ, რომ 2009 წელს კლას-იანი უკვე თამაშობდა იტალიაში და "მილანის" ღირსებას იცავდა. ლომბარდიული გრანდის შემადგენლობაში 25 შეხვედრა გამართა და 7 გოლი გაიტანა.




კლას-იან ჰუნტელაარს იტალიაში თამაშის გამოცდილება აქვს

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

დორტმუნდის ბორუსია



# კევინს სკამი მობეზრდა

## ...და შეიძლება ინგლისში წავიდეს

კევინ გროსკროიტცი ბოლო დროს სულ სათადარიგოთა სკამზე ზის

**თითქოს მაყურებლის რანგში ყოფნისთვისაა განწირული: „შალკესთან“ უმძაფრეს დერბიმდე ერთი კვირით ადრე დორტმუნდის „ბორუსიას“ ნახევარმცველი კევინ გროსკროიტცი დაშავდა და „კობლენცთან“ ტესტ-მატჩში ვერ იასპარეზა, მაგრამ როგორც გერმანიის ჩემპიონის სამედიცინო შტაბი იტყობინება, 24 წლის „ძველი დორტმუნდელი“ ბუნდესლიგის მომდევნო ტურამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს და მოსისხლე მტერ „შალკესთან“ მატჩში მოედანზე გასვლა შეეძლება. მაგრამ ათამაშებს კი „ბორუსიას“ თავკაცი იურგენ კლოპი? საკითხავი, სწორედ ეს არის.**

*„სამშაბათიდან სრული დატვირთვით ვარჯიშს ვიწყებ და მოუთმენლად ველი „შალკესთან“ მატჩს,“* - უთხრა **გროსკროიტცმა** ჩვენს გერმანელ კოლეგებს. *„რურის დიდი დერბი“* მისთვის ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან „ძირძველი“ დორტმუნდელია და შესაბამისად, „ბორუსიას“ ფეხბურთელთაგან „შალკეს“ ყველაზე მეტად ვერ იტანს, რის გამოც BVB-ს ფანებსაც განსაკუთრებით უყვართ. მაგრამ ამ ბოლო დროს **კლოპი** გროსკროიტცს იშვიათად ათამაშებს. არადა, წინა სეზონში ძირითად შემადგენლობაში 26-ჯერ გაამწესა, შარშანწინ კი სულაც 32-ჯერ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბორუსია“ კევინის გარეშე წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ამ სეზონში იურგენი კევინს მხოლოდ ორჯერლა ენდო - „ვერდერთან“ (2:1) და „ლევერკუზენთან“ (3:0) მატჩებში.

„დორტმუნდის“ ნახევარდაცვაში უდიდესი კონკურენციაა, თუმცა ფაქტია, რომ „ბორუსიას“ მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი** ყველაზე სტაბილური მაშინაა, როცა მის ფლანგზე წინ გროსკროიტცი თამაშობს, რომელსაც დაცვისთვის მიხმარება კონკურენტებზე გაცილებით უკეთ ეხერხება. ამასთან, წინა სეზონში კევინმა შვიდი გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე გადაცემა გააკეთა. ახლა კი იშვიათად თამაშობს, რაც, პირველ რიგში, **მარკო როისის** ტრანსფერის „ბრალია“, თუმცა პოლონელი მარჯვენაფლანგელის, **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** ტრავმამ გროსკროიტცს, შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების შანსი მისცეს. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ კლოპი „შალკესთან“ მატჩში, 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში, შემტევი ნახევარმცველების პოზიცებზე როისის, **გიოტცესა** და გროსკროიტცის ტრიოს გაამწესებს.

### კევინი კი წასვლაზე ფიქრობს

მიუხედავად იმისა, რომ კევინს „დორტმუნდი“ თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტად უყვარს, თუ ასე გაგრძელდა, დიდი შანსია, რომ ზაფხულში „ბორუსიას“ გამოეთხოვოს, რადგან სიყვარული კარგია, მაგრამ არ უნდა, რომ **ლარს რიკენის** ბედი გაიზიაროს. გროსკროიტცს „ბორუსიასთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და კლუბის ხელმძღვანელებთან ახალი ხელშეკრულების თაობაზე პირველი მოლაპარაკებები უკვე გამართა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაფორმებულა.

კევინი არ მალავს, რომ ძალიან მოსწონს პრემიერლიგა და ამბობს, ინგლისში სიამოვნებით ვითამაშებდიო. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, რამდენიმე ინგლისურმა კლუბმა უკვე გამოთქვა მისი გადაბირების სურვილი, რადგან ფაქტია, რომ გროსკროიტცი თავისი სათამაშო სტილით პრემიერლიგას მართლაც მოუხდებოდა. კევინს „დორტმუნდის“ დატოვება ძალიან გაუჭირდება, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის არქონას ისევ წასვლა ურჩევნია. მისი გადაწყვეტილება იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად ხშირად ათამაშებს კლოპი წლის ბოლომდე და რას დაპირდება 2013 წლისთვის. ფაქტია, რომ მანამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო და 15 ოფიციალური მატჩია, რომელშიც კევინმა თავისი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცოს. ორი აზრი არ არსებობს, რომ პირველი შანსი „შალკესთან“ დერბიში მიეცემა.

### დორტმუნდის ლაზარეთი იცლება

„შალკესთან“ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში მოედანზე გასვლა შეეძლებათ 23 წლის ცენტრალურ მცველ **მატს ჰუმელსს** და 21 წლის **ილქაი გიუნდოგანსაც**, რომლებსაც ასევე ტრავმები აწუხებდათ. სრულად გამოჯანმრთელდა 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერიც**.

ვეტერანი

# წავიდე, თუ არ წავიდე?

## ბებერი ოკა კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა

ფრანკფურტის „აინტრახტი“ **ოკა ნიკოლოვის** გარეშე უკვე წარმოუდგენელია - 21 წელია, რაც დღესდღეობით 38 წლის მეკარე ამ გუნდის ღირსებას იცავს. თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული და „ბებერი ოკაც“ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებაზე დაფიქრდა.

*„ამ სეზონში საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს კარგად დავაკვირდები და თუ მივხვდები, რომ გაგრძელება აღარ ღირს, ზაფხულში კარიერას დავასრულებ,“* - აცხადებს ვეტერანი მეკარე „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ნიკოლოვი მიიჩნევს, რომ ახლა მართლაც კარგ ფორმაშია, მაგრამ სეზონის ბოლომდე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. თანაც, ოკა უკვე აღარ არის „აინტრახტის“ პირველი მეკარე - ის, რაც წლების მანძილზე ბევრმა გოლკიპერმა ვერ შეძლო, ამ სეზონში 22 წლის **კევინ ტრაპმა** მოახერხა: მან ნიკოლოვი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო.

*„38 წლის ასაკში დიდი დატვირთვების გაძლება უკვე ძალიან ძნელია, თუმცა ვიმეორებ, რომ ჯერჯერობით ორგანიზმი კარგად მომყვება,“* - ამბობს ნიკოლოვი, რომელიც იანვარში კლუბის ხელმძღვანელებთან გასაუბრებას გეგმავს. გამორიცხული არაა, რომ „აინტრახტის“ შეფებმა ის ბავშვთა ფეხბურთში, მწვრთნელის რანგში დაასაქმონ.



აინტრახტის ვეტერანი მეკარე ოკა ნიკოლოვი

ამბები

### ბაიერნი ლულიჩით დაინტერესდა

იტალიური პრესის ცნობით, მიუნხენის „ბაიერნი“ რომის ლაციოს მარცხენაფლანგელით, **სენად ლულიჩით** დაინტერესდა. ბოსნიელ ფეხბურთელს შეუძლია როგორც მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაში, ისე მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ასპარეზობაც და ნებისმიერ შემთხვევაში მთელი ფლანგის გაკონტროლება ეხერხება, რაც იმას ნიშნავს, რომ სწორედ ისეთი ფეხბურთელია, როგორიც რეკორდმაისტერს სჭირდება. ცნობილია, რომ 26 წლის ლულიჩით ლონდონის „ჩელსიცაა“ დაინტერესებული. ბოსნიელს „ლაციოსთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული და ცხადია, რომ რომაელები მის სანაცვლოდ საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვენ.

### ბაბელმა ევროპა აიჩემა

მიუხედავად იმისა, რომ შვიდი ტურის შემდეგ „ჰოფენჰაიმი“ ბუნდესლიგაში მე-13 ადგილზეა, „სოფლელების“ მთავარი მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** აცხადებს, რომ მისი გუნდის მიზანი მინიმუმ ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა და დარწმუნებულია იმაში, რომ „ჰოფენჰაიმს“ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა შეუძლია.

*„საკუთარი გამოცდილება მკარნახობს, რომ ამ გუნდს ევროპალიგის საგზურის მოპოვება შეუძლია და თუ ჩვენ უფრო მეტად მოვინდომებთ, მიზანს მივაღწევთ. გვყავს როგორც გამოცდილი, ისე ნიჭიერი, ახალგაზრდა ფეხბურთელებიც და გვაქვს იმის პოტენციალი, რომ ექვსეულში მოსახვედრად ვიბრძოლოთ,“* - ამბობს „ჰოფეს“ 40 წლის დამრიგებელი.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

იაპონელები ბუნდესლიგაში

# კაგავას შთამომავლები

## ბუნდესლიგაში იაპონელი ფეხბურთელების ბუმია



შინჯი კაგავას წარმატებების შემდეგ გერმანიაში იაპონელი ფეხბურთელები მომრავლდნენ

**ერთი მეკარეც და ბუნდესლიგაში მოთამაშე იაპონელი ფეხბურთელებისგან კარგი გუნდი შეიკვრებოდა, რადგან გერმანიის ჩემპიონატში იაპონიიდან ექვსი ნახევარმცველი, სამი მცველი და ერთი თავდამსხმელი ასპარეზობს...**

ფაქტია, რომ ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების საუკეთესო ოთხეულიდან ყველაზე მეტი იაპონელი ფეხბურთელი სწორედ ბუნდესლიგაში თამაშობს და ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ მათი რაოდენობა მალე კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მოქნილი, ტექნიკური და მებრძოლი იაპონელები, როგორებიც არიან **ტაკაში ინუი** (24 წლის, აინტრახტი), **ტაკაში უსამი** (20, ჰოფენჰაიმი) ან **ჰიროში კიოტაკე** (22, ნიურნბერგი), თავიანთი კლუბების ფანებს მართლაც ალაფრთოვანებენ.

*„ადრე იაპონელი ფეხბურთელების გერმანული კლუბებისთვის შეთავაზებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ინტერესი არ არსებობდა, მაგრამ მას მერე, რაც შინჯი კაგავამ „დორტმუნდში“ სახელი გაითქვა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ 20-ჯერ ძვირად გაიყიდა, გერმანული კლუბები იაპონელებით უფრო და უფრო ინტერესდებიან,“* - აცხადებს გერმანიაში დაბადებული და გაზრდილი იაპონელი აგენტი **კენ ვაკაცუკი**, რომელსაც იაპონიიდან გერმანიაში ფეხბურთელები ჩაჰყავს.

2011 წელს მან მიუნხენის „ბაიერნში“ პირველი იაპონელი ფეხბურთელი ჩაიყვანა. მართალია, უსამიმ რეკორდმაისტერში თავი ვერ დაიმკვიდრა, მაგრამ ახლა „ჰოფენჰაიმშია“ და იქ ძალიან კარგად გამოიყურება - ამ სეზონში უკვე ორი გოლის გატანა მოასწრო. აინტრახტელმა ინუიმ სულაც სამი გოლი გაიტანა, ნიურნბერგელმა კიოტაკემ კი მხოლოდ ერთი, მაგრამ, სამაგიეროდ, ფრანკებს 4 საგოლე პასითაც შეეწირა. ინუიცა და კიოტაკეც უკვე იყვნენ ტურის გმირები და სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდნენ.

### მიდგომა შეიცვალა, იაპონელები დააფასეს

*„ფეხბურთი შეიცვალა და თანამედროვე სტილს იაპონელი ფეხბურთელები უფრო და უფრო შეესაბამებიან,“* - ამბობს ვაკაცუკი.

დღეს მთელი მსოფლიო „ბარსელონას“ შეჰნატრის, სადაც **ლიონელ მესი**, **ანდრეს ინიესტა** და **ჩავი ერნანდესი** ბრწყინავენ. ისინი ტანდაბალი ფეხბურთელები არიან, „ბარსა“ კი სწრაფი მოკლე პასებით თამაშობს. ამ სტილს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა და ამ სტილში იაპონელი ფეხბურთელები მართლაც სამაგალითოდ ჯდებიან.

გერმანელი მრჩეველი **თომას კროთი** იაპონელ ფეხბურთელებს 1995 წლის შემდეგ ეძებს და იაპონიაში საუკეთესო კონტაქტები აქვს. მისი თქმით, ევროპულმა გრანდებმა ახლაღა დაიწყეს იაპონელი ფეხბურთელების დაფასება.

*„ადრე ამბობდნენ, იაპონელი მოთამაშეები ზედმეტად დაბლები და სუსტები არიანო, მაგრამ მე მათ ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ სწორედ ესაა იაპონელი ფეხბურთელის მთავარი პლუსები. რაც მთავარია, ეს ბიჭები ყოველთვის ბრძოლისუნარიანები არიან და თავს არასდროს ზოგავენ. სისუსტე და ტანდაბლობა კი ტექნიკურობას და სისწრაფესაც ნიშნავს. გერმანულმა კლუბებმა იაპონელ ფეხბურთელებზე აზრი განსაკუთრებით მას მერე შეიცვალეს, როცა ნახეს, რომ მაკოტო ჰასებემ „ვოლფსბურგში“ იმედები გაამართლა და ამ გუნდთან ერთად გერმანიის ჩემპიონი გახდა, მერე კი შინჯი კაგავამ აბსოლუტურად ყველას შეაცვლევინა აზრი, რადგან „დორტმუნდში“ წამყვანი ფეხბურთელი იყო და „ბორუსიას“ ჩემპიონობაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი ითამაშა,“* - აცხადებს კროთი.

### მთავარი პლუსები: დისციპლინა და მონდომება

გერმანულ კლუბებს პირველ რიგში იაპონელი ფეხბურთელების მენტალიტეტი და საქმისადმი მიდგომა მოსწონთ. ისევე, როგორც ზოგადად იაპონელები, იქაური ფეხბურთელებიც სამაგლითოდ დისციპლინირებულები და ნამდვილი პროფესიონალები არიან - მათ მონდომებაზე ლეგენდები დადის. მაგალითად, უსამი წელიწადნახევარია, რაც გერმანიაში თამაშობს და უკვე აღარ სჭირდება თარჯიმანი, რადგან გერმანული ისწავლა.

კროთისა და ვაკაცუკის აზრით, ბუნდესლიგაში იაპონელი ფეხბურთელების ბუმი არ შეწყდება, რადგან „ამომავალი მზის ქვეყანაში“ უამრავი ტალანტია, რაც იმის დამსახურებაა, რომ იაპონიის პროფლიგაში, რომელიც 1992 წელს დაარსდა, ბავშვთა ფეხბურთს უკვე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ.

უდიდეს პროგრესს განიცდის იაპონიის ნაკრებიც, რომელსაც 59 წლის იტალიელი სპეციალისტი **ალბერტო ძაკერონი** წვრთნის. ძაკის შეგირდებმა პარასკევს პარიზში საფრანგეთი დაამარცხეს (1:0, გოლი: კაგავა), გუშინ კი ბრაზილიას ეთამაშებოდნენ...

## ბრაზილია 2014. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა. IV ტური



გერმანია-შვედეთი 4:4

### A ჯგუფი

**ხორვატია-უელსი 2:0**

**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (27), 2:0 ედუარდო (58)

**მაკედონია-სერბეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 იბრაიმი (59-პენ)

**გაძევება:** ტომოვიჩი (59. სერბეთი)

**ბელგია-შოტლანდია 2:0**

**გოლები:** 1:0 ბენტეკე (69), 2:0 კომპანი (71)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| 2. ხორვატია | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 3. სერბეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-5 | 4 |
| 4. მაკედონია | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 5. უელსი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-11 | 3 |
| 6. შოტლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |

**მომდევნო 2 ტური**

22 მარტი: შოტლანდია-უელსი, ხორვატია-სერბეთი, მაკედონია-ბელგია

26 მარტი: სერბეთი-შოტლანდია, ბელგია-მაკედონია, უელსი-ხორვატია

### B ჯგუფი

**ჩეხეთი-ბულგარეთი 0:0**

**იტალია-დანია 3:1**

**იტალია:** დე სანკტისი - აბატე, ბარძალი, კიელინი, ბალცარეტი - დე როსი, პირლო, მარკიზიო (74. კანდრევა) - მონტოლივო (85. ჯაკერინი) - ოსვალდო, ბალოტელი (89. დესტრო).

**გოლები:** 1:0 მონტოლივო (33), 2:0 დე როსი (37), 2:1 კვისტი (45), 3:1 ბალოტელი (54)

**გაძევება:** ოსვალდო (46)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 2. ბულგარეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| 3. ჩეხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 4. სომხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 5. დანია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 6. მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

**მომდევნო 2 ტური**

22 მარტი: ჩეხეთი-დანია, ბულგარეთი-მალტა

26 მარტი: სომხეთი-ჩეხეთი, დანია-ბულგარეთი, მალტა-იტალია

### C ჯგუფი

**ფარერები-ირლანდია 1:4**

**გოლები:** 0:1 უილსონი (46), 0:2 უოლტერსი (53), 1:2 ჰანსენი (68), 1:3 იუსტინუსენი (73 ს.კ.)

**ავსტრია-ყაზახეთი 4:0**

**გოლები:** 1:0 იანკო (24), 2:0 იანკო (63), 3:0 ალაბა (71), 4:0 ჰარნიკი (92)

**გერმანია-შვედეთი 4:4**

**გერმანია:** ნოიერი - ბოატენგი, მერტეზაკერი, ბადშტუბერი, ლამი - კროოსი, შვაინშტაიგერი - მიულერი (67. გიოტცე), იოზილი, როისი (87. პოდოლსკი) - კლოზე.

**გოლები:** 1:0 კლოზე (8), 2:0 კლოზე (15), 3:0 მერტეზაკერი (39), 4:0 იოზილი (56), 4:1 იბრაჰიმოვიჩი (62), 4:2 ლუსტიგი (64), 4:3 ელმანდერი (76), 4:4 ელმი (92)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 4 | 3 | 1 | 0 | 15-6 | 10 |
| 2. შვედეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-5 | 7 |
| 3. ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-8 | 6 |
| 4. ავსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| 5. ყაზახეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |
| 6. ფარერები | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |

**მომდევნო 2 ტური**

22 მარტი: ყაზახეთი-გერმანია, ავსტრია-ფარერები, შვედეთი-ირლანდია

26 მარტი: ირლანდია-ავსტრია, გერმანია-ყაზახეთი

### D ჯგუფი

**ანდორა-ესტონეთი 0:1**

**გოლი:** 0:1 ოპერი (57)

**რუმინეთი-ჰოლანდია 1:4**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი - ვან რინი, ჰეიტინგა, ვლაარი, ინდი - ვან დერ ვაარტი (76. აფელაი), ნ. დე იონგი, სტროოტმანი - ნარსინგი, ვან პერსი, ლენსი (89. ელია).

**გოლები:** 0:1 ლენსი (9), 0:2 ინდი (29), 1:2 მარიკა (40), 1:3 ვან დერ ვაარტი (45-პენ), 1:4 ვან პერსი (86)

**უნგრეთი-თურქეთი 3:1**

**გოლები:** 0:1 ერდინგი (22), 1:1 კომანი (31), 2:1 სალაი (50), 3:1 გერა (57-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 13-2 | 12 |
| 2. უნგრეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| 3. რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| 4. თურქეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| 5. ესტონეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-6 | 3 |
| 6. ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 0-13 | 0 |

**მომდევნო 2 ტური**

22 მარტი: ჰოლანდია-ესტონეთი, უნგრეთი-რუმინეთი, ანდორა-თურქეთი

26 მარტი: ესტონეთი-ანდორა, ჰოლანდია-რუმინეთი, თურქეთი-უნგრეთი

### E ჯგუფი

**კვიპროსი-ნორვეგია 1:3**

**გოლები:** 1:0 ალონეფტისი (42), 1:1 ჰანგელანდი (44), 1:2 ელიუნუსი (81), 1:3 კინგი (83)

**ალბანეთი-სლოვენია 1:0**

**გოლი:** 1:0 როში (36)

**ისლანდია-შვეიცარია 0:2**

**გოლები:** 0:1 ბარნეტა (65), 0:2 გავრანოვიჩი (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 10 |
| 2. ნორვეგია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 3. ალბანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 4. ისლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| 5. სლოვენია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 6. კვიპროსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |

**მომდევნო 2 ტური**

22 მარტი: ნორვეგია-ალბანეთი, სლოვენია-ისლანდია

23 მარტი: კვიპროსი-შვეიცარია

### F ჯგუფი

**რუსეთი-აზერბაიჯანი 1:0**

**გოლი:** 1:0 შიროკოვი (84-პენ)

**ისრაელი-ლუქსემბურგი 3:0**

**გოლები:** 1:0 ჰემედი (14), 2:0 ბენ ბასატი (36), 3:0 ჰემედი (48)

**პორტუგალია-ჩრდ. ირლანდია 1:1**

**პორტუგალია:** პატრისიო - ჟ. პერეირა (74. ედერი), პეპე, ბ. ალვეში, ლოპეში (47. ამორიმი) - რუბენ მიკაელი (61. ვარელა), ველოზო, მოუტინიო - ნანი, პოშტიგა, რონალდო.

**გოლები:** 0:1 მაკგინი (30), 1:1 პოშტიგა (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8-0 | 12 |
| 2. ისრაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 7 |
| 3. პორტუგალია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 5. აზერბაიჯანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 6. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-12 | 1 |

**მომდევნო 2 ტური**

14 ნოემბერი: ჩრდ. ირლანდია-აზერბაიჯანი

22 მარტი: ლუქსემბურგი-აზერბაიჯანი, ისრაელი-პორტუგალია

23 მარტი: ჩრდ. ირლანდია-რუსეთი

26 მარტი: აზერბაიჯანი-პორტუგალია, ჩრდ. ირლანდია-ისრაელი

### G ჯგუფი

**ლატვია-ლიხტენშტაინი 2:0**

**გოლები:** 1:0 კამესი (29), 2:0 გაურაკსი (77)

**ბოსნია-ლიტვა 3:0**

**გოლები:** 1:0 იბიშევიჩი (29), 2:0 ჯეკო (35), 3:0 პიანიჩი (41)

**სლოვაკეთი-საბერძნეთი 0:1**

**გოლი:** 0:1 სალპინგიდისი (63)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 4 | 3 | 1 | 0 | 15-2 | 10 |
| 2. საბერძნეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| 3. სლოვაკეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 4. ლიტვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 5. ლატვია | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| 6. ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-14 | 0 |

**მომდევნო 2 ტური**

22 მარტი: სლოვაკეთი-ლიტვა, ლიხტენშტაინი-ლატვია, ბოსნია-საბერძნეთი

26 მარტს თამაში არ არის

### H ჯგუფი

**უკრაინა-ჩერნოგორია 0:1**

**გოლი:** 0:1 დამიანოვიჩი (45)

**სან მარინო-მოლდოვა 0:2**

**გოლები:** 0:1 დადუ (72-პენ), 0:2 ეპურეანუ (78)

**პოლონეთი-ინგლისი**

*წვიმის გამო გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 11-1 | 7 |
| 2. ჩერნოგორია | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 7 |
| 3. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 4. მოლდოვა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-7 | 4 |
| 5. უკრაინა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 6. სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0-13 | 0 |

**მომდევნო 2 ტური**

14 ნოემბერი: ჩერნოგორია-სან მარინო

22 მარტი: მოლდოვა-ჩერნოგორია, პოლონეთი-უკრაინა, სან მარინო-ინგლისი

26 მარტი: უკრაინა-მოლდოვა, ჩერნოგორია-ინგლისი, პოლონეთი-სან მარინო

## ამბები

### მეორე ნადირობა ბუსკეტსზე

ესპანური პრესის ცნობით, „მანჩესტერ სიტი" სერხიო ბუსკეტსით დაინტერესდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა „სიტის" „ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრების 24 წლის ნახევარმცველის ხელში ჩაგდება სურს, ადრინდელი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ გუნდს შუაში სწორედ ბუსკეტსის ტიპის ნახევარმცველი აკლია.

სავარაუდოდ, ტრანსფერი არც ახლა გამოვა, რადგან **ტიტო ვილანოვა** თავისი წინამორბედივით მიიჩნევს, რომ ბუსკეტსი „ბარსელონაში" შეუცვლელია.

### ოპერაცია ამსტერდამში

მადრიდის „რეალის" 24 წლის მარცხენა მცველ **მარსელო ჟუნიორს** ფეხზე ოპერაციას 19 ოქტომბერს გაუკეთებენ. პარასკევს, ამსტერდამში მას ცნობილი ექიმი **ნიკ ვან დეიკი** გაუკეთებს ოპერაციას. ოპერაციის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც ვროცლავში ბრაზილიის ნაკრებში დაშავებული მარსელო „რეალის" ექიმებმა გასინჯეს. როგორც უკვე ვთქვით, მარსელო სულ მცირე 3 თვეს გამოტოვებს, უფრო ზუსტ თარიღს კი ოპერაციის მერე იტყვიან.

### ატლეტიკომ თურქი დაკარგა

მადრიდის „ატლეტიკოს" 25 წლის თურქი ნახევარმცველი **არდა თურანი** კლუბს, სულ მცირე, ორი კვირით დააკლდება. მან ტრავმა ეროვნულ გუნდში მიიღო. არდა თურანმა კუნთი გაიჭიმა, ის უკვე მადრიდშია და მკურნალობს. თურქი აუცილებლად გამოტოვებს ჩემპიონატის ორ და „სამეფო თასის" მატჩებს. არდა თურანი „გალათასარაიდან" ესპანეთში 2011 წელს გადავიდა, სატრანსფერო თანხამ 12 მილიონი ევრო (პლუს ბონუსები) შეადგინა.

## ამხანაგური მატჩი

# ბრაზილია პოლონეთშიც ბრაზილიაა



**ბრაზილია-იაპონია 4:0**

**ბრაზილია:** დიეგო ალვეში - ადრიანო, ტიაგო სილვა, დავიდ ლუიზი, გასტანი - პაულინიო, რამირესი (87. სანდრო), კაკა (81. ლუკას მოურა), ოსკარი (88. ტიაგო ნევესი) - ჰალკი (76. ჟულიანო), ნეიმარი (85. ლეანდრო დამიაო)

**გოლები:** 1:0 პაულინიო (11), 2:0 ნეიმარი (23-პენ), 3:0 ნეიმარი (47), 4:0 კაკა (75)

პოლონურ ქალაქ ვროცლავში ბრაზილიის ნაკრებმა ქვაქვაზე არ დატოვა იაპონიის გუნდისაგან - 4:0 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ზედიზედ ორი მატჩია, ნაკრებში გოლი გააქვს ეროვნულ გუნდში დაბრუნებულ **კაკას. მანო მენეზესმა** თითქმის არ შეცვალა შემადგენლობა, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ერაყი 6:0 გაანადგურა. მხოლოდ **ლეანდრო გასტანმა** ჩაანაცვლა ფეხმოტეხილი **მარსელო. ალბერტო ძაკერონის** გუნდის კარში ანგარიში **პაულინიომ** გახსნა, შემდეგ კაკას წაქცევისთვის პენალტი **ნეიმარმა** გაიტანა. მეორე ტაიმში „სანტოსის" ახალგაზრდა ფორვარდმა დუბლი შეასრულა, აზიელთა განადგურება კი კაკამ დაასრულა.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა. ინტერნაციონალური თასი

# დაღესტანში შესუსტებული გუნდით

**19-21 ოქტომბერს დაღესტნურ ხასავიურტში ინტერნაციონალური თასი თამაშდება თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც საქართველოს ნაკრებიცაა მიწვეული. ჩვენები იქ დავით ხურციას ხელმძღვანელობით შესუსტებული შემადგენლობით გამოვლენ - 55-სა და 84-ში მონაწილე არ გვეყოლება, სხვა წონებში კი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60), დავით ბერძნიშვილი, მალხაზ ქურდიანი (ორივე - 66), დავით ხუციშვილი, იაკობ მაქარაშვილი (74), ელიზბარ ოდიკაძე (96) და გიორგი საკანდელიძე (120) იჭიდავებენ. ამჯერად დაღესტანში არ მიდის დავით მარსაგიშვილი (84), რომელმაც ვარჯიშზე ფეხი იტკინა.**

ადრე ამ ტურნირს საკონტინენტთაშორისო თასი ერქვა და გუნდური პრინციპით ტარდებოდა, წლეულს კი სახელთან ერთად ფორმატიც შეიცვალა და პირად პირველობაში იმართება. ცხადია, შეჯიბრება კვლავაც კომერციული სტატუსისაა და მედალოსნებისთვის საპრიზო ფონდიცაა დაწესებული, შესაბამისად, 5000, 3000 და 1000 დოლარი. ჯერჯერობით მონაწილეთა შემადგენლობა ცნობილი არაა, მაგრამ, სავარაუდოდ, ძლიერი ტურნირი იქნება - უცხოელებს რომ თავი დავანებოთ, შეჯიბრებას მარტო რუსი და დაღესტნელი ფალავნები ეყოფა გასაძლიერებლად.

თუმცა ახლა ჩვენი ფედერაცია ამ ტურნირზე ბევრად სერიოზული საქმითაა დაკავებული - საარჩევნო-საანგარიშო ყრილობისთვის ემზადება. ფედერაციას არჩევნები გაისად ივნისში უწევდა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებმა ქვეყანაში ბევრი რამე შეცვალა და გამონაკლისი არც ეს ფედერაციაა - მოგეხსენებათ, მას პარლამენტარი **კახა გენაძე** მართავს, ხელისუფლებიდან მისი გუნდის წასვლამ კი მასაც გადადგომისკენ უბიძგა.

როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მალხაზ ჯორბენაძემ** გვითხრა, ჯერ ფედერაციის საანგარიშო სესია ჩატარდება, რომელიც ახალი არჩევნების თარიღს დანიშნავს. ჯორბენაძის თქმით, საანგარიშო სხდომა არ იქნება ტრადიციული ანუ მხოლოდ წლევანდელი სეზონის შეჯამება, არამედ იქ გენაძის და მისი გუნდის მთელ 8-წლიან საქმიანობას - მიმოიხილავენ. ჯორბენაძისავე თქმით, გენაძე ახალ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, თვითონ მას კი, როგორც გენერალურ მდივანს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია - ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, ვინ წარადგენს კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე. ფედერაციის სხვა ხელმძღვანელთაგან ცნობილია, რომ ვიცე-პრეზიდენტი **თამაზ გეგეშიძე** პოსტზე დარჩენას აპირებს, სხვებს კი პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებიათ.

ვინ მიიღებს ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან მხოლოდ კულუარული კანდიდატურები არსებობს, თუმცა მოელიან, რომ ფედერაციის შემადგენლობაც ძირფესვიანად შეიცვლება და მწვრთნელთა კორპუსიც საფუძვლიანად გადახალისდება. იმედია, რეფორმების განმსაზღვრელი პროფესიონალიზმი გახდება და ისეთ ცვლილებებს არ მივიღებთ, რაც ამ ფედერაციაში რამდენიმე წლის წინ ერთხელ უკვე ვიხილეთ.

**ირაკლი თავაძე**



ხელმომწერთა -ს საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.

თავისუფალი ჭიდაობა. ინტერვიუ ლადო ხინჩეგაშვილთან



# ახალ წონაში, ძველი შემართებით

**ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ლადო ხინჩეგაშვილმა წონა შეიცვალა და ამიერიდან 60 კგ-ში იასპარეზებს. ამ გადაწყვეტილების შესახებ ოლიმპიადის შემდეგ მისი პირადი მწვრთნელის ნუგზარ სხირელისგან გახდა ცნობილი. საინტერესოა, რომ ლადოს კარიერაში ეს უკვე მესამე წონითი კატეგორიაა, რომელშიც ასპარეზობს. მანამდე 50 და 55 კგ-ში გამოსვლისას ასაკობრივი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები და კიდევ მრავალი შეჯიბრება აქვს მოგებული ამ გორელ ფალავანს. ცოტა ხნის წინათ ხინჩეგაშვილმა კიევში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ახალ წონაში „ნათლობაც" ფინალისტობით აღნიშნა. შეჯიბრება ამ ქალაქში „უკრაინის სომეხთა კავშირის თასზე" ჩატარდა. ლადო იქ საქართველოს ნაკრების ოთხ წევრთან ერთად ასპარეზობდა. შინ დაბრუნებულს წონის გამოცვლასთან დაკავშირებული ნიუანსების თაობაზეც ვესაუბრეთ.**

**- ლადო, წონის შეცვლაზე გადაწყვეტილება წლეულს მიიღე?**

- დაახლოებით 7-8 კილოგრამის კლება მიწევდა ყოველი ტურნირის წინ, რაც, მოგეხსენებათ, ადვილი საქმე არაა. წლეულს უკვე დავრწმუნდი, რომ ამ წონაში დიდხანს ველარ გავჩერდებოდი, მაგრამ ვინაიდან 55 კგ-ში უკვე ოლიმპიურ ციკლში ვიყავი ჩართული და ლიცენზიისთვის ვიბრძოდი, იმ ეტაპზე ცვლილებები მიზანშეწონილი არ იყო. ლონდონში ჭიდაობის მერე უკვე 60 კგ-ში საასპარეზოდ მოვემზადე და აგერ პირველ ტურნირზეც გამოვედი. ახლა ბევრად კომფორტულად ვიგრძნობ თავს. შესაბამისად უკრაინაშიც ახალ წონაში ადაპტაციაც არ გამჭირვებია.

**- როგორი დონის შეჯიბრება იყო კიევში?**

- ეს ტურნირი პირველად იმართებოდა და მაინცდამაინც ძლიერი ფალავნები არ შეკრებილან, თუმცა ტურნირს არც სუსტი ეთქმოდა. ნახევარფინალამდე იოლად მივედი, იქ კი დაღესტნელმა მურშიდ მუთალიმოვმა მედგარი წინააღმდეგობა გამიწია, თუმცა მოგება იქაც არ გამჭირვებია.

**- ფინალში ცნობილ უკრაინელ სპორტსმენ ვასილ ფედორიშინთან შეხვედრა ხშირად წყდებოდა, ექიმების ჩარევის გამო...**

- ფედორიშინი უდავოდ მაღალი დონის მოჭიდავეა. ტიტულები და გამოცდილება არ აკლია. 2008 წელს ფილა-მ წონაში მსოფლიოს საუკეთესო ფალავანად დაასახელა! ჩვენი შეხვედრა მსაჯებმა ხშირად იმიტომ გააჩერეს, რომ ორთაბრძოლისას ნიკაპი გაუტყდა, სისხლი არ უწყდებოდა. ამის გამო მსაჯების ობიექტურობაში ეჭვი არ შემაქვს. მეტოქემ ორი პერიოდი მინიმალური სხვაობით 0 : 1 იძალა, ერთი პერიოდი კი 2:0 დასრულდა ჩემს სასარგებლოდ. საბოლოოდ ფედორიშინი დამსახურებულად გავიდა პირველ ადგილზე.

**- ახალ წონაში საერთაშორისო არენაზე შენი სავარაუდო კონკურენტები თუ გყავს შესწავლილი?**

- ბუნებრივია, ჯერ საქართველოს ჩემპიონატისთვის უნდა მოვემზადო. ჩემს წონაში კარგი მოჭიდავეები არიან. მერე, თუ დავიმსახურე, ევროპის ჩემპიონატზე მომიწევს გამოსვლა და სავარაუდო კონკურენტების „მისახედადაც" საკმარისი დრო მექნება.

**- მაგალითად, 60 კგ-ში ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონი აზერბაიჯანელი თორგუთ ასგაროვი შენთვის კარგად ცნობილი სპორტსმენია.**

- დიახ, მე და ასგაროვი, ვიდრე ისიც 55 კგ-ში იყო, სამჯერ შევხვდით ერთმანეთს. ორჯერ დავამარცხე, ერთხელ ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში. გარდა ასგაროვისა, ჩემს ახალ წონაში რამდენიმე მსოფლიო დონის მოჭიდავეა, თუნდაც რუსეთის ნაკრების ლიდერი ბესიკ კუდუხოვი, რომელსაც ასგაროვმა სძლია გადამწყვეტ შეხვედრაში ლონდონის ოლიმპიადაზე. თუმცა, როგორც ვთქვი, ჯერ საქართველოს ჩემპიონატია საჭიდაო და ყურადღებაც იქით მაქვს გადატანილი.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

მშვილდოსნობა. ერევნის ტურნირი

# ქართველები ერევანში ისვრიან

დღეს ქართველი მშვილდოსნები ერევანში მიემგზავრებიან, სადაც ხვალ საერთაშორისო ტურნირი იწყება. ჩვენი გუნდის მონაწილეთა უმრავლესობა ბათუმელია, რადგან ძველი მეგობრობის დასტურად მასპინძლებმა ისინი მიიპატიჟეს კერძო მიწვევით, თუმცა ასპარეზობის სურვილი თბილისელებმაც გამოთქვეს და ორგანიზატორებმა უარი არც მათ უთხრეს. გუნდს ნაკრების ექსმთავარი მწვრთნელი **თამაზ ფუტკარაძე** უხელმძღვანელებს, მის შემადგენლობაში კი ბათუმიდან **ტარიელ ქადიძე, დავით ლეკვეიშვილი**, დაძმა **თეონა** და **არჩილ ფარსენაძე**, ძმები **გიგა** და **გოგიტა კაკაბაძეები, მამუკა შუშაძე, ციალა ფუტკარაძე, მედეა აბულაძე** და **ნინო დევაძე** შედიან, თბილისიდან - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა**, ლაშა ფხაკაძე, უკრაინიდან ახლახან გადმობირებული **იულია ლობჟანიძე, თეონა კუტალაძე** და დავით ლეკვეიშვილის ვაჟი **აკაკი ლეკვეიშვილი**.

>> მე-11 გვერდზე

პროფესიული კრივი



დავით მაკარიძე (მარჯვნივ)

# მაკარიძე მსოფლიოს ჩემპიონია

33 წლის ფოთელი **დავით მაკარიძე**, მეტსახელად „რობოტი", 6 წლიდან დაიწყო მეცადინეობა კრივში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. ოლიმპიური პრიზიორის - **ვლადიმერ ჭანტურიას** შეგირდმა, რომელიც ამჟამად დავით კანდელაკის კლუბის წევრია, პროფესიულ რინგზე გადანაცვლების შემდეგ 27 ორთაბრძოლა გამართა, საიდანაც 18 მოიგო, 1 ფრედ დაამთავრა და რვაჯერ დამარცხებულმა დატოვა სარბიელი. პროფესიონალებში საქართველოს ქამრის მფლობელმა დავით მაკარიძემ რეიტინგით მსოფლიოს კრივის კავშირის (WBU) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ჩვენებურს მეტოქეობას უწევდა ბენელუქსის ქვეყნების ქამრის მფლობელი ნიდერლანდელი **ჰასან აით ბოსუ** (17 ბრძოლიდან 12 გამარჯვება და 5 მარცხი). შეხვედრა ამსტერდამის რინგზე გაიმართა. ქართველმა მოკრივემ ტიტების ქვეყნის წარმომადგენელი მე-12 რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა და 66 კილოში WBU-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი



# ნახევარი საუკუნის ელვარება

საბჭოთა კავშირის დედაქალაქი... სასტუმრო „მოსკოვის" მყუდრო ნომერში ორნი ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ უხმოდ. მოუთმენლობა ეტყობოდათ სახეზე. უცებ ტელეფონმა დაიწკრიალა. ყურმილს ახალგაზრდა ქალი დასწვდა - მწვრთნელი ურეკავდა, **მიხეილ შიშოვი: ელიზავეტა ბიკოვა** გადადებულ პარტიაში დაგნებდათ და მსოფლიოს ჩემპიონობას გილოცავთო. სახეგაბრწყინებული **ნონა გაფრინდაშვილი** დედას გადაეხვია და უნებურად საათს დახედა - თერთმეტს ორი წუთი აკლდა.

ეს იყო ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ - 1962 წლის 17 ოქტომბერს. 21 წლის ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონ ელიზავეტა ბიკოვას 9:2 მოუგო და თავად ავიდა სადედოფლო ტახტზე, რომელიც 16 წლის განმავლობაში არ დაუთმია. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1961 წელს ქართველმა დიდოსტატმა იუგოსლავიის ქალაქ ვრიაჩკა-ბანიაში მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში ყველას აჯობა და დაფნის გვირგვინისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. მერე, როგორც ვთქვით, მოქმედი ჩემპიონი გაანადგურა. თავად ოთხჯერ მოუწია ტიტულის დაცვამ - სამჯერ ალა კუშნირი ჩამოიშორა გზიდან (8.5:4.5, 8.5:4.5, 8.5:7.5), ერთხელ ნანა ალექსანდრიას მოუგო (8.5:3.5), 1978 წელს კი დედოფლის გვირგვინი ღირსეულ მეტოქეს - მაია ჩიბურდანიძეს გადაულოცა.

სპორტული კარიერის განმავლობაში ნონა გაფრინდაშვილმა ხუთჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. მრავალი საერთაშორისო ტურნირისა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის გამარჯვებულმა, ასევე, ხუთჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მიაღწია წარმატებას, თერთმეტგზის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ოქროსმედალოსანია. ნონა გაფრინდაშვილი გახლდათ პირველი მანდილოსანი მსოფლიოში, რომელმაც ვაჟთა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება და საჭადრაკო "ოსკარი" დაიმსახურა.

1989 წელს საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომლის პირველ პრეზიდენტად ნონა გაფრინდაშვილი აირჩიეს. გასული საუკუნის მიწურულს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმის შედეგად ჩვენთან XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენ ქალად სახელოვანი დიდოსტატი აღიარეს. ჭადრაკისა და ოლიმპიზმის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ქალბატონი ნონა მრავალი ორდენითა და მედლითაა დაჯილდოებული. თუმცა ყველაზე ძვირფასი ჯილდო მისთვის ხალხის სიყვარულია.

დიდ სარბიელზე გამოსვლის პირველი დღიდანვე სპორტის დამსახურებული ოსტატი საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობს. პარალელურად 64-უჯრიან დაფასაც ვერ ელევა - ხშირად მონაწილეობს ვეტერანთა ტურნირებში. სენიორთა შორის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონიც გახლავთ. ნონა გაფრინდაშვილის ბევრი რეკორდი განუმეორებელია, მაგრამ ყველაზე დიდი დამსახურება მაინც ის არის, რომ ქართულ ჭადრაკში უმდიდრეს ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი, მომავალი თაობებისთვის მტკიცე ხიდი გასდო, რომლითაც არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ გაიკვლია გზა მწვერვალებისკენ. ეს გზა, როგორც ვთქვით, ნახევარი საუკუნის წინათ დაიწყო და, გვჯერა, არასდროს დასრულდება.

**ვაჟა დანელია**

● მძლეოსნობა

# სპორტის დედოფლის ბოლო აკორდი

**ორი დღის განმავლობაში ხალხმრავლობა იყო „დინამო-არენაზე" - საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აქ ჩაუქმა ქალ-ვაჟებმა მოიყარეს თავი: „სპორტის დედოფლის" წარმომადგენლები მძლეოსნობის ფედერაციის თასის გათამაშებაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. წლევანდელი ლონდონის ოლიმპიადის მონაწილეთაგან მხოლოდ ბოლესლავ სხირტლაძე გამოვიდა სარბიელზე, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში 6.94 მეტრით მეორე ადგილი დაიკავა. მას მარტვილელმა გიორგი გურეშიძემ 4 სანტიმეტრით აჯობა. გოგონებში ისევ ქუთაისელმა სალომე სირაძემ იყოჩაღა, რომელმაც ორივე სპრინტერული დისტანცია მოიგო. 400 და 800 მეტრზე ტოლი არ ჰყავდა ახალციხელ გაიანე უსტიანს, ვაჟებში ორ-ორი პირველი ადგილი დაიკავეს სპრინტერმა ბაჩანა ხორავამ (ჩხოროწყუ-ზუგდიდი) და სტაიერმა გიგლა ზილბერშტეინმა (ახალციხე).**

საგულისხმოა, რომ მძლეოსნურ ბილიკებზე უფროსებთან ერთად 1998-2000 წლებში დაბადებულმა გოგო-ბიჭებმაც იასპარეზეს. ამ თაობის წარმომადგენლებს 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე მოუწევთ გამოსვლა, ამიტომ მათს მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამ ასაკში თავი გამოიჩინეს ზუგდიდელებმა - მაკა ჩაკაბერიამ და დავით ჭედიამ, რომლებმაც, შესაბამისად, სამი და ორი პირველი ადგილი დაიკავეს. ფედერაციის თასის გათამაშებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ქართულ მძლეოსნობაში იმედისმომცემი თაობა მოდის და სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში ისინი სულ მალე საერთაშორისო სარბიელზე მიღწეული წარმატებებით გაგვახარებენ.

## კვარცხლბეკი

**უფროსები. გოგონები. 100 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 12,92), 2. დეა საზუაშვილი (13,49), 3. მარიამ ბედუკაძე (ორივე - თბილისი, 13,55). **200 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 26,86), 2. სოფო ჩალაშვილი (თბილისი, 27,96), 3. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 29,13). **400 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 01.00,41), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 01.03,54), 3. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 01.04,89). **800 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 02.18,17), 2. სოფო წულუკიძე (02.31,94), 3. მარი ჭეიძე (ორივე - თბილისი, 02.36,74). **1500 მ.** 1 მარინე სირაკანიანი (ახალციხე, 5.34,99), 2. მარი ჭეიძე (თბილისი), 5.50,65), 3. მარი მათიაშვილი (დუშეთი, 6.36,35). **3000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 10.28,4) 2. მარინე სირაკანიანი (ახალციხე, 12.27,3). **5000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 18.59,2). **100 მ/თ.** 1. მარი ძაგნიძე (ვანი, 16.85). **400 მ/თ.** 1. თეა ფაცურია (ფოთი, 1.11,10), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 1.12,92), 3. სალომე ჩაკაბერია (თბილისი, 1.15,42). **4X100.** 1. ქუთაისი - 53.64 (მანანა ბოდოკია, თამარ ხაჟალია, სალომე სირაძე, ნინა სირაძე), 2. თბილისი - 54.87 (სალომე ხაჟომია, ნინა ზიმზიმაძე, დეა საზუაშვილი, ალექსანდრა ჟუკი), 3. ვანი - 55.20 (ანი ნიკურაძე, თათია პაიკიძე, გიული დეკანაძე, მარი ძაგნიძე). **სიგრძეზე ხტომა.** 1. თათია პაიკიძე (ვანი-თბილისი), 5.48), 2. მარი ძაგნიძე (ვანი, 5,36), 3. სოფო ჩალაშვილი (თბილისი, 5,21). **სამმაგი ხტომა.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 11,94), 2. ნინი სირაძე (ქუთაისი, 10,98). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ნინო კობაიძე (თბილისი, 150). **ბირთვის კვრა** (ნათია ნაჭყებია (ფოთი, 9,84), 2. სოფო შათირიშვილი (8,30), 3. მარი კეკელიძე (ორივე - ოზურგეთი), 6,84). **ბადროს ტყორცნა.** 1. სალომე რიგიშვილი (52,25), 2. სოფო მუკათარიძე (ორივე - თიანეთი, 25,36), 3. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 23,26). **შუბის ტყორცნა.** 1. ნათია გიგაური (თელავი, 36,10), 2. თეა ფაცურია (ფოთი, 28,72), 3. ვერონიკა გალუზინსკაია (თბილისი, 22,90).

**ვაჟები. 100 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ-ზუგდიდი, 10,98), 2. დენის ჟვანია (ზუგდიდი, 11,15), 3. სოსო მარუქაშვილი (ახ-



მეტა, 11,37). **200 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ-ზუგდიდი, 22,35), 2. დენის ჟვანია (ზუგდიდი, 22,41), 3. ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 23,01). **400 მ.** 1. სოსო გოგოძე, ქუთაისი, 50,26), 2. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 51,24), 3. შოთა ზოიძე (ოზურგეთი, 54,30). **800 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 1.57,72), 2. დათო ძიმისტარაშვილი (ქუთაისი, 2.06,50), 3. ჯიმშერ ბერია (ხობი, 2.06,83). **1500 მ.** 1. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 4.11,51), 2. ვეფხვია ლიკოქელი (დუშეთი, 4.28,24), 3. ჯიმშერ ბუკია (ხობი, 4.31,29). **3000 მ.** 1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 9.06,3), 2. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 9.08,1), 3. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 9.12,00). **5000 მ.** 1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 15.46,7), 2. ანატოლი ოლეინიკოვი (ლაგოდეხი, 16.02,1), 3. გიორგი გოზალეიშვილი (ვანი, 19.14,8). **3000 მ/წ.** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 9.53,66), 2. თორნიკე გიორგაძე (ქუთაისი, 11.26,28). **110 მ/თ.** 1. ვაჟა ძაგანია (ფოთი, 17,1), 2. ლევან ფიფია (ზუგდიდი, 17,2). **400 მ/თ.** 1. ლევან ფიფია (ზუგდიდი, 1.00,7), 2. ვაჟა ძაგანია (1.02,00), 3. გიგა ჟვანია (ორივე - ფოთი, 1.03.23). **4X100.** 1. ზუგდიდი - 44,13 (თემურ ცირამუა, დენის ჟვანია, დავით აშორტია, ბაჩანა ხორავა), 2. თბილისი - 45,36 (სოსო მარუხაშვილი, დავით ალხანიშვილი, ნიკა კარტავცევი, დავით ხარაზიშვილი). **4X400.** 1. ქუთაისი - 3.38,09 (თორნიკე კვანტალიანი, გოგა მაღლაკელიძე, დათო ძიმისტარიშვილი, თორნიკე გიორგაძე). **სიგრძეზე ხტომა.** 1. გიორგი გურეშიძე (მარტვილი, 6,98), 2. ბოლესლავ სხირტლაძე (თბილისი, 6,94), 3. გოგა მაღლაკელიძე (ქუთაისი, 5,94). **სამხტომი.** 1. ირაკლი ხაჭაპურიძე (13,14), 2. გოგა მაღლაკელიძე (ორივე - ქუთაისი, 13,04), 3. გიორგი რურუა (მარტვილი, 12,14). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ზურაბ გოგოჭური (215), 2. გიორგი ბადრეტდინოვი (185), 3. დავით ალხანიშვილი (სამივე - თბილისი, 170). **ბირთვის კვრა.** 1 გიორგი ჭიხვარია (ოზურგეთი, 12,00), 2. დავით შონია (ფოთი, 10,70), 3. გიორგი კორტავა (ხობი, 8,76). **ბადროს ტყორცნა.** 1. დავით შონია (ფოთი, 35,55). **შუბის ტყორცნა.** 1. გიორგი გურეშიძე (მარტვილი, 49,56), 2. ზურა რუსეიშვილი (ოზურგეთი, 45,54), 3. გიგა გიგაური (თელავი, 44,70). **უროს ტყორცნა.** 1. გიორგი ტყემალაძე (თბილისი, 44,60), 2. გიორგი ჭიხვარია (ოზურგეთი, 44,14).

## 1998-2000 წლებში დაბადებულნი

**გოგონები. 100 მ.** 1. მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 13,12), 2. თეონა მაჭარაშვილი (თბილისი, 13,26), 3. გულიკო გამზარდია (ფოთი, 13,68). **200 მ.** 1. მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 27,56), 2. ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 28,34), 3. სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 28,71). **400 მ.** 1. მაკა სანიკიძე (ვანი, 1.04,52), 2. მარი მარტინენკო (ახალციხე, 1.07,17), 3. ლიდა ბერძენიშვილი (ბორჯომი, 1.07,32). **800 მ.** 1. ლიდა ბერძენიშვილი (ბორჯომი, 2.30,17), 2. ნუემ პაპიკიანი (2.36,47), 3. [illegible] (ორივე - ახალციხე, 2.38,83). **1500 მ.** 1. [illegible] (5.28,88), 2. ნუემ პაპიკიანი (ორივე - ახალციხე, 5.34,13), 3. მარი სეროპიანი (გორი, 6.08,06). **100 მ/თ.** მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 16,22), 2. ალინა ეფიმოვა (21,32), 3. მარი მწითური (ორივე - თბილისი, 22,02). **სიგრძეზე ხტომა.** 1. სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 4,78), 2. თამუნა მახარაძე (თბილისი, 4,46), 3. ანი მუჯირი (ოზურგეთი, 3,93). **სამმაგი ხტომა.** 1. ნინო კარელიძე (გორი, 9,83). **სიმაღლე.** 1. ქრისტინა ზოლოტუხინა (135), 2. მარი მწითური (ორივე - თბილისი, 135). **ჭოკით ხტომა.** 1. დიანა ზოლოტუხინა (თბილისი, 200). **ბირთვის კვრა.** 1. ნანუკა პაკელიანი (ოზურგეთი, 7,70). **ბადროს ტყორცნა.** 1. ნინო წიქვაძე (თბილისი, 35,24), 2. ნათელა უშიკიშვილი (თიანეთი, 35,00), 3. ნანუკა პაკელიანი (ოზურგეთი, 26,58). **შუბის ტყორცნა.** 1. ანა კაპანაძე (24,20), 2. ია რეხვიაშვილი (23,40), 3. თამთა ვაჩაძე (სამივე - თბილისი, 14,60). **უროს ტყორცნა.** 1. სოფო მათიაშვილი (თბილისი, 44,60).

**ვაჟები. 100 მ.** 1. დავით ჭედია (ზუგდიდი, 12,30), 2. ნიკა ანიაშვილი (გორი, 13,41), 3. დათო მარტყოფლიშვილი (თბილისი, 13,46). **200 მ.** 1. დავით ჭედია (ზუგდიდი, 25,21), 2. ზაურ ებრალიძე (ბორჯომი, 25,12), 3. ელგუჯა ნასყიდაშვილი (თბილისი, 27,41). **400 მ.** 1. ზაურ ებრალიძე (ბორჯომი, 57,91), 2. დავით ლუკავა (59,37), 3. ლექსო თედორაძე (ორივე - თბილისი, 1.01,10). **800 მ.** 1. რუდიკ მინასიანი (2.14,02), 2. სარქის გასპარიანი (2.20,43), 3. ლაშა ბირჩაძე (სამივე - ახალციხე, 2.21,16). **1500 მ.** 1. რუდიკ მინასიანი (ახალციხე, 4.35,86), 2. ილია კუხალაშვილი (გორი, 5.16,67), 3. გია ყურუა (ხობი, 5,34,03). **110 მ/თ.** 1. გიორგი მირუაშვილი (ბორჯომი, 19,80), 2. ნიკოლოზ დუნდუა (თბილისი, 20,48). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ნიკა ყაზარაშვილი (გორი, 5,44), 2. რომან ბადრიძე (თბილისი, 5,19), 3. ილია ბერუაშვილი (გორი, 4,05). **სამმაგი ხტომა.** 1. დავით ლუკავა (ზუგდიდი, 11,63), 2. ნიკა ყაზარაშვილი (გორი, 11,24), 3. ნიკოლოზ ყულოშვილი (თბილისი, 9,59). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ირაკლი კენჭაძე (145), 2. ილია ბოლოთაევი (140), 3. ბესო სოხაძე (სამივე - თბილისი, 135). **ჭოკით ხტომა.** 1. ლაშა ქარქუსაშვილი (თბილისი, 200). **ბირთვის კვრა.** 1. გიორგი მუჯარიძე (გორი, 15,23), 2. შოთა გუგეშაშვილი (თბილისი, 12,57), 3. გიორგი კეთილაძე (ხონი, 11,60). **ბადროს ტყორცნა.** 1. თემურ აბულაშვილი (თბილისი, 53,48), 2. გიორგი მუჯარიძე (გორი, 47,38), 3. მიხეილ კალაძე (რუსთავი, 42,84). **შუბის ტყორცნა.** 1. გიორგი კეთილაძე (ხონი, 36,20), 2. მიხეილ კალაძე (რუსთავი, 29,20), 3. ზვიად ანიაშვილი (გორი, 22,00). **უროს ტყორცნა.** 1. გიორგი ონიანი (55,70), 2. გურამ სამხარაძე (53,87), 3. ზურაბ ხაბელაშვილი (სამივე - თბილისი, 49,79).

მძლეოსნობის ფედერაციის თასის გათამაშებით საქართველოს „სპორტის დედოფლის" წარმომადგენლებმა სეზონი დაასრულეს.

**ვაჟა დანელია**

« მე-10 გვერდიდან

როგორც ვხედავთ, გუნდში ძირითადად ახალგაზრდები შედიან, რომელთათვისაც მსგავსი შეჯიბრება სატურნირო პრაქტიკის ამაღლების კარგი შანსია. მით უფრო, ერევანში მგზავრობა ძვირი არ ჯდება და რაოდენობით შეზღუდული არ ხარ, რასაც ვერ ვიტყვით ევროპაში ან უფრო შორეულ მხარეებში წასვლაზე.

როგორც ვხედავთ, ამჯერად ქალთა გუნდში არ არიან შემადგენლობის უცვლელი წევრები - **ხათუნა ნარიმანიძე** და **ასმათ დიასამიძე**. ისინი ჯერ ისვენებენ და მომავალი სტარტებისთვის ემზადებიან. როგორც ნარიმანიძემ გვითხრა, ის ვარჯიშს ერევნული შეჯიბრების შემდეგ განაახლებს.

ჯერჯერობით კვლავ ღიად რჩება ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი. ფედერაციას კვლავაც სურს კორეელ **ან ჰიუნ სანთან** ახალი კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა ახალმა რეალობამ ისინიც მოლოდინის რეჟიმში გადაიყვანა - ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ახალი მინისტრი დააფინანსებს თუ არა კორეელის ხელფასს. ამ მიზნით ფედერაციის ხელმძღვანელობა **ლევან ყიფიანთან** შეხვედრას აპირებს, როცა პარლამენტი მას ოფიციალურად დაამტკიცებს მინისტრის პოსტზე. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ჯერ შეუძლებელია ნაკრების - როგორც ქალების, ასევე - ვაჟების საგაისო გეგმებზე საუბარი, რადგან ეს საკითხი მხოლოდ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვაკანსიის შევსების შემდეგ გადაწყდება. ცხადია, საერთაშორისო კალენდარი უკვე არსებობს, მაგრამ გააჩნია, ჩვენი მწვრთნელი რომელ შეჯიბრებებში ისურვებს გამოსვლას.

დასასრულს, გეტყვით, რომ თავად საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციაში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჯერ არ იგეგმება, რადგან ახლანდელ ხელმძღვანელობას უფლებამოსილება მხოლოდ ორი წლის შემდეგ ეწურება.

**ირაკლი თავაძე**

## განცხადება

2012 წლის 17 ნოემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლის სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დასაწყისი 12 საათზე.

დელეგატთა რეგისტრაცია 11 საათიდან



კალათბურთი

დუდუ დადიანის მემორიალი

# არმია თასს პერიმეტრიდან შესწვდა

ფინალი

16 ოქტომბერი

სპორტის სამინისტროს დარბაზი

## არმია-შსს აკადემია 68:57

15:10, 11:14, 13:15, 29:18

| არმია | წთ | ქ | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლაშა გამყრელიძე | 26 | 13 | 2 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 |
| ანატოლი ბოისა | 23 | 8 | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 1 |
| ვლადიმერ ბოისა | 29 | 5 | 11 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 |
| დავით უგრეხელიძე | 15 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 |
| კურტის მილეიჯი | 27 | 14 | 1 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 |
| ბექა წივწივაძე | 14 | 6 | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| იოაკიმ შელგომი | 17 | 4 | 8 | 1 | 2 | 1 | 0 | 3 |
| დავით საყვარელიძე | 7 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 1 |
| მარკუს ფეისონი | 6 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლემეინ უილსონი | 23 | 12 | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ლაშა ფარლალავა | 13 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |

| შსს აკადემია | წთ | ქ | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეონტა ვონი | 39 | 9 | 3 | 8 | 2 | 0 | 0 | 1 |
| ბესიკ ლეჟავა | 26 | 13 | 4 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 |
| მერაბ ბოქოლიშვილი | 35 | 9 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 |
| ილია ლონდარიძე | 7 | 2 | 5 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 |
| ჩად პრევიტი | 35 | 5 | 10 | 2 | 3 | 2 | 1 | 4 |
| დავით იმნაძე | 5 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| აკაკი ლომოური | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ზვიად ანთაძე | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბექა ბექაური | 11 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| პირკ არჩიბეკი | 31 | 16 | 5 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 |

*მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი.*



თამუნა ყულიჯანაშვილის ფოტოები





**დუდუ დადიანის** მემორიალი 2002 წლიდან იმართება. პირველად თასი „დინამომ" აღმართა. მეათე, საიუბილეო გათამაშებამ ახალი ჩემპიონი გამოავლინა: „არმია" მესამე სეზონია ქართული კალათბურთის კაბადონზეა, მაგრამ აქამდე დადიანის მემორიალში მონაწილეობა არ მიუღია. დებიუტი არმიელებმა ტრიუმფით აღნიშნეს, თუმცა მწვრთნელი, **კოტე ტულუში** ჩაფიქრებული და, როგორც საუბრისას გაირკვა, უკმაყოფილო იყო.

რატომ? ამ კითხვაზე პასუხს ქვემოთ მიიღებთ. შესავალში კი მხოლოდ „არმიას" ხსენება მართებული არ იქნება, რადგან მას ღირსეული მეტოქე ჰყავდა („შსს აკადემია"), სწორედ ისეთი, რომელმაც ევროჩელენჯისთვის მზადებაში მყოფი არმიელების მინუსები სააშკარაოზე გამოიტანა. სეზონისწინა შეჯიბრება კი იმისთვისაა, რომ ოფიციალური მატჩებისთვის მზადება შეფასდეს და ლაფსუსები აღმოიფხვრას.

თავის მხრივ, უკმაყოფილო იყო „შსს აკადემიას" მწვრთნელი **გიორგიოს კეცელიდისი**. არა, მისმა გუნდმა სუსტად არ ითამაშა, პირიქით, ვფიქრობთ, შსსელებმა შესაძლებლობები კარგად გამოავლინეს - მწვრთნელი უკმაყოფილო იმიტომ უნდა ყოფილიყო, რომ შედარებით ძლიერი შემადგენლობის მეტოქეს სამი პერიოდი თანაბრად ეთამაშა და რომ არა მცირე ჩავარდნა, შეიძლებოდა სეზონი ტიტულის მოგებით დაეწყო. არადა, ეს შსს-სთვის მემორიალის ზედიზედ მესამე წაგებული ფინალია.

■ ■ ■

შესავალში დავწერეთ „შედარებით ძლიერი შემადგენლობის მეტოქეს". ეს „არმიას" ეხებოდა, რომელსაც ევროპულ კალათბურთში გამოცდილი, ევროთასსა თუ ევროჩელენჯზე გამოწვრთნილი ლეგიონერები ჰყავს. მათ დავუმატოთ საქართველოს ნაკრების წევრები და არანაკლებ სასარგებლო ქართველი კალათბურთელები. გავბედავთ და ვიტყვით, რომ ასეთი შემადგენლობით ოპტიმალურ ფორმაში მყოფ „არმიას" ევროჩელენჯზე ღირსეულად გამოსვლა შეუძლია.

რაც შეეხება „შსს აკადემიას", ისეთი მაღალანაზღაურებადი უცხოელები არ ჰყავს, როგორიც მეტოქეს, ქართველთაგან კი საქართველოს ნაკრების წევრი მხოლოდ **ბესიკ ლეჟავაა.**

■ ■ ■

მაშ, რამ განაპირობა სამი პერიოდის განმავლობაში თანაბარი თამაში? ეს მხოლოდ ანგარიშზე არ ითქმის, საბოლოო სტატისტიკაც არაერთ კომპონენტში იყო თანაბარი: რეალიზებული ორქულიანები - 15:15, ჩაჭრები - 5:5, სამწამიანი ზონიდან ჩაგდებული ქულები - 22:22, მოხსნები - 40:38, პასები - 17:16 (ბოლო ორი მაჩვენებლით ოდნავ წინ „არმიაა"), შეცდომები - 18:16 (აქ უფრო მეტი შსს-სია). თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი უმნიშვნელო სხვაობები თამაშის საბოლოო შედეგზე გავლენას არ მოახდენდა. იყო ერთი ნიუანსი, რამაც შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ამაზე მეოთხე პერიოდზე მსჯელობისას დავწერთ, მანამდე უნდა გავარკვიოთ, რამ განაპირობა ის, რომ მესამე პერიოდის შემდეგ ტაბლოზე 39:39 ეწერა.

პირველი მიზეზი „შსს აკადემიას" სწორი თამაში იყო. ამ გუნდის კალათბურთელებმა დაცვაში გააზრებულად, ენერგიულად იშრომეს და ამიტომაც გამოვიდა ქულამწირი შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ფარქვეშიდან ბურთის ჩაგდება ორივე გუნდს უჭირდა, ერთმაც და მეორემაც სამწამიანი ზონიდან მხოლოდ 22-22 ქულა მიითვალეს, რაც არც-თუ დიდი რიცხვია.

იყო მეორე მიზეზიც, რაზეც მატჩის შემდეგ „არმიას" მთავარმა მწვრთნელმა კოტე ტულუშმა ილაპარაკა: *„ამჟამად ფიზმომზადებას გავდივართ, რათა ნოემბრის დასაწყისს და ევროჩელენჯის მატჩებს ოპტიმალურ კონდიციებში შევხვდეთ. თუმცა მხოლოდ ეს არ იყო დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ტყორცნების მიზეზი. გვქონდა შეცდომები, რომელთა გამოსწორებაზეც ბევრი უნდა ვიმუშაოთ."*

როგორც ირკვევა, არმიელებს ამჟამად ფიზიკური დატვირთვები აქვთ და, ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ბევრი ისეთი ტყორცნა ვერ გამოიყენეს, მაღალი დონის კალათბურთელი ხშირ შემთხვევაში რომ აგდებს. ამას დავუმატოთ, რომ **ფეისონი** და **უილსონი** ახალი ჩამოსულები არიან და გუნდთან შეთამაშება სჭირდებათ. რამდენად საკმარისია დარჩენილი დრო ერთ მუშტად შესაკვრელად და სათანადო კონდიციების მისაღწევად, ამას ნოემბრის დასაწყისში ვნახავთ: „არმია" ევროჩელენჯის გახსნით შეხვედრას 7 ნოემბერს ისრაელში „ჰაპოელთან" ჩაატარებს.

■ ■ ■

მეოთხე პერიოდი წინა სამისგან რადიკალურად განსხვავებული გამოდგა. თუ მანამდე გუნდებს ქულების მოგროვება უჭირდათ, ბოლო 10 წუთში თითქმის იმდენი ქულა ვიხილეთ, რამდენიც საწყის ორ მეოთხედში ერთად. შედარებით გრძელი სათადარიგოთა სკამის მქონე „არმიელებთან" ბოლომდე „საჭიდაოდ" ძალა არ ეყოთ შსს-ს კალათბურთელებს. კოტე ტულუშის შეგირდებმა მეოთხე რაუნდში ჩაგდებული 29 ქულიდან 21 სამქულიანი ტყორცნების შედეგად მოაგროვეს. დაუჯერებელია? ქრონოლოგიას გადახედეთ:

| IV პერიოდი | |
|---|---|
| 9:42 | ა. ბოისა (არმია) 3ქ - 42:39 |
| 8:35 | ვონი (შსს აკადემია) 3ქ - 42:42 |
| 8:16 | წივწივაძე (არმია) 3ქ - 45:42 |
| 7:52 | ბოქოლიშვილი (შსს აკადემია) 2ქ - 45:44 |
| 7:38 | ა. ბოისა (არმია) 3ქ - 48:44 |
| 6:21 | გამყრელიძე (არმია) 3ქ - 51:44 |
| 5:36 | არჩიბეკი (შსს აკადემია) 2ქ - 51:46 |
| 5:13 | უილსონი (არმია) 3ქ - 54:46 |
| 4:56 | ლეჟავა (შსს აკადემია) 3ქ - 54:49 |
| 4:56 | არჩიბეკი - არასპორტული შენიშვნა |
| 4:56 | მილეიჯი (არმია) 1+1ქ - 56:49 |
| 4:41 | უილსონი (არმია) 2ქ - 58:49 |
| 3:58 | მილეიჯი (არმია) 2ქ - 60:49 |
| 3:01 | ბოქოლიშვილი (შსს აკადემია) 3ქ - 60:52 |
| 1:55 | მილეიჯი (არმია) 3ქ - 63:52 |
| 1:39 | ბექაური (შსს აკადემია) 2ქ - 63:54 |
| 1:17 | ვონი (შსს აკადემია) 1+1 - ორივე ააცილა |
| 0:55 | მილეიჯი (არმია) 3ქ - 66:54 |
| 0:43 | პრუეტი (შსს აკადემია) 3ქ - 66:57 |
| 0:10 | უილსონი (არმია) 2ქ - 68:57 |

### ნათქვამი

**კოტე ტულუში** („არმიას" მწვრთნელი):

*- დუდუ დადიანის მემორიალში პირველად მივიღეთ მონაწილეობა და მოხარულნი ვართ რომ დებიუტი თასის აღებით აღვნიშნეთ. „შსს აკადემიას" სახით ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავდა, თუმცა, ვფიქრობ ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც სამომავლოდ გამოსასწორებელი გვაქვს.*

**ლაშა გამყრელიძე** შეჯიბრების საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა და სპეციალური პრიზიც გადაეცა:

*- ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ. სამი პერიოდს განმავლობაში უთანასწორო ბრძოლა მიმდინარეობდა, თუმცა ბოლოს მაინც ვიმარჯვეთ. ფიზიკურად ვემზადებით და ამიტომაც ვერ ვუჩვენეთ საუკეთესო თამაში. ამ ეტაპზე მთელი ყურადღება ევროჩელენჯზე გვაქვს გადატანილი და ვიმედოვნებ, ამ შეჯიბრებისთვის სათანადო ფორმაში ვიქნებით. კარგი შემადგენლობა გვყავს და „არმიაში" მეც იმიტომ დავრჩი, რომ ევროჩელენჯზე წარმატებით თამაში და მომდევნო ეტაპზე გასვლა შეგვიძლია. დადიანის მემორიალში ასპარეზობა და გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო პირადად ჩემთვისაც, მოხარული და მადლობელი ვარ საუკეთესო კალათბურთელად დასახელებისთვის.*

**გეორგის კეცელიდისი** („შსს აკადემიას" მწვრთნელი):

*- სამი მეოთხედის განმავლობაში მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ და მოგების რეალური შანსიც გვქონდა, თუმცა გადამწყვეტ პერიოდში ჩვენმა ბიჭებმა ვერ შეძლეს „არმიის" კალათბურთელების, კურტის მილეიჯის და ანატოლი ბოისას შეჩერება, რომლებმაც მნიშვნელოვანი სამქულიანები ჩააგდეს.*

ქართველი NBA-ში

## მოლოდინი

„ბრუკლინ ნეთსმა" მეორე საგამოფენო მატჩი ჩაატარა. საკუთარი გულშემატკივრის წინაშე **თორნიკე შენგელიას** თანაგუნდელებმა „ვაშინგტონს" 10 ქულის სხვაობით სძლიეს - 98:88.

მწვრთნელმა, **ეივერი ჯონსონმა** არც ამჯერად ათამაშა საქართველოს ნაკრების 21 წლის ფორვარდი. მასთან ერთად განაცხადში მყოფი კიდევ ოთხი კალათბურთელი არ ჩართულა შეხვედრაში.

დღეს, გამთენიისას, „ბრუკლინ ნეთსი" „ბოსტონ სელტიკსს" სტუმრობდა, ხოლო 18 ოქტომბერს იმავე ბოსტონელებთან შინ ითამაშებს. იმედი დავიტოვოთ, რომ შენგელიას ამერიკული დებიუტი სწორედ „სელტიკსთან" შედგება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# კვირიკაშვილი 15 მალაღურაძე 9

**საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა, რომელიც ქართველ მორაგბეთა გუნდების უმრავლესობისთვის წარუმატებელი გამოდგა. „ქართულმა გუნდებმა“ თითქმის ყველა ჯგუფში პოზიციები დათმეს.**


მერაბ კვირიკაშვილი

A ჯგუფში **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონმა“ შინ წააგო უშუალო კონკურენტ „ბურგ ან ბრესთან“ 16:18 და ლიდერობა დაკარგა. კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 44-ე წუთზე მელიქიძემ შეცვალა. მაკონელებს ახლა 15 ქულა აქვთ და მესამე ადგილზე არიან.

**ზერო პეტრიაშვილის** „ვიენმა“ კი პირიქით, სტუმრად დაამარცხა **გიორგი სულუაშვილის** „სტრასბური“ მინიმალური სხვაობით - 17:16. შედეგად ვიენელები სატურნირო ცხრილში ოდნავ დაწინაურდნენ და ახლა 13 ქულით მე-4 ადგილზე არიან. სტრასბურელები კი ერთი ქულით ბოლო საფეხურზე დამკვიდრდნენ.

„ვიენს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონი“, რომელმაც შინ ასევე უმძიმეს ბრძოლაში მინიმალური სხვაობით დაამარცხა „ბობინი“ - 36:35. ჯაშიტაშვილი განაცხადში არ იყო.

**ელიზბარ ყუფარაძისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონმა“, რომელიც 7 ქულით ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზე იმყოფება, შინ ფრედ ითამაშა **გიორგი გაბელიას** „სენტ ეტიენთან“ - 15:15. სტუმართა გუნდს ამ მატჩის შემდეგ ათი ქულა დაუგროვდა და სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზეა.

### A ჯგუფი

**მაკონი-ბურგ ან ბრესი 16:18, შალონი-ბობინი 36:35, სტრასბური-ვიენი 16:17, მონლუსონი-სენტ ეტიენი 15:15, ლილი-დიჟონი 41:23.**

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლილი 18 ქულა, 2. ბურგ ან ბრესი - 18, 3. მაკონი - 15, 4. ვიენი - 13, 5. შალონი - 12, 6. დიჟონი - 12, 7. სნეტ ეტიენი - 10, 8. ბობინი - 9, 9. მონლუსონი - 7, 10. სტრასბური - 1.

### VI ტური

ბურგ ან ბრესი-შალონი, ბობინი-სტრასბური, სენტ ეტიენი-ვიენი, დიჟონი-მაკონი, მონლუსონი-ლილი

ბევრად უფრო რთული ვითარებაა ქართველ მორაგბეთა გუნდებისთვის B ჯგუფში. აქ ოთხი „ქართული გუნდი“ ასპარეზობს და ოთხივე სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფება. ყველაზე ცუდი მდგომარეობა აქვს **დავით კაჭარავას** „როდეზს“, რომელიც ფედერალ 1 დივიზიონის დებიუტანტია. როდეზელებმა მეხუთე ტურში სტუმრად წააგეს მესამეადგილოსან „აგდისთან“ საკმაოდ საინტერესო ბრძოლაში - 35:36.

კაჭარავა ძირითად შემადგენლობაში იყო და თავიდან ბოლომდე ითამაშა. „როდეზი“ ახლა ცხრა ქულით მე-9 ადგილზეა.

როდეზელებს ერთი ქულით უსწრებს და მე-8 ადგილზეა **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარი“, რომელმაც სტუმრად წააგო **ირაკლი ნინიძის** „რომანთან“ - 21:14. ამ უკანასკნელს შატორენარელთა მსგავსად 10 ქულა დაუგროვდათ და მე-7 ადგილზე არიან.

სტუმრად „ლავორთან“ წააგო 8:22 **ბექა ურჯუკაშვილისა** და **თენგიზ გელანტიას** „ობენამ“, რის გამოც სატურნირო ცხრილში დქვეითდა და ახლა 10 ქულით მეექვსე ადგილზეა.

### B ჯგუფი

**ბურგუენი-ბლანიაკი 51:13, ლა სეინი-ვალანსი 27:16, რომანი-შატორენარი 21:14, აგდი-როდეზი 36:35, ლავორი-ობენა 22:8.**

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბურგუენი - 23 ქულა, 2. ვალანსი - 13, 3. აგდი - 13, 4. ლავორი - 12, 5. ლა სეინი - 11, 6. ობენა - 10, 7. რომანი - 10, 8. შატორენარი - 10, 9. როდეზი - 9, 10. ბლანიაკი - 7.

### VI ტური

ბლანიაკი-ლა სეინი, ვალანსი-რომანი, როდეზი-შატორენარი, ობენა-ბურგუენი, აგდი-ლავორი,

პირველი მარცხი იწვნია და ლიდერობა დაკარგა C ჯგუფში მოასპარეზე **შოთა ცხოვრებაშვილისა** და **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერმა“. ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად ვერას გახდა უშუალო ფავორიტ „ტიროსთან“ - 3:13. გუჯარაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ცხოვრებაშვილი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა. „სენ ნაზერი“ ახლა 18 ქულით მეორე ადგილზეა და „ტიროსს“ ოთხი ქულით ჩამორჩება.

**თედო ზიბზიბაძის** „პერიგომ“ სტუმრად ფრე გაახერხა „აგეტმოსთან“ - 18:18. საქართველოს ნაკების შუამარბი ძირითად შემადგენლობაში იყო და სრულად ითამაშა. პერიგოელებმა ხუთი ტურის შემდეგ 12 ქულა დააგროვეს და მე-6 ადგილზე არიან.

თედო ზიბზიბაძის გუნდს ორი ქულით ჩამორჩება და მე-7 ადგილზეა **ნიკოლოზ მალალდაძის** „მარმანდი“, რომელმაც შინ წააგო ლანჟონისთან - 26:28. მალალდაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

### C ჯგუფი

**მარმანდი-ლანჟონი 26:28, სენ ჟან დანჟელი-სენ ჟან დე ლუზი 9:20, აგეტმო-პერიგო 18:18, ვანი-ნუარი 31:7, ტიროსი-სენ ნაზერი 13:3.**

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 22 ქულა, 2. სენ ნაზერი - 18, 3. სენ ჟან დე ლუზი - 14, 4. ვანი - 14, 5. ლანჟონი - 13, 6. პერიგო - 12, 7. მარმანდი - 10, 8. აგეტმო - 6, 9. სენ ჟან დანჟელი - 6, 10. ნუარი - 5.

### VI ტური

პერიგო-ვანი, სენ ჟან დე ლუზი-ნუარი, ლანჟონი-აგეტმო, სენ ნაზერი-მარმანდი, სენ ჟან დანჟელი-ტიროსი.

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდი დამარცხდა. **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენმა“ შინ წააგო „ლიმოჟთან - 15:19. კვირიკაშვილმა რომელმაც სრულად ითამაშა ხუთი საჯარიმო გაიტანა (15 ქულა), ასევე თავიდან ბოლომდე ითამაშა შერკინების პირველხაზელმა გიორგი მჭედლიშვილმაც. „სენ ჟუნიენს“ 10 ქულა დაუგროვდა და მე-8 ადგილზეა.

მას ოთხი ქულით ჩამორჩება და მე-9 საფეხური უკავია **ლაშა მალაღურაძისა** და **სიმონ მაისურაძის** „ბაგნერეს“, რომელმაც ფრედ ითამაშა შინ გათამაშების ლიდერ „მონტობანთან“ - 9:9. მალაღურაძემ, რომელმაც სრულად ითამაშა სამი საჯარიმო გაიტანა, მაისურაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს.

### D ჯგუფი

**სენ ჟუნიენი-ლიმოჟი 15:19, ლანამეზანი-ოლორონი 13:6, ნევერი-ლურდი 34:7, ბაგნერე-მონტობანი 9:9, კასტანე-სენ მედარი 39:6.**

### სატურნირო მდგომარეობა

1. მონტობანი - 21 ქულა, 2. ოლორონი - 15, 3. ნევერი - 14, 4. ლანამეზანი - 12, 5. ლურდი - 12, 6. ლიმოჟი - 11, 7. კასტანე - 10, 8. სენ ჟუნიენი - 10, 9. ბაგნერე - 6, 10. სენ მედარი - 6.

### VI ტური

ლურდი-ლანამეზანი, ლიმოჟი-ნევერი, სენ მედარი-ოლორონი, მონტობანი-სენ ჟუნიენი, კასტანე-ბაგნერე.


ლაშა მალაღურაძე

საქართველოს ჩემპიონატი


არმაზი-ლოკომოტივი

# ლელომ ჯიქები გაიარა, არმაზი?

**საქართველოს ჩემპიონატში შვიდი ტურის შემდეგ ორი გუნდი, „ლელო“ და „არმია“ საგრძნობლად დაწინაურდა. ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი 27 ქულით მეორე ადგილზეა და მას „ლელო“ ერთი ქულით უსწრებს. ლელოელებსა და მესამეადგილოსან „არმაზს“ შორის კი სხვაობა შვიდი ქულაა, რომელიც შესაძლოა მომდევნო, მერვე ტურის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდოს.**

საამისოდ კი, ცხადია, „ლელომ“ „არმაზი“ უნდა დაამარცხოს, რომელიც წლეულს შესანიშნავ გუნდად ჩამოყალიბდა და შვიდი მატჩიდან ხუთი მოიგო. არმაზელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ განვლილ მე-7 ტურში მათ სეზონის საუკეთესო შეხვედრა გამართეს. უფრო სწორად ერთი, პირველი ტაიმი. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონსა და თასის მფლობელს, თბილისის „ლოკომოტივს“ 31 წუთში 25:0-ს უგებდე, ხუმრობა საქმე როდია.

„არმაზის“ მორაგბეები ამ შეხვედრას კარგად მომზადებულნი, მაქსიმალურად მობილიზებულნი შეხვდნენ. შეუიარაღებელი თვალითაც შესანიშნავად ჩანდა, რომ მეტოქის თამაში დეტალურად ჰქონდათ შესწავლილი და თითქმის ყველაფერზე კონტრარგუმენტი გააჩნდათ.

რკინიგზელთა ძლიერი მხარე მუდამ იყო მძლავრი და მობილური შერკინება. აშკარად ჩანს, რომ წლეულს გუნდი უწინდელისგან განსხვავებული რაგბის თამაშს ცდილობს. თუ აქამდე ლოკომოტიველები მორკინალთა აილე-მიეძალეს ხერხით ცდილობდა ფონს გასვლას, ახლა უკვე თამაშის მწყობრი სისტემის აწყობას ცდილობენ და ხელდახელ სულ უფრო მეტად ბურთაობენ.

„არმაზმა“, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ მეტოქეს პირველ ნახევარში ყველა კომპონენტში აჯობა. რასაც ვერაფრით ვიტყვით მეორე ნახევარზე. შესვენების შემდეგ „ლოკომოტივი“ საგრძნობლად გააქტიურდა და როგორც სჩვევია, აგრესიულად ამოქმედდა. არმაზელებმა მათ ველარაფერი დაუპირისპირეს და მეორე ტაიმი 6:21 წააგეს. როგორც ჩანს, მათ ორი ტაიმის ერთ, მაღალ ტემპში თამაში ჯერ არ ძალუძთ.

მეტოქის ამ ნაკლის გამოყენებას, ცხადია, „ლელო“ ეცდება, რომელმაც განვლილ ტურში მძიმე ბრძოლაში დაამარცხა გათამაშების დებიუტანტი „ილიაუნი ჯიქი“. ამ ახალგაზრდულ გუნდთან თამაში ყველას უჭირს და შემთხვევითი სულაც არ არის, სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე რომ არის.

გამარჯვების მიუხედავად, „ლელოს“ ხელმძღვანელები თამაშის ხარისხით უკმაყოფილონი იყვნენ. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „არმაზთან“ დაპირისპირებამდე დარჩენილ დროში ხარვეზების ალმოფხვრა შესაძლებელია და, გამორიცხული არ არის, გუნდმა უფრო მობილიზებულმა ითამაშოს. ერთი სიტყვით, მე-8 ტურში „ლელო“-“არმაზის“ დაპირისპირება საინტერესო სანახავი იქნება.

მეორეადგილოსან „არმიას“ კი „ლელოზე“ ბევრად უფრო იოლი პრობლემა ექნება გადასაჭრელი. ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი რუსთავის „ხარებს“ ეთამაშება, რომელმაც განვლილ ტურში შინ დიდი ანგარიშით წააგო ქუთაისის „აიასთან“ - 13:50. ძნელი სათქმელია, რა პრობლემები აწუხებს რუსთავულ გუნდს. ასეთი დიდი სხვაობით მარცხს ნამდვილად არავინ ელოდა. მით უფრო, რომ ქუთათურებთან ტრადიციულად უშელავათო ბრძოლას მართავდნენ.

„აია“ კი, როგორც ჩანს, სათამაშო ფორმის პიკს უახლოვდება. მომდევნო ტურში ქუთაისელი მორაგბეები შინ აუტსაიდერ „აკადემიას“ უმასპინძლებენ, რომელთანაც სავარაუდოდ, გამარჯვების მიღწევა არ უნდა გაუჭირდეთ. პირველი წრის ბოლო ტურში კი „აიას“ მეტოქე ბოლოსწინა ადგილზე მყოფი თბილისის „ყოჩები“ იქნება. ქუთათურებს შანსი აქვთ, ორივე თამაში მოიგონ და პირველი წრის შედეგებით საპლეიოფო ოთხეულში დაიმკვიდრონ ადგილი.

### VIII ტური

ბათუმი-ილიაუნი ჯიქი, არმაზი-ლელო, ლოკომოტივი-ხარები, აია-აკადემია, არმია-ყოჩები

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 7 | 6 | 0 | 1 | +103 | 28 |
| 2. არმია | 7 | 6 | 0 | 1 | +81 | 27 |
| 3. არმაზი | 7 | 5 | 0 | 2 | +36 | 21 |
| 4. აია | 7 | 4 | 1 | 2 | +35 | 20 |
| 5. ჯიქები | 7 | 4 | 0 | 3 | +19 | 19 |
| 6. ლოკომოტივი | 7 | 2 | 1 | 4 | -2 | 14 |
| 7. ბათუმი | 6 | 2 | 0 | 4 | -28 | 10 |
| 8. ხარები | 6 | 2 | 0 | 4 | -58 | 9 |
| 9. ყოჩები | 7 | 1 | 0 | 6 | -58 | 7 |
| 10. აკადემია | 7 | 1 | 0 | 6 | -126 | 5 |

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ჩოგბურთი


ალექსანდრ ლუკაშენკო

# ლუკაშენკომ კრემლი მოითხოვა

ბელარუსის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ლუკაშენკომ** ATP-ისა და WTA-ის ხელმძღვანელობას "კრემლის" თასის" მოსკოვიდან ბელარუსში გადატანისკენ მოუწოდა.

"კრემლის თასი" მოსკოვში 1990 წლიდან იმართება. თავდაპირველად ის მამაკაცებს შორის ტარდებოდა, 1996 წლიდან კი ტურნირი ქალ ჩოგბურთელებსაც მასპინძლობს.

ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მან წელს ამ ტურნირის რამდენიმე მატჩი იხილა. პრეზიდენტის თქმით, შეჯიბრებას მაყურებელი საერთოდ არ ესწრება. *"მე, როგორც სპორტსმენმა, ვიცი რას ნიშნავს ცარიელი ტრიბუნების ქვეშ თამაში"*, - განაცხადა ლუკაშენკომ.

ქვეყნის მეთაურის თქმით, მას რცხვენია ასეთი დაბალი დასწრების, ამიტომაც შესთავაზა საჩოგბურთო ბოსებს ტურნირის ბელარუსში გადატანა. *"მოგვეცით "კრემლის თასი" ჩვენ და ჩავატარებთ "ბელარუსის კრემლის თასს"*, - თქვა ლუკაშენკომ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ბილეთები უფასოდ უნდა დაარიგონ შრომით კოლექტივებში.

რუსული პრესა "კრემლის" თასზე დასწრების დაბალ პროცენტს ბილეთებზე მაღალი ფასებითა და ტურნირის მონაწილეთა დაბალი დონით ხსნის.

# მეხუთე საგზური ფერერისაა


დავიდ ფერერი

ესპანელი ჩოგბურთელი **დავიდ ფერერი**, რომელიც მეხუთე ადგილზეა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგში, წლის შემაჯამებელი ტურნირის რიგით მეხუთე მონაწილე გახდა. ეს ჩემპიონატი 5-12 ნოემბერს ლონდონში გაიმართება. ფერერი წლის მთავარ ტურნირში ზედიზედ მესამედ, სულ კარიერაში კი მეოთხედ მიიღებს მონაწილეობას.

2012 წელს, 30 წლის ფერერმა ხუთი ტიტული მოიგო - ოკლენდში, ჰერტოგენბოშში, ბუენოს აირესში, აკაპულკოსა და ბაშტადში.

უფრო ადრე, წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვეს სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** და ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**. სულ ლონდონის ტურნირზე რვა ჩოგბურთელი ითამაშებს.

ველოსპორტი

# 20 ათასი დოპინგისთვის

ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი **ლენს არმსტრონგი**, რომელსაც ტიტულები დოპინგის გამოყენების გამო ჩამოართვეს, გარკვეულ თანხას უხდიდა მოტოციკლისტს, რომელიც ამერიკელ ველომრბოლს 1999 წლის ტურ დე ფრანსის მსვლელობისას აკრძალული პრეპარატით - ერითროპოეტინით ამარაგებდა. ამის შესახებ BBC-ის ეთერში არმსტრონგის ყოფილმა პარტნიორმა **ტაილერ ჰემილტონმა** განაცხადა.

ჰემილტონის თქმით, მოტოციკლისტი სამი კვირის განმავლობაში თან დაჰყვებოდა ველომრბოლებს და ყოველთვის იმ სასტუმროს ახლოს იმყოფებოდა, რომელშიც ლენსი და მისი პარტნიორები ცხოვრობდნენ. არმსტრონგმა ამ სამსახურისთვის მოტოციკლისტს 15-დან 20 ათასამდე დოლარი გადაუხადა, ხოლო ტურზე მისი გამარჯვების შემდეგ, გუნდის წევრებმა ფული შეაგროვეს და "თანაშემწეს" "როლექსის" ფირმის საათი აჩუქეს.

■ ■ ■

ლენს არმსტრონგს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინა ბრიტანულმა გაზეთმა "სანდი თაიმსმა". ეს უკანასკნელი ამერიკელ ველომრბოლს სასამართლოში უჩივლებს. საქმე ისაა, რომ 2004 წელს, არმსტრონგმა გამოცემას სასამართლოს ძალით გადაახდევინა მილიონი გირვანქა სტერლინგი იმ სტატიის გამო, რომელშიც სპორტსმენს დოპინგის მიღებაში ადანაშაულებდნენ.


ლენს არმსტრონგი

ფორმულა 1

# საგულისხმო სტატისტიკა

**კორეის ეტაპის შემდეგ, ცნობილმა საენციკლოპედიო ბაზამ - Forix-მა რამდენიმე საინტერესო სტატისტიკური მონაცემი გამოაქვეყნა...**

## ფეტელის დომინირება

- **სებასტიან ფეტელი** პირველი მრბოლელია, რომელმაც ამ სეზონში ზედიზედ სამი ეტაპი მოიგო. ის სინგაპურის გრანპრის 23-ე წრიდან მოყოლებული კორეის გრანპრის ფინიშამდე ლიდერობდა - 145 წრე ან 804 კოლომეტრი - ეს ყველაზე ხანგრძლივი ლიდერობაა ფორმულა 1-ში ბოლო 20 წლის განმავლობაში.

- 20 წლის წინ, ყველაზე ხანგრძლივი ლიდერობა **ნაიჯელ მენსელს** ჰქონდა - ზედიზედ 235 წრე ან 1016 კილომეტრი ედგა სათავეში პელოტონს.

- ზედიზედ ლიდერობის აბსოლუტური რეკორდი **ალბერტო ასკარის** ეკუთვნის - 1952 წელს ბელგიის გრანპრის მეორე წრიდან ჰოლანდიის გრანპრის ფინიშამდე. ლიდერობა 305 წრე ან 2075 კილომეტრი გრძელდებოდა.

## კვალიფიკაცია

- კარიერაში **მარკ უებერის** მე-11 პოული 30-ეა ავსტრალიელი პილოტებისთვის და მე-200 „რენოს" ძრავებისთვის.

- მეორე სასტარტო პოზიციის მფლობელმა ფეტელმა 47-ედ დაიწყო რბოლა პირველი რიგიდან, რითაც მეშვიდე ადგილი გაიყო საერთო რეიტინგში **დეიმონ ჰილთან**.

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 116 |
| 2. აირტონ სენა | 87 |
| 3. ალენ პროსტი | 86 |
| 4. ნაიჯელ მენსელი | 56 |
| 5. ხუან მანუელ ფანხიო | 48 |
| 5. ჯიმ კლარკი | 48 |
| 7. სებასტიან ფეტელი | 47 |
| 7. დეიმონ ჰილი | 47 |
| 9. ლუის ჰემილტონი | 45 |
| 10. ნელსონ პიკე | 44 |

- ზედიზედ მეორე რბოლაში „რედ ბულის" პილოტებმა პირველი ხაზიდან აილეს სტარტი - ეს მეჩვიდმეტედ მოხდა გუნდის ისტორიაში.

- **ფერნანდო ალონსოს** მეოთხე სასტარტო პოზიცია - საუკეთესოა ესპანელისთვის ივლისის შემდეგ.

- **ჯენსონ ბატონი** სეზონში მეოთხედ ვერ მოხვდა კვალიფიკაციის ფინალში.

## რბოლა

- კარიერაში 25-ე მოგებით, სებასტიან ფეტელი საერთო რეიტინგში მეშვიდე ადგილზე მყოფ **ჯიმ კლარკსა** და **ნიკი ლაუდას** გაუთანაბრდა, ხოლო პოდიუმზე 43-ედ ასვლით, - **ჯეკი სტიუარტს**.

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 91 |
| 2. ალენ პროსტი | 51 |
| 3. აირტონ სენა | 41 |
| 4. ნაიჯელ მენსელი | 31 |
| 5. ფერნანდო ალონსო | 30 |
| 6. ჯეკი სტიუარტი | 27 |
| 7. ჯიმ კლარკი | 25 |
| 7. ნიკი ლაუდა | 25 |
| 7. სებასტიან ფეტელი | 25 |

- „რედ ბულმა" თავისი არსებობის ისტორიაში მეთორმეტე დუბლი ჩაიწერა აქტივში. გარდა ამისა, ამ გუნდის პილოტებმა პირველი რიგიდან აილეს სტარტი და საუკეთესო წრეც დააფიქსირეს - ასეთი დომინირება ფორმულა 1-ში საფრანგეთის 2008 წლის გრანპრის შემდეგ არ ყოფილა. მაშინ ასეთი შედეგი „ფერარის" ჰქონდა.

- ფერნანდო ალონსომ ზედიზედ 51 რბოლა ჩაატარა ისე, რომ მის ბოლიდს მექანიკური პრობლემა არ შეჰქმნია - ეს ისტორიაში სიგრძით მესამე მსგავსი სერიაა. ესპანელი ბოლოს რბოლას 2010 წელს მალაიზიაში გამოეთიშა, როცა „ფერარის" ძრავა დაიწვა. აქამდე, 51 რბოლა ტექნიკური პრობლემის გარეშე **ლუის ჰემილტონმა** ჩაატარა.

- **კიმი რაიკონენმა** კარიერაში 171-ე გრანპრი ჩაატარა და გაუთანაბრდა საერთო რეიტინგში 21-ე ადგილზე მყოფ ნიკი ლაუდას.

- „უილიამსმა" ზედიზედ მეორედ ვერ შეძლო კორეაში ქულების მოპოვება.

- **ნიკო როსბერგი** კარიერაში პირველად გამოეთიშა ზედიზედ ორ რბოლას ავარიის გამო.

- 2009 წლის შემდეგ, ჯენსონ ბატონი პირველად გამოეთიშა რბოლას პირველ წრეზე.


კორეული პოდიუმი

# ფეტელი ფერარის უარყოფს

## სკუდერიაში ვაკანსიები აღარ არის


ფელიპე მასა

"რედ ბულის" პილოტი **სებასტიან ფეტელი** გამოეხმაურა ინგლისური პრესის ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც მან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა "ფერარისთან" და 2014 წელს გახდება იტალიური გუნდის წევრი. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია.

*"დღეს, საერთოდ არ არის ლაპარაკი ტრანსფერზე*, - ამბობს Auto Bild Motorsport-თან კომენტარში გერმანელი. - *ახლა, ჩემი ფიქრები იქითკენ არის მიმართული, რომ მესამედ გავხდე ჩემპიონი. "რედ ბულში" ბედნიერი ვარ. არ ვფიქრობ გუნდიდან წასვლაზე, დღეს ეს ჩემთვის საერთოდ არ არის საინტერესო. "რედ ბულში" მაქვს ყველაფერი, რაზეც შეიძლება მეოცნება. დიდი ხანია ამ ოჯახის წევრი ვარ, ასე რომ, ვერ წარმომიდგენიაა სხვაგან წასვლა"*.

ფეტელის წახვლის შესახებ ჭორები "რედ ბულის" წარმომადგენლებმაც უარყვეს. ამასთან, Bild-ის ინფორმაციით, პილოტის მოქმედ კონტრაქტში მართლაც არსებობს პუნქტი გუნდიდან ვადაზე ადრე წასვლის თაობაზე. თუმცა იტყობინებიან, რომ ფეტელი არ აპირებს ამ პუნქტის გამოყენებას. ასე რომ, პილოტის წასვლა 2015 წლამდე ნაკლებად სავარაუდოა. გამოცემა ვარაუდობს, რომ ჭორები "ფერარის" წარმომადგენლებმა გაავრცელეს, რათა კონკურენტის რიგებში არასტაბილურობა შეეტანათ.

P. S. გუშინ, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „სკუდერიამ" დაადასტურა ბრაზილიელ **ფელიპე მასასთან** კონტრაქტის გახანგრძლივება.

# მარკი სებას არ დაეხმარება

## ფლავიო ბრიატორე ალონსოს კრახს ვარაუდობს

როგორციცით, გასულ უქმეებზე გამართული სამხრეთ კორეის გრანპრის შემდეგ შეიცვალა ლიდერი მსოფლიოს ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში - **სებასტიან ფეტელმა** გაუსწრო **ფერნანდო ალონსოს** და ახლა, სხვაობა გერმანელსა და ესპანელს შორის ექვსი ქულაა.

ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა მნიშვნელოვანი საკითხი: დაეხმარება თუ არა "რედ ბულის" მეორე პილოტი **მარკ უებერი** ფეტელს ჩემპიონობის მოპოვებაში. როგორც ავსტრიულ საჯინიბოში ამბობენ, ისინი არ გამოიყენებენ გუნდურ ტაქტიკას და არ სთხოვენ უებერს ფეტელისთვის დახმარების გაწევას. გუნდის ხელმძღვანელის **კრისტიან ჰორნერის** თქმით, სანამ მარკს ტიტულის მოპოვების თეორიული შანსები რჩება, გუნდი თანაბრად დაუჭერს მხარს ორივე პილოტს.

*"ჯერჯერობით ჩვენს გეგმაში არ შედის გუნდური ტაქტიკის გამოყენება. სებასტიანი გენერალური კლასიფიკაციის ლიდერია, მაგრამ მარკს ისევ აქვს ჩემპიონატის მოპოვების შანსი. ვფიქრობ, არასწორი იქნებოდა ასეთი ტაქტიკის არჩევა იქამდე, სანამ მარკს ასეთი შესაძლებლობა აქვს.*

*კორეაში ჩვენმა პილოტებმა აჩვენეს, რომ შეუძლიათ ერთმანეთის წინააღმდეგ პატიოსნად ბრძოლა. სწორედ ამის შესახებ ვთხოვდით მათ"*, - ამბობს ჰორნერი.

■ ■ ■

ფეტელისა და ალონსოს საჩემპიონო ბრძოლას გამოეხმაურა "რენოს" ყოფილი ბოსი ფლავიო ბრიატორე. იტალიელი სპეციალისტის განცხადებით, ფერნანდო ვერ შეძლებს ასეთი დონის ბოლიდით მიმდინარე ჩემპიონატის მოგებას.

*"ისეთი ბოლიდით, როგორიც ამჟამად "ფერარის" ჰყავს, ჩემპიონატის მოგება შეუძლებელია*, - ამბობს Tuttosport-თან კომენტარში ბრიატორე. - *არ მჯერა ალონსოსი. ის იტყუება, რადგან ძალიან უკმაყოფილოა თავისი ბოლიდით"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA 2012-13 წელი

# სეზონის წინ: საკრამენტო კინგზი

**საკრამენტო კინგზი 2011-12**

**თავდასხმა:** საშუალოდ 101,0 ქულა – 22-ე ლიგაში

**დაცვა:** საშუალოდ 106,8 ქულა – 28-ე ლიგაში

**წინა ხაზი**

**დემარკულ კაზინსი**, თუ მოინდომებს, შეძლებს გახდეს "ყველა ვარსკვლავის დონის" ცენტრი. მას დაუმატეს პოტენციურად იდეალური პარტნიორი მძიმე ფორვარდის პოზიციაზე – **ტომას რობინსონი. ტაირიკ ევანსს** საკმაოდ ხშირად ვიხილავთ მეორე ფორვარდის ამპლუაში.

**შეფასება:** 3 პლიუსით

**უკანა ხაზი**

**აარონ ბრუქსი** - "საკრამენტოსთვის" იშვიათი შენაძენია. დიდი ხანია ამ გუნდში არ ყოფილა გამოცდილი ვეტერანი მცველის პოზიციაზე. **აიზია ტომასი** – შარშანდელი დრაფტის მთავარი აღმოჩენა გახდა და ის ბრუქსთან კარგ წყვილს შექმნის, **მარკუს ტორნტონი** კი ქულების მთავარ მომპოვებლად დარჩება.

**შეფასება:** 4 მინუსით

**დაცვა**

მას შემდეგ, რაც იანვარში **კეით სმარტმა პოლ ვესტფალი** შეცვალა მთავარი მწვრთნელის პოსტზე, მან გუნდს სწრაფად თამაშისკენ მოუწოდა, რათა მარტივი მომენტები შეექმნათ ქულების დაგროვებისთვის. მაგრამ არაფერი შეცვლილა. "მეფეებმა" ვერ ისწავლეს დაცვაში თამაში, ამიტომაც მათ ისლა დარჩენიათ სწრაფად გაათამაშონ ბურთი მეტოქის მიერ მოპოვებული ქულების შემდეგ.

**შეფასება:** ჩავარდნა

**სათადარიგოთა სკამი**

"საკრამენტო" დიდი მონდომებით აგროვებს კონკურენტუნარიან სათადარიგოთა სკამს, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. **ტომასმა**, რომლის დრაფტზე არჩევის შესახებ ყველას ეჭვი ჰქონდა მისი ამჟამინდელი გუნდის გარდა, უნდა დაამტკიცოს, რომ მისი შარშანდელი კარგი თამაში შემთხვევითობა არ ყოფილა. **ჯეისონ ტომპსონი** და **ჩაკ ჰეიესი** - გუნდის წინა ხაზის მთავარი დამხმარენი იქნებიან.

**შეფასება:** 3 მინუსით

**მწვრთნელი**

კეიტ სმარტმა ხელმძღვანელობას თავი მოაწონა ახალგაზრდა მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვით. მწვრთნელმა ამ კალათბურთელებს აიძულა ძალების სრული დახარჯვით ეთამაშათ ჩავარდნილ სეზონში. თავდაპირველად, კეიტს მოაშორეს სტატუსი – "მოვალეობების დროებითი შემსრულებელი" და მთავარ მწვრთნელად გადაიყვანეს, შემდეგ კი 2014 წლის ბოლომდე გაუგრძელეს კონტრაქტი.

**შეფასება:** 3

**საბოლოო შეფასება**

ჯერჯერობით ლაპარაკია შესაძლო პერსპექტივებზე. "მეფეები" ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტების ბაზრის ხარჯზე მოძლიერდნენ, როცა გაიფორმეს სასტარტოს გამთამაშებელი (აარონ ბრუქსი) და მძიმე ფორვარდი (ტომას რობინსონი). მაგრამ ეს ცვლილებები, საერთო ჯამში, არ განსხვავდება იმისგან, რაც იმ გუნდებმა გააკეთეს, რომლებიც გასულ წელს ვერ მოხვდნენ პლეი ოფში.

თუ გუნდში სხვა ცვლილებები არ მოხდება, რეგულარულ ჩემპიონატში "კინგზი" ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი იქნება დივიზიონში ან სულაც კონფერენციაში ბოლო ადგილის დასაკავებლად. მაგრამ ახლა, შარშანდელ შემადგენლობასთან შედარებით, გვირაბის ბოლოში სინათლე გამოჩნდა და გულშემატკივრებს იმედი გაუჩნდათ.

**საერთო შეფასება:** 3 მინუსით



ტაირიკ ევანსი, დემარკუს კაზინსი, ჯიმერ ფრედეტი

# ნოვიცკი საოპერაციოა

## დავიდ სტერნმა ევროპული დივიზიონი გადაიფიქრა

„დალას მავერიქსის" მძიმე ფორვარდმა **დირკ ნოვიცკიმ** აღიარა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა თავიდან აიცილოს ოპერაცია მუხლზე, რომელიც პერიოდულად უსივდება. გერმანელი ვარსკვლავის თქმით, დღევანდელ სიტუაციაში წინასასეზონო მატჩების ჩატარებას აზრი ეკარგება.

*„ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ოპერაცია თავიდან ავიცილო*, - მოჰყავს ESPN-ს ნოვიცკის სიტყვები. - *გასაგებია, რომ ახლა ქირურგთან მისვლის არანაირი სურვილი არ მაქვს. ჩემი ნება რომ იყოს, ამ ყველაფერს სეზონის შემდეგ გავაკეთებდი. მუხლი სამჯერ თუ ოთხჯერ გასივდა, რაც ცუდი მომენტია. რა თქმა უნდა, ასე შეუძლებელია სეზონში 82 მატჩის და შემდეგ პლეი ოფის ჩატარება. რამდენიმე დღის შემდეგ შევაფასებთ ტრავმის სირთულეს და მივიღებთ გარკვეულ გადაწყვეტილებას. მაგრამ ასეთი პრობლემებით თამაშს აზრი არ აქვს".*

■ ■ ■

იმავე „დალასის" მცველი **დელონტე უესტი** გაურკვეველი ვადით ჩამოაშორეს გუნდს. ამის შესახებ გამოაცხადა „მავერიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **რიკ კარლაილმა**, რომელსაც არ დაუკონკრეტებია გადაწყვეტილების მიზეზი.

წყაროები ამტკიცებენ, რომ მცველის დასჯა გამოიწვია მისმა ხულიგნურმა საქციელმა გასახდელში „ჰიუსტონთან" მატჩის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ ადრე უესტს ბიპოლარული დარღვევა დაუდგინეს, რომლის გამოხატულებაა დეპრესიული ან მანიაკალური მდგომარეობა.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა, რომ აღარ განიხილავს მსოფლიოს საუკეთესო ლიგის ევროპული დივიზიონის შექმნის შესაძლებლობას.

*„არ მგონია, აზრი ჰქონდეს ევროპაში* NBA-*ის ერთი გუნდის შენახვას. თავის დროზე ვამბობდი, რომ ლიგა განიხილავს ევროპაში ყოფნის ვარიანტს, მაგრამ ლაპარაკი იყო ხუთ გუნდზე. თუმცა დღეს დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ „ბებერ კონტინენტზე" არ არის საკმარისი რაოდენობის არენა, ტელევიზიებთან ადეკვატური ურთიერთობის მექანიზმი და ა. შ. დარწმუნებული არ ვარ, რომ შევძლებთ ბილეთებზე საჭირო ფასის დაწესებას. არ მგონია, რომ ჩვენს ევროპელ გულშემატკივრებს დღეს* NBA-*ის ევროპაში გაფართოება სურდეთ"*, - ამბობს სტერნი.

შეგახსენებთ, რომ სტერნი ევროპაში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დივიზიონის შექმნას აპირებდა, რომელშიც ლონდონის, რომის, პარიზის, მადრიდის, ბარსელონასა და ბერლინის გუნდები ითამაშებდნენ.

**ფილადელფია-ბოსტონი 107:75**

23:21, 33:21, 28:21, 23:12

**ფ:** ჰაუსი (17+8 მოხსნა), ტ. იანგი (15+6 მოხსნა), ნ. იანგი (14), ალენი (11+5 მოხსნა), ტერნერი (10+3 ჩაჭრა).

**ბ:** პირსი (16+6 მოხსნა), ბასი (11+6 მოხსნა).

**კლივლენდი-ორლანდო 114:111 (ო)**

31:22, 22:24, 31:32, 23:29, 7:4

**კ:** ირვინგი (22), მაილზი (17), გი (13+5 მოხსნა), კასპი (12+5 მოხსნა).

**ო:** დევისი (27+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), რედიკი (18+8 პასი), მური (15+7 პასი), ნიკოლსონი (14+9 მოხსნა), ვუჩევიჩი (10).

**ბრუკლინი-ვაშინგტონი 98:88**

24:25, 26:23, 23:20, 25:20

**ბ:** ლოპესი (18+11 მოხსნა), ბლეტჩი (16+8 მოხსნა), ჯონსონი (14+5 პასი), ჰემფრიზი (11+5 მოხსნა+3 დაფარება), უილიამსი (11+9 პასი).

**ვ:** უებსტერი (18), ბილი (13), ოკაფორი (12+6 მოხსნა), კროუფორდი (12), არიზა (10).

**დალასი-ჰიუსტონი 123:104**

25:29, 32:29, 34:24, 32:22

**დ:** მაიო (20), კრაუდერი (20+5 მოხსნა), მერიონი (15+5 მოხსნა), კარტერი (15), ბრენდი (10+8 მოხსნა), რაიტი (10+5 მოხსნა), კამანი (6+11 მოხსნა+3 დაფარება).

**ჰ:** მარტინი (23+3 ჩაჭრა), პატერსონი (13+7 მოხსნა), პარსონსი (12), ფორბსი (11+6 მოხსნა), აშიქი (4+11 მოხსნა).

**დენვერი-გოლდენ სტეიტი 104:98**

34:27, 22:26, 30:33, 18:12

**დ:** გალინარი (18+6 მოხსნა), ბრიუერი (15), ჰემილტონი (11), მოზგოვი (10+6 მოხსნა), იგუოდალა (10+7 პასი), კუფოსი (6+13 მოხსნა).

**გ-ს:** კარი (25), ტომპსონი (21+6 მოხსნა), ლი (15).

**საკრამენტო-პორტლენდი 117:100**

31:22, 31:20, 29:36, 26:22

**ს:** ტორნტონი (23+3 ჩაჭრა), კაზინსი (20+7 მოხსნა+4 დაფარება), ბრუქსი (16), ჯონსონი (12), ფრედეტი (11), ევანსი (11).

**პ:** ლილარდი (20), ოლდრიჯი (16+7 მოხსნა), ბატუმი (14+6 მოხსნა+5 პასი), მეტიუზი (11), ჰიქსონი (11+7 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მუნდიალი 2014**

| ევროპა | |
|---|---|
| ხორვატია-უელსი | 2:0 |
| მაკედონია-სერბეთი | 1:0 |
| ბელგია-შოტლანდია | 2:0 |
| ჩეხეთი-ბულგარეთი | 0:0 |
| იტალია-დანია | 3:1 |
| ფარერები-ირლანდია | 1:4 |
| ავსტრია-ყაზახეთი | 4:0 |
| გერმანია-შვედეთი | 4:4 |
| ანდორა-ესტონეთი | 0:1 |
| რუმინეთი-ჰოლანდია | 1:4 |
| უნგრეთი-თურქეთი | 3:1 |
| კვიპროსი-ნორვეგია | 1:3 |
| ისლანდია-შვეიცარია | 0:2 |
| ალბანეთი-სლოვენია | 1:0 |
| რუსეთი-აზერბაიჯანი | 1:0 |
| ისრაელი-ლუქსემბურგი | 3:0 |
| პორტუგალია-ჩრ. ირლანდია | 1:1 |
| ლატვია-ლიხტენშტაინი | 2:0 |
| ბოსნია-ლიტვა | 3:0 |
| სლოვაკეთი-საბერძნეთი | 0:1 |
| უკრაინა-ჩერნოგორია | 0:1 |
| სან მარინო-მოლდოვა | 0:2 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 1:1 |
| პოლონეთი-ინგლისი | გადაიდო |

| ს. ამერიკა | |
|---|---|
| ბოლივია-ურუგვაი | 4:1 |

| აზია | |
|---|---|
| კატარი-უზბეკეთი | 0:1 |
| ირანი-ს. კორეა | 1:0 |
| ომანი-იორდანია | 2:1 |
| ერაყი-ავსტრალია | 1:2 |

| კონკაკაფი | |
|---|---|
| კუბა-პანამა | 1:1 |
| ჰონდურასი-კანადა | 8:1 |

| ოკეანეთი | |
|---|---|
| ახ. ზელანდია-ტაიტი | 3:0 |
| ახ. კალედონია-სოლომონის კ-ები | 5:0 |

**ევრო 2013**

| UNDER 21 | |
|---|---|
| რუსეთი-ჩეხეთი | 2:2 |
| შვეიცარია-გერმანია | 1:3 |
| ნორვეგია-საფრანგეთი | 5:3 |
| სერბეთი-ინგლისი | 0:1 |
| შვედეთი-იტალია | 2:3 |
| დანია-ესპანეთი | 1:3 |

**ევრო 2013**

| UNDER 19 | |
|---|---|
| ირლანდია-გერმანია | 2:2 |
| ლუქსემბურგი-მაკედონია | 0:1 |
| პორტუგალია-საფრანგეთი | 2:2 |
| ლატვია-ისრაელი | 3:5 |
| ნორვეგია-სლოვაკეთი | 1:2 |
| ბოსნია-ყაზახეთი | 4:2 |

**ევრო 2013**

| UNDER 17 | |
|---|---|
| თურქეთი-ისრაელი | 2:4 |
| ყაზახეთი-ხორვატია | 0:2 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| სინგაპური-ინდოეთი | 2:0 |
| ჰონგ კონგი-მალაიზია | 0:3 |
| იაპონია-ბრაზილია | 0:4 |
| ვიეტნამი-ინდონეზია | 0:0 |
| ქუვეითი-ფილიპინები | 2:1 |
| ბაჰრეინი-საემიროები | 2:6 |
| კენია-ს. აფრიკა | 1:2 |
| ეგვიპტე-ტუნისი | 0:1 |

**ინგლისი**

| I ლიგა | |
|---|---|
| ბერი-კარლაილი | 1:1 |
| ლეიტონი-ჰარტლპული | 1:0 |

| League Trophy | |
|---|---|
| ტორკი-იეოვილი | 2:2 პენ. 2:3 |

**გერმანია**

| რეგიონალური ლიგა (დას.) | |
|---|---|
| გლადბახი II-ბოხუმი II | 1:0 |

**უნგრეთი**

| ლიგის თასი | |
|---|---|
| ვიდეოტონი-ზალაეგერსეგი | 2:0 |
| მტკ-უოლნოკი | 4:2 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| სკა-ამური | 7:3 |
| დინამო (მ)-სიბირი | 2:3 |

| დანია | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ოდენსე | 5:8 |
| როდოვრე-ჰერლევი | 4:1 |
| სონდერიისკი-ოლბორგი | 2:0 |
| ესბერგი-ჰერნინგი | 1:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ბლუზი-იუვიასკიულა | 2:3 |
| ილვესი-ლუკო | 1:4 |
| კერპეტი-კალპა | 3:4 (ბ) |
| საიპა-ესეტი | 3:2 (ბ) |
| ჰამეენლინა-პელიკანსი | 5:6 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ციურიხი-კლოტენი | 4:3 (ო) |

| შვედეთი | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-ტიმრა | 1:5 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მოსკოვი | |
|---|---|
| **კრავჩუკი**-კოროლიოვი | 6:4, 6:3 |
| ბერერი-**სისლინგი** | 6:7, 3:6 |
| კუზნეცოვი-**ბერლოკი** | 6:1, 4:6, 3:6 |
| დავიდენკო-**ბოგომოლოვი** | 5:7, 4:6 |

| ATP. სტოკჰოლმი | |
|---|---|
| ჰაიეკი-**ფალა** | 3:6, 6:3, 6:7 |
| **ზოპი**-ანდუხარი | 6:4, 6:4 |
| მერტენსი-**სტახოვსკი** | 3:6, 4:6 |
| **ფ. ლოპესი**-მატიო | 7:6, 6:7, 6:2 |
| **ბერანკისი**-რამოსი | 4:6, 6:4, 6:1 |
| **ბაღდატისი**-გოფენი | 6:4, 6:2 |
| **სოედა**-ტეიშეირა | 6:3, 3:6, 6:3 |
| **კოპილი**-დელ ბონისი | 6:1, 7:5 |
| ანდერსონი-**ჰიუიტი** | 4:6, 6:4, 4:6 |

| ATP. ვენა | |
|---|---|
| **ბრანდსი**-ბემელმანსი | 6:7, 6:4, 6:3 |
| **ლორენცი**-პერი | 6:4, 6:4 |
| მალისე-**ჟემლია** | 6:4, 1:6, 6:7 |
| გარსია ლოპესი-**ბედენი** | 4:6, 0:6 |
| **პოსპიშილი**-ჰაიდერ მაურერი | 3:6, 7:6, 6:1 |

| WTA. ლუქსემბურგი | |
|---|---|
| მარტიჩი-**კირსტეა** | 2:6, 2:6 |
| **იანკოვიჩი**-პენგი | 3:0 უარი |
| ბ. ზახვალოვა-**ბეკი** | 7:5, 6:7, 2:6 |
| **ვინჩი**-გოვორცოვა | 6:0, 2:6, 6:0 |
| სოლერ ესპინოსა-**გორგესი** | 2:6, 1:6 |
| მალეკი-**დომინგეს ლინო** | 6:7, 1:6 |
| **ვ. უილიამსი**-ბენჩიჩი | 6:3, 6:1 |
| **ფლიპკენსი**-ლისიცკი | 3:6, 6:3, 6:1 |

| WTA. მოსკოვი | |
|---|---|
| **პირონკოვა**-ლეპჩენკო | 6:0, 7:6 |
| ვოსკობოევა-**დოლონცი** | 6:1, 1:6, 4:6 |
| **ციბულკოვა**-მაკაროვა | 2:6, 6:4, 6:2 |
| როდიონოვა-**კორნე** | 4:6, 3:6 |
| **შვედოვა**-პავლიუჩენკოვა | 6:2, 6:2 |
| **ჰალეპი**-პეტროვა | 3:6, 7:5, 7:5 |

## TV პროგრამა

**17 ოქტომბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგი ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
**11:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-დორტმუნდი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ჰამბურგი.
**21:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ესპანეთი-საფრანგეთი.
**23:00** ინგლისის ჩემპიონატი. საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ.
**01:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ტოტენჰემი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ბოსტონი-მაიამი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ალკმაარი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-გლაზგო.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
**22:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. იტალია-ბრაზილია.
**23:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ბოსტონი-მაიამი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
**12:45** სპორტ-NEWS.
**13:15** რაგბი. ჰაინეკენის თასი. არლეკინზი-ბიარიცი.
**15:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
**17:30** სპორტ-NEWS.
**18:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-მილანი.
**20:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ალსტერი-კასტრი.
**22:00** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
**22:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.

ჩოგბურთი

# ანა ივანოვიჩი: ტოპ-მოთამაშეებთან მიჭირს!

**მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, სერბმა ანა ივანოვიჩმა WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ილაპარაკა საკუთარ თამაშში არსებულ პრობლემებზე, ფედერაციის თასის ფინალში გასვლაზე, სერბეთში ჩოგბურთის პოპულარობაზე...**

**- ანა, შეადარეთ ერთმანეთს მსოფლიოს სამი პირველი ჩოგანი. როცა ეს სტატუსი თქვენს თანამემამულეს ელენა იანკოვიჩს ჰქონდა, ყველა ამბობდა, მას არ აქვს სუსტი ადგილი; შემდეგ იმავეს ამბობდნენ კაროლინ ვოზნიაცკიზე, ახლა კი ასე ახასიათებენ ვიქტორია აზარენკას. შეგიძლიათ შეადაროთ მათი თამაშის მანერა, სტილი და გამოარჩიოთ ძლიერი და სუსტი მხარეები?**



ანა ივანოვიჩი

- ვფიქრობ, ყველა, ვინც მსოფლიოს პირველი ჩოგანი ხდება, იმსახურებს ამ ადგილს რეიტინგში. ამასთან, აზარენკას სათამაშო სტილი, ჩემი აზრით, განსხვავდება იმ ჩოგბურთისგან, რომელსაც ვოზნიაცკი და იანკოვიჩი აჩვენებდნენ. ისინი პრაქტიკულად არ ცდებოდნენ, ყველა ბურთს იგერიებდნენ, მაგრამ მათ არსენალში არ იყო ძლიერი დარტყმები. აზარენკაც ძალიან სტაბილურია, თუმცა ის გაცილებით კარგად თამაშობს შეტევაში.

**- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბოლო დროს, ცალკეულ მატჩებში აჩვენებთ ჩოგბურთს, რომელიც უახლოვდება 2008 წელს თქვენ მიერ ნაჩვენებ თამაშს, როცა როლან გაროსი მოიგეთ და რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავეთ. მაგრამ სტაბილურად ასეთ დონეზე თამაში არ გამოგდით. ეთანხმებით ამ შეფასებას და რაში ხედავთ ამის მიზეზს?**

- მე ოდნავ არ მყოფნის სტაბილურობა უმაღლეს დონეზე. წელს საკმაოდ ბევრი მატჩი მოვიგე, მაგრამ ტოპ-ჩოგბურთელებთან კარგი ჩოგბურთის ჩვენება არ გამომდიოდა. ვფიქრობ, არასაკმარისად თავდაჯერებული ვარ საკუთარ ძალებში, როცა ასეთი მეტოქეების წინააღმდეგ გავდივარ კორტზე. მაგრამ, იმედია, შემდეგ წელს გადავლახავ ამ ბარიერს: ყოველ შემთხვევაში, ეს არის ჩემი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი 2013 წლისთვის. მინდა წარმატებით ვითამაშო დიდ ტურნირებზე, მათ შორის "სლემებზეც".

**- სერბეთის ნაკრები არსებობის ისტორიაში პირველად მოხვდა ფედერაციის თასის ფინალში. რა შეგრძნებები გაქვთ ამ მატჩის წინ და როგორ აფასებთ თქვენი გუნდის შანსებს?**

- შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ოცნება ახდა. ძალიან ბედნიერები ვართ ფინალში გასვლით, მით უმეტეს, რომ რთული ნახევარფინალი მოვიგეთ ძალიან ძლიერი რუსეთის წინააღმდეგ. ახლა, წინ გველის ფინალი, რომელიც სულ რალაც ორ კვირაში დაიწყება. თუ შევძლებთ მოგებას, გავიმეორებთ სერბი მამაკაცების შედეგს, რომლებმაც 2010 წელს მოიპოვეს დევისის თასი.

**- ანა, ამბობენ, რომ თქვენი თამაში დიდწილად დამოკიდებულია ფიზიკურ მომზადებაზე. როგორ აფასებთ ამ მხრივ წლევანდელ სეზონს და როგორ შეაფასებდით დღეისთვის ფიზიკურ ფორმას?**

- რა თქმა უნდა, სეზონის ბოლოს იდეალურ ფორმაში ყოფნა რთულია. წელს, ფიზიკურად ბოლომდე კარგად არ ვიყავი მზად, უფრო მეტი ტურნირის თამაში მინდოდა, მაგრამ მომავალ სეზონში ვაპირებ ამ ხარვეზის გამოსწორებას. ფიზიკური მომზადების დონის ამაღლება მნიშვნელოვანია, რადგან ჩოგბურთი ამ მხრივ სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს მოთამაშეებს. მუდმივად უნდა იზრუნო დარტყმის ძალის მომატებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატებას ვერ მიაღწევ.

**- უკვე დაგეგმეთ ახალი სეზონის წინ დასვენება და მომზადების პროცესი? ასევე საინტერესოა, ხომ არ იგეგმება ცვლილებები თქვენს გუნდში?**

- ჩემ გვერდით ყოველთვის არის მწვრთნელი, სპარინგ-პარტნიორი და მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში. რაც შეეხება მზადების გეგმებს, ამ პერიოდის ნახევარს შინ გავატარებ, მეორე ნახევარს - დუბაიში.

**- უნდა ვივარაუდოთ, რომ სერბული ჩოგბურთის ბოლოდროინდელი წარმატებების წყალობით, ქვეყანაში სპორტის ეს სახეობა ყველაზე პოპულარულია. რამდენად შეიძლება იმოქმედოს დევისის თასზე და ფედერაციის თასზე წარმატებებმა პოპულარობის დონეზე?**

- რა თქმა უნდა, ფეხბურთის პოზიციები კვლავინდებურად ძლიერია, მაგრამ დევისის თასზე გამარჯვება უდიდესი მოვლენა იყო მთელი სერბეთისთვის, ჩვენი ფედერაციის თასის ფინალში გასვლაც ძალიან ბევრს ნიშნავდა. ბევრი ძლიერი მოთამაშე გვყავს, ხოლო იმან, რაც შარშან ჯოკოვიჩმა გააკეთა, ჩოგბურთი სერბეთში ნომერ პირველ სახეობად აქცია. ჩოგბურთი ძალიან პოპულარული გახდა ჩვენს ქვეყანაში და მისი თამაში ახლა მოდურია ყველასთვის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი



პროფკავშირებს საფიქრალი გაუჩნდათ

# ახალი პრობლემა?

## სეზონი შეიძლება 2 ნოემბერს დაიწყოს

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგასა და მოთამაშეთა პროფკავშირებს შორის გაიმართა მორიგი შეხვედრა, რომელზეც ლიგამ მოულოდნელად ახალი წინადადებით მიმართა დაპირისპირებულ მხარეს - კერძოდ, პროფკავშირებს შესთავაზეს მარტივი სისტემა: შემოსავლების სანახევროდ გაყოფა. შეგახსენებთ, რომ მანამდე ლიგა მოთამაშეებს 46-პროცენტიან წილს სთავაზობდა.

თუ პროფკავშირი ამ ვარიანტს მიიღებს, სეზონი ორ ნოემბერს დაიწყება და თითო გუნდი 82 მატჩს ჩაატარებს.

პროფკავშირების შეფმა **დონ ფერმა** განაცხადა, რომ ჰოკეისტები ჯერ უარს არ ამბობენ ამ წინადადებაზე, მაგრამ კარგად უნდა შეისწავლონ ეს ვარიანტი.

კრივი

# ევანდერი პარასკევს წავა

ლეგენდარული ამერიკელი სუპერმძიმეწონოსანი **ევანდერ ჰოლიფილდი** 19 ოქტომბერს 50 წლის შესრულდება და სწორედ ამ დღეს აპირებს ის კარიერის დასრულებას. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ **ვლადიმერ და ვიტალი კლიჩკოები** მას ბრძოლაზე უარს ეტყვიან.

*„ისევ მჯერა, რომ შევძლებ რომელიმეს დამარცხებას. მაგრამ დრო არ მაქვს იმისთვის, რომ რეიტინგის სათავეში მოვექცე და პრეტენდენტის ოფიციალური სტატუსი მივიღო. თუ ისინი პარასკევს არ დამირეკავენ, კრივიდან წავალ"*, - განაცხადა ჰოლიფილდმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიტალი კლიჩკომ არაერთხელ განაცხადა - ჰოლიფილდი ჩემი კერპია და არ ვაპირებ მასთან ჩხუბსო.



ევანდერ ჰოლიფილდი







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, ბარასკევობის

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608